

1239
2005



საქართველოს იკლოტიეკა

№2 2005

ISSN 1512-0880

მიძახთ ვა ჩვენს მკითხველებს!

ჩვენთვის ცნობილია, რომ კოდორის ხეობის ბავშვები წიგნის მწვავე ნაკლებობას განიცდიან. მოვმართავთ თხოვნით სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეებსა და სტუდენტებს, პედაგოგებს, ბიბლიოთეკარებს, ჩვენი ჟურნალის ყველა მკითხველს, ვის რამდენი და რაც შეეძლიათ, შეგროვოთ წიგნები მათთვის გადასაგზავნად. შეგროვებული წიგნები მიაწოდეთ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტიზაციის განყოფილებას ან ჩვენი ჟურნალის რედაქციას (თბილისი, ლადო გუდიაშვილის 7, ეროვნული ბიბლიოთეკა, III კორპუსი, ტელეფონი: 93-26-82).

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობა
 ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია.



შინაარსი

ბიბლიოთეკების მომავალი	4
დიდი სამამულო ომი – 60	
ალექსანდრე ლორია – საბიბლიოთეკო საქმე მეორე მსოფლიო ომის პერიოდში	6
წიგნის ისტორია	
ფრიდონ სიხარულიძე – არა არს დაფარული, რომელიც არა გამოჩნდეს	10
ტერმინოლოგიური ძიებანი	
ბადრი ცხადაძე – პალეოგრაფიულ-წიგნთმცოდნეობითი გერმინები ქართულში (კაბადონი)	15
ლიტერატურული ურთიერთობანი	
ნანა ფირცხალავა – პოეტი-პრომეთოსი	18
იუბილე	
კარლო ბლაგიძე – სოლომონ დოდაშვილი – 200	22
ღვაწლმოსილ პროფესიონალთა სახეები	
ირინე გოგლიძე – ელისაბედ გორინას ავტობიოგრაფიის მიხედვით	26
დარეჯან კოგეგიშვილი, მზია მანხოშვილი – აღამიანი, რომელიც დაეიწყებას არ მიეცემა	28
წიგნი და ბავშვები	
ნატო ბაკაშვილი-მჭედლიშვილი – ბავშვთა წიგნიერი აღზრდის პრობლემები, მოსაზრებები, პერსპექტივები	33
შორენა სიხარულიძე – სკოლა ბიბლიოთეკის გარეშე?	37
კონტაქტები უცხოელ სპეციალისტებთან	
ეთერ ფარეხელაშვილი – დიდი საჩუქარი	38
სიტყვა პროფესიონალზე	
რუსუდან ნეჯიბაძე – გულანთებული მოღვაწე	41
კორესპონდენციები	
ინგა არგუტინსკაია – რეპორტაჟი ბიბლიოთეკიდან	42
მაყვალა ფირფირაშვილი – ერთი ლამაზი საღამო	43
გულიკო თომაძე – „მწამს მომავალი სახემყინარი“ ...	46
ვერიკო კერაგიშვილი – საგარეჯოს სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკის ახალი დაბადება	48
ლია ჩხარტიშვილი – ლექსის ღებუჯი საბავშვო ბიბლიოთეკაში	50
ეკა კიბაბიძე – ახალგაზრდა შემოქმედთა საღამო უჯარმაში	51
დარეჯან კოგეგიშვილი, მზია გოგონიძე – ავგორთან ერთად	52
ლია გოდერძიშვილი – სოფელი და კულტურის კერები	54
კომპიუტერი ბიბლიოთეკაში	
ნანა ქავთარაძე – კომპიუტერთან მუშაობის უსაფრთხოების წესები	56
რეცენზია	
კახაბერ ლორია – წიგნი ტკივილსა და სიხარულზე	60
ინფორმაცია	
მანანა მარიძე – „სათემო სახლი“ მცხეთაში	63
სასარგებლო საქმე	64
ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა	
ნინო ხაბულიანი – კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შენაძენი	65
მკითხველური ავტობიოგრაფია	
ქეთი ცენგერაძე – მე, როგორც მკითხველი...	66
ჩვენ გვწერენ	
გარიელ ნაცვლიშვილი – ეურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქტორს ბაგონ ალექსანდრე ლორიას	69
რევიუ	
იური მგალობლიშვილი – ფრანკოვონის დღესასწაული თბილისში	72
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები	73
გასსენება	
ლალი ცინცაძის სსონას	74
საცნობოდ საკითხავი	
იშვიათი წიგნები	75
ბავშვთა შესახებ ჩვენს ეურნალში (2001-2004)	76

Библиотека Грузии, №2-05

Содержание

Будущее библиотек	4
Великая Отечественная война – 60	
Александр Лория – библиотечное дело в период Второй мировой войны	6
Страницы истории	
Фридон Сихарулидзе – „Нет тайного, не ставшего явным“	10
Терминологические изыскания	
Бадри Цхададзе – Палеографические книговедческие термины в грузинском языке	15
Литературные связи	
Нана Пирцхалава – Поэт Прометей	18
Юбилей	
Карло Благодзе – Соломон Додашвили – 200	22
Заслуженные профессионалы	
Ирина Гоглидзе – по автографу Елизаветы Горинной	26
Дареджан Котетишвили, Мзия Мачхошвили – Человек, которого нельзя предать забвению	28
Книга и дети	
Нато Бакашвили-Мчедlishvili – Проблемы книжного воспитания детей: раздумья, перспективы	33
Шорена Сихарулидзе – Школа без библиотеки?	37
Деловые контакты	
Этер Парехелашвили – Большой подарок	38
Слово о профессионале	
Русудан Энджибадзе – Пламенное сердце профессионала	41
Корреспонденция	
Инга Аргутинская – Репортаж из библиотеки	42
Маквала Пирпирашвили – Один прекрасный вечер	43
Гулико Томадзе – „Верю я ясное будущее“	46
Верико Кератишвили – Новое рождение детской библиотеки Сагареджо	48
Бия Чхартишвили – Дебют стиха в детской библиотеке	50
Эка Кибабидзе – Вечер в Уджарме	51
Дареджан Котетишвили, Мзия Тогонидзе – Вместе с автором	52
Лия Годердзишвили – Село и очаги культуры	54
Компьютер в библиотеке	
Нана Кавтарадзе – Правила безопасности при работе с компьютером	56
Рецензия	
Кахабер Лория – Книга о боли и любви	60
Информация	
Манана Заридзе – „Общинный дом во Мцхета“	63
Полезное дело	64
Библиографический обзор	
Нино Хабулиани – Еще одно важное приобретение	65
Читательская автобиография	
Кети Центерадзе – Я, как читатель	66
Нам пишут	
Тариэль Навлишвили – Редактору журнала „Библиотека Грузии“	69
Ревю	
Юрий Мгалоблишвили – Праздник франкофонии в Тбилиси	72
Хроника библиотечной жизни Грузии: события, факты	73
Памяти Лали Цинцадзе	74
Чтение для любозных	
Редкие книги	75
О детях в нашем журнале (2001-2004)	76

Georgian Library №2-05

Table of Contents:

The Future of the libraries -----	4
The Second World War – 60	
Alexandre Loria – Library affairs during the world war II -----	6
The Book History	
Fridon Sikharulidze – “ ara ars daparuli rom ar gamochndes...(nothing could be hidden, so that it cannot be revealed)” -----	10
Paleographical Research	
Badri Tskhadadze – Paleographical – book-learning terms in Georgian -----	15
Literary Relationships	
Nana Pirskhalava – The Poet Prometheus -----	18
Jubilee	
Karlo Blagidze – Solomon Dodashili – 200 -----	22
The Faces Of Distinguished Professionals	
Irina Goglidze – After the biography of Elizabeth Gorina -----	26
Daredzan Kotetishvili, Mzia Machkoshvili – The person, we’ll never forget -----	28
Book And Children	
Nato Bakashvili-Mchedlishvili – The problems, considerations and prospects of children literacy -----	33
Shorena Sikharulidze – School without library -----	37
Contacts With Foreign Specialists	
Eter Parekhelashvili – The great gift -----	38
Several Words About Professionals	
Rusudan Endibidze – A person with a light in heart -----	41
Correspondences	
Inga Argutinskaia – Commentary from the library -----	42
Makvala Phirphirashvili – One nice evening -----	43
Guliko Tomadze –I believe in the future with smile -----	46
Veriko Keratishvili – The rebirth of Sagaredzo regional children library -----	48
Lia Chkhartishvili – The debut of the verse in a children library -----	50
Eka kikabidze – Evening in Udzhama -----	51
Daredzan Kotetishvili , Mzia Togonidze – With the author -----	52
Lia Goderdzishvili – Village and the cultural hearths -----	54
Computer In a library	
Nana Kavtaradze – Safe style of working with computer -----	56
Kakhaber Loria – The book about hurt and Joy -----	60
Information	
Manana Zaridze – „Community house” in the Mtskheta library -----	63
The Useful affair -----	64
Bibliographical review	
Nana Khabuliani – One more important acquisition -----	65
Reader’s autobiography	
Keti Tsenteradze – Me, as a reader -----	66
Reader’s letters	
Tariel Natsvlishvili – To the editor of the journal “Georgian Library” -----	69
. Review	
Iuri Mgaloblishvili – The celebration of days of Francophony in Tbilisi -----	72
The chronicle of library life of Georgia: events, facts -----	73
Memory	
For the memory of Lali Tsintsadze -----	74
Reference reading	
Rare books -----	75
About children in our journal -----	76



ბიბლიოთეკის მომავალი



ნელია განჭვრიტო მომავალი, მით უმეტეს, ჩვენს დროში, როდესაც აუწერელი სისწრაფით იცვლება ყველაფერი. ტექნიკური პროგრესი ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში თავის სიგყვას ამბობს და თავდაყირა აყენებს ყოველგვარ პროგნოზს. ასეა საბიბლიოთეკო საქმეშიც. ამ დარგშიც ისეთი მოულოდნელი და სწრაფი ცვლილებები მოხდა, რომ თითქმის მთლიანად შეუცვალა სახე ჩვენს გრადიციულ ბიბლიოთეკას, შეიცვალა მისდამი დამოკიდებულება – სამოგადოებრივი ამრი, ამოცანები, ფუნქციები, სტატუსი, მეთოდოლოგია, მაგრამ არ შეცვლილა მისი უმთავრესი პრინციპები და დანიშნულება – ხელი შეუწყოს საზოგადოების ინტელექტუალურ, კულტურულ-საგანმანათლებლო და საინფორმაციო მოთხოვნების დაკმაყოფილებას, უზრუნველყოს წიგნიერი გარემო.

როდესაც ცვლილებაზე ვლაპარაკობთ, ეს არ ნიშნავს, რომ იცვლება ერთი საგანი მეორეთი, არამედ იგულისხმება ის დიდი გარდაქმნები, რომლებიც დარგს ახლავს ფუნქციების გაფართოებასთან დაკავშირებით, რაც ყოველდღიურობითაა გამოწვეული.

ცვლილებები პროგრესს გულისხმობს, რეფორმაციას, რაციონალურობას, პირობების გაუმჯობესებას, მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველყოფას. ყოველივე ამას, როგორც წესი, ახლავს სირთულეები, წინააღმდეგობანი, დაპირისპირება და აზრთა ჭიდილი, რასაც არ უნდა შევეუშინდეთ. მთავარია, შევძლოთ სწორად შევაფასოთ მოვლენები, გავერკვეთ სიტუაციაში, ზუსტად განვჭვრიტოთ პროგნოზები და ენერგიულად ვიღვაწოთ საქმისათვის სასარგებლოდ.

საბიბლიოთეკო დარგში სიახლეთა დანერგვა არც ისე დიდი ხანია, რაც დაიწყო. მას წინ უძღოდა პროგნოზები, რომლებიც გასული საუკუნის 60-იან წლებში განსაკუთრებით მრავლად გამოითქმოდა. ზოგი რამ ახდა, ზოგიც ვერა, ზოგსაც მოვლენებმა საკმაოდ გაუსწრეს და მეტი გაკეთდა, ვიდრე ვარაუდობდნენ.

ამ მხრივ საგულისხმოა ერთი ისტორიული ფაქტი – 1962 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სიეგლში საერთაშორისო გამოფენა მოეწყო. ერთ-ერთი პავილიონი საბიბლიოთეკო საქმის აწმყოსა და მომავალს მიეძღვნა. პავილიონის მოწყობა დავალებული ჰქონდა ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციას, რომელმაც თავმოყრილ ექსპონატებს „XXI საუკუნის ბიბლიოთეკა“ უწოდა. ძირითადად ექსპონირებული იყო ელექტრონული ტექნიკური საშუალებები, რომლებიც სრულყოფილად ჯერჯერობით თვით ამერიკაშიც არ იყო დანერგილი და მომავლის საქმედ ითვლებოდა. გამოყენებული იყო პირველი თაობის კომპიუტერი „უნივაკი“, რომელიც უმარტივეს კითხვებზე იძლეოდა პასუხს. მაგალითად: „რა ეწოდება სერვანტესის უკანასკნელ ნაწარმოებს?“, „ნიგერიაში რომელი ადგილობრივი ენებია უმეტესად გავრცელებული?“, „ვარ 15 წლის, რომელი წიგნების წაკითხვა მმართველს კოსმოსის შესახებ?“, „რომელი ქვეყნები შედის გაეროში და როგორია მათი ნაციონალური შემოსავალი?“ და სხვ.

ამგვარად წარმოედგინათ მაშინ საცნობო-ბიბლიოგრაფიული მუშაობა XXI საუკუნისათვის. პავილიონმა დიდი ინტერესი გამოიწვია, რასაც მალე მოყვა მეცნიერთა გამოკვლევების უზარმაზარი ნაკადი. ვინ რას წინასწარმეტყვე-

ლებდა და ვინ რას. ძირითადად ორი მიმართულება დაუპირისპირდა ერთმანეთს – ე. წ. გექნიკოსები თვლიდნენ, რომ გექნიკა იმდენად სრულყოფილი გახდება, რომ ის განდევნის ასპარემიდან ბიბლიოთეკარს. ისინი აყენებდნენ ლომუნგებს: „ბიბლიოთეკა უწიგნოდ!“, „ბიბლოთეკა ბიბლიოთეკარის გარეშე!“, „ბიბლოთეკა ბიბლიოთეკის გარეშე!“ მათი ლიდერი მ. გრიფი წერდა: „ხვალინდელი დღის პოტენციური ბიბლიოთეკა ეს არის არა წიგნებით, არამედ ხალხით გავსებული ბიბლიოთეკა, რადგანაც წიგნი მისი გრადიციული ფორმით აღარ დარჩება... მომავლის ბიბლიოთეკები განსხვავდებიან ახლანდელებისაგან. ესენი იქნებიან მაღალგანათლებული სპეციალისტები, სავსებით განსხვავებულნი თანამედროვე ბიბლიოთეკარებისაგან, რომელთა მთავარი საზრუნავია წიგნის ცოდნა, მკითხველის შესწავლა და მათი მომსახურება... ბიბლიოთეკის კონცეფცია ევოლუციას განიცდის არქივისეული წიგნსაცავიდან გექნიკური ინფორმაციის დინამიურ ცენტრამდე“. (ამოღებულია წიგნიდან: „Библиотека и библиотечное дело США: Комплексный подход / Изд. 2; испр. – М., 1993. – გვ. 184).

დ. ერკრახტი – ამერიკის სამეცნიერო – გექნიკური ლიგერატურის ნაციონალური ბიბლიოთეკის დირექტორი უყოყმანოდ აცხადებდა, რომ მას შეუძლია მთლიანად გექნიკას დაუქვემდებაროს თავისი ბიბლიოთეკა ბიბლიოთეკების გარეშე.

ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ მკითხველთა დიდ ნაწილს არ მოსწონს ბიბლიოთეკარებთან მუშაობა, რადგანაც ისინი ერთგვარ შეფერხებებს უქმნიან მათ თავიანთი წესებითა და კითხვის პროცესში ჩარევით. გექნიკა კი დაიხსნის მათ ამისაგან.

მეორე მხრივ, სხვაგვარად ფიქრობენ ე. წ. ჰუმანისტები. ისინი არ იზიარებენ იდეას ბიბლიოთეკების სრული გექნიმაციის შესახებ. ამერიკელი ჯ. შირა თვლის, რომ წიგნმა თავისი ფორ-

მით განვითარების უმაღლეს საფეხურს მი-აღწია და ჯერჯერობით მას ვერაფერი შეცვლის. იგი წერს: „გამოთვლითი გექნიკის ინჟინერს შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ხვალინდელი ბიბლიოთეკის საქმეში, მაგრამ ჩვენ მაინც არ შეგვიძლია მთლიანად დავაკისროთ ინფორმაციული ძიების პრობლემის გადაწყვეტა მას, რადგანაც არ ეცოდინება, რა უყოს ამ წიგნებად წოდებულ საგნებს“ (იქვე. – გვ. 85).

სამოგადოებას სამართლიანად მიაჩნია: გექნიკა-ელექტრონიკა, გამოთვლითი და კომპიუტერული გექნოლოგიები უეჭველად უცვლიან სახეს ბიბლიოთეკებს, მაგრამ შეიქმნება ურთიერთობის ახალი ფორმა – მანქანისა და ადამიანის ურთიერთობა, რომელიც ძირითადად გამოხატულებას ჰპოვებს ინფორმაციის დაცვაში, ორგანიზაციასა და ძიებაში.

ცხოვრებამ დაგვანახა, რაოდენ მოლიპულ გზას წარმოადგენს პროგნოზირება. 60-იანი წლების წინასწარმეგყველება ახლა ირონიულ დიმილს იწვევს, იმდენად უფრო მეტი და გრანდიოზული იქნა გაკეთებული. მაგრამ უსაფუძვლოდ არაფერი თქმულა. როგორც პირველ ისე მეორე მიმართულების მიერ ნაწინასწარმეგყველი ბევრი რამ გამართლდა, ბევრ რამ გადაჭარბებულ იქნა აღსრულებული. ამ ბოლო 30-40 წლის განმავლობაში მიღწეულმა მაშინდელ ყველაზე გაბედულ პროგნოზებსაც კი გადააჭარბა. მაშინ არავინ იფიქრებდა, რომ გაჩნდებოდა პერსონალური კომპიუტერი, რომელიც ჭეშმარიტ რევოლუციას მოახდენდა ინტელექტუალური შრომის სფეროში. უკანასკნელ ათწლეულში ინფორმაციულმა გექნოლოგიამ საბიბლიოთეკო სქმეში გიგანტური ნახტომი გააკეთა. საკმარისია ვახსენოთ საინფორმაციო-საძიებო ახალი თაობის ელექტრონული და ჰიპერ-გექსტური სისტემები, სრულგექსტოვანი ბაზის მონაცემები კომპაქტურ ოპტიკურ დისკებზე, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ XXI საუკუნის ბიბლიოთეკების მომავალი. მათი გა-

მოყენებით საბიბლიოთეკო საქმის ყველაზე რთულ ამოცანებს გადავწყვეტთ. მათი საშუალებით გადაილახება ისეთი სირთულეები, როგორცაა ფართობის ნაკლებობა, ინფორმაციის სრულყოფილება და ოპერატიულობა, მასალის ყოველმხრივი მისაწვდომობა, ფონდების რაციონალური განლაგება, ბიბლიოგრაფიული ევრისტიკა, საძიებო საშუალებათა მაღალხარისხოვნება, მომსახურების სრულყოფა და სხვ.

არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ მიუხედავად გექნიკური ბუმისა, თავის ძალას არ კარგავს ჰუმანიტარული მოვლენები, რომელთა გათვალისწინების გარეშე ადამიანის სრულყოფილი ურთიერთობა გექნიკასთან შეუძლებელია. სწორედ ამან წარმოშვა ე. წ. ინტერფეისის პრობლემა, რომელიც გულისხმობს გაამარგოვოს მომხმარებელთა და საბიბლიოთეკო ავტომატიზირებულ სისტემას შორის ურთიერთობები. გააადვილოს ინტერნეტის, როგორც საბი-

ბლიოთეკო ერთიანი ინფორმაციული სისტემის, ამოქმედება და გამოყენება.

საბიბლიოთეკო საქმე დღეს ამ მიმართულებით მიდის. ზოგან ის საგრძნობლად წინ არის წასული, ზოგან ნაკლებად, მაგრამ ერთი უდავოა: აუცილებელია ახალი გექნოლოგიებით ბიბლიოთეკის აღჭურვა, ახალი კონცეფციის დანერგვა, ახალი ფუნქციების შემოღება, კადრების მომზადების ახალი სისტემის დაფუძნება. დღევანდელი ბიბლიოთეკარის პროფესიოგრამა სავსებით განსხვავებულია მანამდელისაგან. თუ ჩვენმა საბიბლიოთეკო საქმემ ვერ მოახერხა უახლოეს ხანში ანგარიში გაუწიოს თანამედროვე მოთხოვნებს, არამც თუ ჩვენი ბიბლიოთეკები, არამედ მთელი ინტელექტუალური გარემო შეფერხდება ამით, რაც მეტად საშიანო იქნება ჩვენი მეცნიერული, ეკონომიკური და გექნიკური განვითარებისათვის, შეაფერხებს საგანმანათლებლო და კულტურულ აღმასვლას.

დიდი სამამულო ომი - 60

ალექსანდრე ლორია

საბიბლიოთეკო საქმე მეორე მსოფლიო ომის პერიოდში

მეორე მსოფლიო ომი 6 წლის განმავლობაში მძვირვარებდა. მასში 61 ქვეყანა იყო ჩაბმული და ამათგან 40 ქვეყნის ტერიტორიაზე განვითარდა საომარი ოპერაციები სხვადასხვა ძალითა და მასშტაბებით. ამ წლებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაშიც. ფიზიკურად განადგურდა მრავალი ბიბლიოთეკა, ბევრიც საგრძნობლად დაზარალდა, მთლიანად დაირღვა ყოველგვარი საერთაშორისო კონტაქტები, შეფერხდა განვი-

თარების აღმავალი პროცესი.

პირველად სერბიის სახალხო ბიბლიოთეკამ განიცადა თავდასხმა. იგი მთლიანად აღიგავა პირისაგან მიწისა. დაიღუპა XII-XVIII საუკუნეების უძვირფასესი ხელნაწერები, ინკუნაბულები, ძველნაბეჭდი წიგნები.

1940-1941 წლებში საავიაციო ყუმბარები ცვიოდა ლონდონის ბიბლიოთეკებზე. ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკის 250 ათასი წიგნი იმსხვერპლა მის ფლიგელში გაჩენილმა ხანძარმა. ანალოგიური მოვლენები ხდებოდა ყველა

ქვეყანაში, სადაც ფაშისგები შეიჭრნენ. დაბომბვის შედეგად დაიღუპა როგერდამის, ჰააგის, ბრიუსელის ბიბლიოთეკების ფონდების დიდი ნაწილი. უკან დახევის დროს ოკუპანტებმა დაწვეს ნიმენგების (ჰოლანდია) უნივერსიტეტისა და მონასტრების ბიბლიოთეკები, სოფიის დაბომბვის დროს დაიწვა ბულგარეთის ყველაზე დიდი საქალაქო ბიბლიოთეკა. დაპყრობილ ქვეყნებში ფაშისგები ანადგურებდნენ იმ წიგნებს, რომლებიც მათი შეხედულებით არ შეესაბამებოდა არსებულ წესრიგს, ხოლო რაც მოსწონდათ, ალაფის სახით გაჰქონდათ.

წიგნების წინააღმდეგ ბრძოლა ადგილობრივი გენოფონდის განადგურების გეგმაში შედიოდა. მაგალითად, იაპონიის საოკუპაციო ხელისუფლების განკარგულებით შანხაისა და ნანკინში მთლიანად მოსპეს 15 ბიბლიოთეკა, რომ ახალგაზრდებს ხელთ არ ჰქონდათ განვითარების ისეთი საშუალება, როგორც წიგნია. საზღვართან მომიჯნავე გერიგორიებზე გაუნადგურებელი არ დარჩენილა არც ერთი უმაღლესი სასწავლებლისა თუ კოლეჯის ბიბლიოთეკა. იაპონიის ავიაციამ დიდი მიანი მიაცენა ავსტრალიისა და ფილიპინების ბიბლიოთეკებს.

გერმანულ ფაშისგთა ურღოებმა თითქმის მთლიანად დაცალეს პოლონეთის ბიბლიოთეკები, ბევრი ბიბლიოთეკარი დახვრიტეს, დაწვეს არქივები, წიგნსაცავები. 1944 წ. ვარშავის აჯანყების დროს გერმანელმა ოკუპანტებმა ნაციონალური და უნივერსიტეტის გაერთიანებული ბიბლიოთეკა მთლიანად გაასწორეს მიწასთან. პოლონეთის ბიბლიოთეკებში დაცული 22,5 მილიონი წიგნიდან მხოლოდ 7,5 მილიონი გადარჩა.

ომის დროს ჩეხოსლოვაკიის ბიბლიოთეკების 5,3 მილიონი ბეჭდური და ხელნაწერი წიგნი განადგურდა.

1940 წ. გერმანიის ჯარების საოკუპაციო ნაწილებმა პარიზის ნაციონალური და სხვა სამეცნიერო ბიბლიოთეკებიდან ე.წ. „შავი სიების“

მიხედვით უამრავი წიგნი ამოიღეს, თანამშრომლები გარეკეს ცყვეთა საქმეთა ბიუროში სამუშაოდ. ნაციონალური ბიბლიოთეკის დირექტორი ჟიულენ კენი 1941 წ. ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკში დაამწყვდიეს.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, დაპყრობილ გერიგორიებზე აქ მთლიანად ნადგურდებოდა ბიბლიოთეკები. საბჭოთა წიგნის დაცვა და კითხვაც იკრძალებოდა.

1941-1945 წლებში წარმოებულმა ომმა უაღრესად სამძიმო პირობები შეუქმნა საბიბლიოთეკო საქმეს სსრ კავშირში. განსაკუთრებით დაზარალდა ევროპული მხარე, სადაც ომის ქარგეხილმა ჩაიარა. რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის ქვეყნებში მილიონობით წიგნი განადგურდა, მთლიანად ან ნაწილობრივ დაინგრა და გაიძარცვა ბიბლიოთეკები. ამ პერიოდში სსრ კავშირის ყველა კულტურულ-სამეცნიერო დაწესებულების საქმიანობა მთლიანად დაექვემდებარა ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ევაკუაცია ერთ-ერთ უმთავრეს საქმედ ითვლებოდა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ხელნაწერთა გადარჩენას. სახელმწიფო ბიბლიოთეკებიდან 700 ათასი უნიკალური წიგნი იქნა ადგილშენაცვლებული მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით. დიდი რაოდენობით გაიგანეს ბურგში წიგნები სალგიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკიდან. ბევრი სამეცნიერო ბიბლიოთეკის გადაგანა ვერ მოხერხდა. დიდად დაზარალდნენ კიევის, მინსკის, ვილნიუსის, რიგის, გალინის და სხვა ქალაქის ბიბლიოთეკები.

ბურგის ბიბლიოთეკებს ძირითადად ევალებოდათ სამშობლოს დაცვის, პაგრიოტული იდეების პროპაგანდა და სააგიტაციო მუშაობა, ახალ-ახალი ცნობების მიწოდება მოსახლეობისათვის. გერიგორიების განთავისუფლების შემდეგ, სხვა ადღეენით სამუშაოებთან ერთად, ერთ-ერთი პირველი რიგის საქმედ ბიბლიოთე-

კების აღდგენა წარმოადგენდა.

ჯერ კიდევ 1942 წ. მოსკოვში გაიმართა სამეცნიერო სესია საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის შესახებ. იხილებოდა ის ღონისძიებები, რაც უნდა განხორციელებულიყო ომისგან განთავისუფლებულ ტერიტორიებზე.

როდესაც ომის ქარცეცხლმა აგრესორის ტერიტორიაზე გადაინაცვლა, ომმა არც მათი ბიბლიოთეკები დაინდო. მთლიანად განადგურდა გერმანიის სახელმწიფო ბიბლიოთეკა ბერლინში, ლაიპციგის ნაციონალური ბიბლიოთეკა, მნიშვნელოვნად დაზარალდა ბიბლიოთეკები ღრებდენში, ფრანკფურტში – მაინზე და სხვა დიდ ქალაქებში. სახალხო ბიბლიოთეკების უმრავლესობა თითქმის მთლიანად მოისპო. საბჭოთა ჯარების მიერ გერმანიიდან გროფის სახით ასეულ ათასობით იქნა გაგანილი წიგნები, რომელთა ერთი ნაწილი დიდი ხნის შემდეგ გერმანიას დაუბრუნდა (მათ შორის წიგნები დააბრუნა საქ. მეცნ. აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ, სადაც დაცული იყო ამგვარი წიგნები). მიუხედავად ამისა, წიგნების მასობრივად დაკარგვამ შემდგომში დიდი სიძნელეები შეუქმნა გერმანიის საბიბლიოთეკო სისტემას.

ცნობილია, რომ დაპყრობილ ქვეყნებში ენერგიულად მოქმედებდა პარტიზანული არაღებალური ჯგუფები, რომლებსაც საიდუმლო ბიბლიოთეკებიც გააჩნდათ. ლეგალურ ბიბლიოთეკებშიც მიმდინარეობდა ფარულად ანგიფაშისტური ლიგერაგურით მუშაობა, საიდუმლოდ ინახებოდა პროკლამაციები, უნებართვო გაზეთები და ფურცლები.

ჯერ კიდევ ომის მსვლელობისას მოკავშირეები გარკვეულ ღონისძიებებს მიმართავდნენ იმ ქვეყნების დასახმარებლად, რომელთა ბიბლიოთეკები ომის შედეგად დაზარალდნენ. ლონდონში სახალხო განათლების მუდმივმოქმედ საერთაშორისო ბიუროსთან შექმნილი იყო კომისია, რომელიც ხელმძღვანელობდა წიგნების შეგროვების საქმეს.

სავსებით სხვა მდგომარეობა იყო იმ ქვეყნებში, რომლებსაც საომარი ოპერაციები არ შეხებია. ამ მხრივ აშშ გამორჩეულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. გექნიკური პროგრესის მოთხოვნილებები, რაც ომთან იყო დაკავშირებული, სამეცნიერო ბიბლიოთეკების გაძლიერებასა და გამრავლებას იწვევდა. განსაკუთრებით გაფართოვდა ინფორმაციული მომსახურება. აქ ყველაზე ადრე, ვიდრე სადმე, ბიბლიოთეკა იქცა წარმოების საშუალებად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას. მიმდინარეობდა მუშაობა ეფექტურობის ამაღლებისა და ახალი ტექნოლოგიების დახერგვისათვის.

1942 წ. ქ. ფარმინგტონში სამეცნიერო ბიბლიოთეკების ასოციაციამ ჩააგარა თათბირი დაკომლექტების თაობაზე. დღის წესრიგში იდგა საერთო ეროვნული დაკომპლექტების კოორდინირების საკითხი. ამ თათბირმა ხელი შეუწყო შეერთებული კატალოგების სისტემის შექმნას და დიფერენცირებულად დაკომპლექტების პრინციპების ჩამოყალიბებას.

ამავე წლიდან კონგრესის ბიბლიოთეკა შეუდგა ნაციონალური წიგნების ბარათული კატალოგის მიკროფილმირებას.

დიდი ყურადღება დაეთმო სამხედრო პირთა მომსახურებას. საჯარო ბიბლიოთეკებში განსაკუთრებული ყურადღებით ემსახურებოდნენ დემობილიზებულ მკითხველებს. ნიუიორკში მათთვის სპეციალური ბიბლიოთეკა გაიხსნა.

ყოველივე ამის მიუხედავად, მაინც იგრძნობოდა ომის ზეგავლენა – შენელდა ბიბლიოთეკათმცოდნეობითი კვლევა-ძიება, ბევრი ბიბლიოთეკა ვერ ახერხებდა ახალ მეთოდებსა და ფორმებზე გადასვლას, იგრძნობოდა მაგერიალურ-გექნიკური ბაზის სიმწირე, მაგრამ არც ერთი წუთით არ გაუარესებულა მოსახლეობისა და სპეციალისტთა მომსახურება. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილება იყო პერიოდიკაზე.

მეორე მსოფლიო ომმა თავისებური გავლე-



ნა იქონია იმ ქვეყნებზეც, რომლებიც არ იყვნენ ჩაბმულნი ომში. მიუხედავად საერთო ეკონომიკური ხელმოკლეობისა და საერთაშორისო ურთიერთობების რღვევისა, ლათინური ამერიკის ქვეყნებში ამ პერიოდში იწყება დაინგერესება საკუთარი მეცნიერული რესურსების ამოქმედებით, რაც იწვევდა საბიბლიოთეკო ქსელის ზრდას. მექსიკაში, პერუში, ბრაზილიაში, არგენტინაში იხსნება საუნივერსიტეტო და სამეცნიერო-ესქპერიმენტული ცენტრების ბიბლიოთეკები.

ამ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნების ურთიერთდახმარებასა და ხელშეწყობას. ფრიალ მნიშვნელოვანი იყო 1945 წ. აშშ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად, კონგრესის ბიბლიოთეკის ინიციატივით ამერიკული დახმარების ფონდის შექმნა. საბჭოთა კავშირიც, მიუხედავად საკუთარი გასაჭირისა, ახერხებდა ხელი შეეწყო დაზარალებული ქვეყნებისათვის.

უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც, მიმდინარეობდა მოღვაწეობდა საბიბლიოთეკო საქმის თეორიაში. გამოქვეყნებული შრომები ძირითადად ახალ პრობლემებს ეხება, უმეტესად ინფორმაციის დარგში. ბევრი ნაშრომი ეძღვნება საბიბლიოთეკო საქმის მშენებლობას, ორგანიზაციულ საკითხებს.

საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის განვითარება ომის დროს საკმაოდ შეფერხდა, მაგრამ არსებული ბიბლიოთეკები საკმაოდ ენერგიითა და დროის შესაგყვისად იღვწოდნენ. რაც შეეხება ახალ ბიბლიოთეკებს, მათი რაოდენობა უმნიშვნელო იყო. მაგალითად, მთელი 5 წლის განმავლობაში მხოლოდ 6 მასობრივი ბიბლიოთეკა გაიხსნა. ძირითადი ყურადღება ექცეოდა სამხედრო პაგრიოგული თემატიკის ირგვლივ არსებული ლიგურაგურის პროპაგანდას. გარდა ამისა, ბიბლიოთეკები ასრულებდნენ საზოგადოებრივ საქმიანობასაც – მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო სესხის გავრცელებაში, ფრონტისათვის საჩუქრებისა და

შესაგანების შეგროვებაში, სხვადასხვა სამეურნეო საქმის ორგანიზაციაში. სასოფლო ბიბლიოთეკებთან ერთად მოღვაწეობდნენ საკლუბო და სხვადასხვა პროფკავშირების ბიბლიოთეკები.

სხვა ამოცანების წინაშე იდგნენ სამეცნიერო ბიბლიოთეკები, თუმცა მთავარი მიზანი აქაც ფრონტისათვის ხელშეწყობისათვის ზრუნვა იყო.

გაპსკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა 1941 წელს მეცნიერებათა აკადემიის დაარსება თავისი ბიბლიოთეკით.

ორგანიზაციულ-სტრუქტურული ცვლილებები განიცადა რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ. 1941 წელს აქ შეიქმნა სამხედრო კაბინეტი, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალზე დაშვებულ იქნა წიგნების შინ გაცემის წესი; ხლებოდა წიგნების შეგროვება დაზარალებული ბიბლიოთეკებისათვის. კვლავ აქტიურად მოქმედებდნენ უნივერსიტეტისა და ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკები, წიგნის პალატა და გამომცემლები.

ომის პერიოდში ანალოგიურ ამოცანებს ახორციელებდნენ ავტონომიურ რესპუბლიკათა ბიბლიოთეკები.

საქართველოს ბიბლიოთეკები თავის მოვალეობად მიიჩნევდნენ მომსახურებოდნენ სამხედრო ნაწილებსა და ჰოსპიტალებს. დაჭრილებისათვის სპეციალურად აწყობდნენ მოძრავებსა და გაცემის პუნქტებს.

საერთოდ, ომის პერიოდის საბიბლიოთეკო საქმისათვის თითქმის ყველა ქვეყანაში განსაკუთრებული სიგუაცია შეიქმნა, რომელიც საგრძნობლად განსხვავდებოდა მშვიდობიანი პერიოდისაგან. საბიბლიოთეკო საქმეს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარი პირობები შეექმნა, მაგრამ ერთი თავისებურება მაინც ყველასათვის იყო დამახასიათებელი: შემცირდა კვალიფიციური კადრები, შეფერხებით ხლებოდა ბიბლიოთეკების დაკომპლექტება, ახალი მეთოდების დანერგვა, ბიბლიოგრაფიული სა-

ძიებლების გამოცემა, მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა, დაეცა მაგერიალურ-გექნიკური ბაზის ღონე, მაგრამ მიუხედავად ამისა, საგრძნობლად მოიმატა მკითხველთა რაოდენობამ, გაიმარდა წიგნბრუნვა, მოთხოვნები პერიოდიკასა და ინფორმაციაზე.

ომმა უსაზღვროდ დიდი მაგერიალური და სულიერი ზიანი მიაყენა კაცობრიობას. ბევრი რამ გაკეთდა ომის დამთავრების შემდეგ, მაგრამ შეუძლებელია ანაზღაურდეს ის ზარალი, რომელიც მსოფლიომ განიცადა.

წიგნის ისტორია

ფრიდონ სიხარულიძე

არა არს დაფარული, რომელის არა გამოჩნდეს

ძვ. წ. XI ს-ის ჩანაწერით მოღწეულია ასურულ-ბაბილონური (აქადიური) ერთ-ერთი უძველესი ეთნიკურ-ფილოსოფიური „გილგამეშიანი“, რომელიც ეფუძნება შუმერულ თქმულებებს. ურუქის I დინასტიის (ძვ. წ. III ათასეულის დასაწყისი) მეფე გილაგმეშზე თხზულებაში ასახულია იმდროინდელ მოღვაწეთა მაღალი საზოგადოების ნაწილის უკვდავების მოპოვების დაუოკებელი სურვილი, კაცთა შემადრწუნებელი შიში სიკვდილზე, წარღვნაზე.

ასეთ მოგვივებს არ ასცდენია ძველი აღთქმის წიგნები. მათში შეგანილია გადამუშავებული თქმულებები. საერთოდ, გათვალისწინებულია აღმოსავლეთის ხალხთა ბეპირი და წერილობითი, მემკვიდრეობის დიდი ნაწილი. მთლიანად კი ამ ძეგლს საფუძვლად ებრაელთა გამოცდილება დაედო.

კაცობრიობის თავგადასავლისა და ებრაელთა ცხოვრების ამსახველი თხზულებანი ხანგრძლივი შემოქმედებით ჩამოყალიბდა 23 ს-ის წინათ. რადგან დაწინაურებულ აღმოსავლეთში ერთმანეთს ენასკვებოდა ხალხთა ინგერესები, მშვიდობიან აღმშენებლობას არც თუ

იშვიათად ცვლიდა მღელვარე ეპოქები, ბრძოლა მეობისათვის, ხალხთა ამადლებისათვის, მზრუნველობა თავგადასავლების ჩაწერა – პროპაგანდაზე თვისობრივად შეიცვალა.

მაშინდელ ფართო საერთაშორისო ურთიერთობაში პაგივლებული ენების მეოხებით ქართლოსის შთამომავლები მრავალ ძეგლს თავიანთ თავგადასავალთან, განვლილ გზასთან შესაბამისობით, ხსოვნის გრადიციის მიხედვით აფასებდნენ. უძველეს ამბებს, ანუ შემდეგ დროს გავრცელებული გერმინით – ცხოვრებას, თქმულებებს ბეპირად და წერილობით ავრცელებდნენ. ამ ფართო დიდი მნიშვნელობის მოღვაწეობაში მათ ხელს უწყობდა აღმოსავლეთში მონათესავეთა მრავლად განსახლების ნაშთები, ქართველთა დიასპორის იმდროინდელი სიმრავლე, შორეულ წარსულთა გამოცდილებანი, ურთიერთთანადგომა ჰქმნიდა ვრცელი სამშობლო ქვეყნის შემდგომი აღმავლობის განახლების, განმგვიცების მიზნის მყარ საფუძვლებს.

უამრავი ქართველური მოდგმა მაღალზნეობრივი შემოქმედებით ჩაბმული იყო ზღვითა


და ხმელეთით მაშინდელ მსოფლიო სავაჭრო-ეკონომიკურ, ფართო კულტურულ თანამშრომლობაში. გამორჩეულად იღვწოდნენ ისინი მოწინავე ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკურ თუ ადმინისტრაციულ სარბიელზე.

ახლობელ და შორეულ სახელმწიფოებში, სხვადასხვა კონტინენტზე (აზია, აფრიკა, ევროპა), გზაგასაყარებზე ქართველთა წინაპრებმა შექმნეს დაწინაურებული დიდი მნიშვნელობის კერები, მომხიბვლელი დასახლებები, მაღალი სამეურნეო და სულიერ კულტურაზე მეტყველი კოპწია სოფლები, რომელთა ნაყოფიერი, დამუშავებული ველ-მინდვრები უცხოელებს ახალთმადავარცხნილ ადამიანს აგონებდა. ადგილობრივმა გომებმა შექმნეს თვალსაჩინო, გრანდიოზული ნაგებობანი, სულიერების უკვლავი ძეგლები.

სამყაროს ფრისცვალებაში ნიჭიერ ქართველ მოღვაწეთა აქტიურობა გაპირობებული იყო მოვლენების შეცნობის თითქმის უტყუარი ალლოთი, დარწმუნების რიგორიკული და ლოგიკური

ხელოვნებით, ძლიერი ნებისყოფით, რაც ხელს უწყობდა ქართველთა პოპულარობას, შემოქმედებით წინსვლასა და ავლენდა ახალი იდეების საზიარებლად მათ მზადყოფნას.

თანასწორობის, სათნოების, სამართლიანობისა და საერთო საკაცობრიო მაღალზნეობის იდეები, რომლებიც შემდეგ ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლად იქცა, დიდი ხნით ადრე ამალღებულ საზოგადოებას და ამხნევებდა ქართველ წინაპრებს უკეთესი მერმისისათვის სამოღვაწეოდ.



ქართული წერის ნიმუშები

ქრისტიანობის სახელით თითქმის მზამზარეული იდეების გავრცელების დაწყებამ უმაღლიპყრო საზოგადოებათა ყურადღება მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, ახალ სარწმუნოებაზე ერთდროულად არ მოქცეულა ვრცელ არეალზე განსახლებული ქართველთა მოღგმა. ამას ხელს უშლიდა სხვადასხვა გენდენციები, მძლავრი კონფესიები.

რომის იმპერიაში მიმდინარე ცვლილებებს, განმათავისუფლებელ იდეებს ხელს უწყობდა საერთაშორისო ვითარება, სახელმწიფოთა ურთიერთ მეგობრობა, მახლობელი აღმოსავლეთის ნაირნაირ ხალხთა აქტიურობა, მრავალ

შემთხვევაში ამგვარი მოძრაობის სულისჩამღმელები, ბურგის გამამაგრებულნიც ქართველთა წინაპრები იყვნენ.

სხვადასხვა მიმდინარეობასთან ახალი ქრისტიანული სარწმუნოების ჭიდილში ერთა მძლავრი აღტკინება, შეუდრეკელობის ნიმუშად იქცა ქართველთა მონათესავე კაპალოკიელთა, ქვეყნიერებას სწრაფად მოედო სპა-

რსეთიდან ადრე იმედმოცემულ ლეგიონერ გიორგი კაპალოკიელის მამაცობისა და განჯუაწამების ამბები, რითაც მთავარმოწამის სახელი სასწაულებრივ ამალღებულ ლეგენდებში გაეხვია.

ძველისძველ მშობლიურ ცენტრებიდან დაშორებულ ადგილებში ქართველების ნაწილმა დროულად მიიღო ქრისტიანობა და სახელი გაითქვა ახალ სარწმუნოებაზე უცხოელთა და თანამოძმეთა მოქცევით, ქადაგებებით, თავისუფლებისათვის მამაცური ბრძოლით, მეობა-შე-



გნების ასამაღლებლად გაწეული ღვაწლით.

მოწოდება-მიმართვებთან ერთად, ქრისტიანობის იდეებს სწრაფად იწერდნენ, დაფებსა და ფიცრებზე გამოხატავდნენ ღვთისმშობელ მარიამს.


წმიდა წერილთა შექმნის ჩვეულებისამებრ, სხვადასხვა ეპისკოლეს, თხზულებას, ქადაგებას ისეთივე მნიშვნელობა მიენიჭა, როგორც შემდეგდროინდელ რთული შედგენილობის ღრმა იდეურ წიგნებს. შეიძლება ვთქვათ, რომ ახალი წიგნიერი სარწმუნოება ხელს უწყობდა დამწერლობათა განვითარება-გავრცელებას, ხალხთა ენების არნახული გამდიდრების პროცესის დაჩქარებას, წიგნების გამრავლებას, ლიტურგიის უმაღლეს ორგანიზაციას, ამალელებულ გარდაქმნებს.

ცნობილია კაცობრიობის ერთ ენაზე მეტყველების დიდი ხნის წიგნურ ძეგლად ქცეული არაერთი ხსოვნა და ბაბილონის გოდლის მშენებლობისას ენათა გაყოფა.

უძლიერეს ფეოდალურ საქართველოს მეხოტბე გრადიციამე დაყრდნობით, საკრალური შვიდი რიცხვის საფუძველზე მიუთითებდა ძველ ცივილიზებულ მსოფლიოში საყოველთაო ურთიერთობისას გავრცელებულ ხალხთა ენებს, რომელთა შორის იგულისხმება ქართველთა წინაპრების მეტყველებაც:

„რომ ენა შვიდი, მათთვის დამშვიდი, სამრახველ იყო სულთა ყოველთა, ასურთა, ინდთა, რომთა და სინდთა, ბერძენთა, სპარსთა, ავ-მაგოველთა. მაშინდა ნებროთ ჭკვით სამისებროთ

გოდოლი კელყო შენებად ველთა.“
გადმოცემით, ჩვენს წინაპრებში იგულისხმება გურგანის ზღვის აღმოსავლეთი-ავ-მაგოგთა სამკვიდრო. წერილობით წყაროში დაცულია გვიანდელი გოგემი გურგ/გეორგია. მათი მეტყველებაც თანდათან რამდენიმე ხალხის (ჰინდი, სინდი, სპარსი) საერთაშორისო ენათა გავლენაში მოექცა. აქვე უნდა ითქვას, რომ ინდოელებთან ძველისძველ ურთიერთობაზე მიუთითებს ყოფა-ცხოვრების ბოგი ფაქტი, მათ შორის ქართული მუსიკის (გალობის) მრავალხმიანობა, ნარდის, ჭადრაკის კულტურა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გავრცელებული „აბდალი“, გვარსახელი აბდალაძე დამწერლობის ბოგ ასონიშანთან სიახლოვე თუ ვახგანგ გორგასლის მრავალწლოვანი თავგანწირული სწრაფვა ინდოეთისაკენ. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, სინდეთში – ამ უშორეს ქვეყანაში, ვახგანგ გორგასლის მთავარსარდლობით ძლევამოსილი ლაშქრობის შედეგად, ქართული დროშა – ჯარის ეს საამაყო ნიშან-



ქართული წერის ნიმუშები

სიმბოლო „მისპეგაკა“ ანუ სამუდამოდ წმიდად იქცა.

დაბადებაში მოთხრობილი ერთ ენაზე კაცობრიობის მეტყველების ანუ ერთიანობის მოსმენა თუ წაკითვა მსმენელებსა და მკითხველებში უმრავლესობის მშობლიურ სასაუბრო ენაზე თავისი დამწერლობის კულტურის ჩამოყალიბების სურვილს უმძაფრებდა, ხოლო შემდეგ, ძველისძველი ძეგლების მსგავსად, მრავალხმიან (რეა, ცხრა) საგალობელთა გამრა-

ვლება-გავრცელების იმელსაც უნერგავდა.

მრავალი იდეური მიმდინარეობის შედეგად მაშინ არსებული ძნელი პირობების მიუხედავად, აღმოსავლეთში ახალი საგანმანათლებლო მოღვაწეობის მესვეურები იმთავითვე ქადაგებდნენ ენათა აღორძინებას, კულტურული თანამშრომლობის მანამდე არნახულ განვითარებას.

აღორძინება-წინსვლა ღვთისგან ბოძებული უფლებაა!

სანუკვარი ოცნების ხორცშესხმისათვის სტიმული ეძლეოდა მცირერიცხოვან ხალხებსაც, მაგრამ ერთია უფლება, და სულ სხვაა ბრძოლით მისი მოპოვება – ამალღება.

საჭირო იყო ასეთ ნაოცნებარ უფლებებს ერები უპირველესად მომზადებულნი შეხვედროდნენ. ამას გედ უნდა დართოდა ფართოდ გაფანტულ მონათესავეებსა თუ მეზობლებზე აღმაგება – ძლიერება განსახლების სივრცის დასაცავად და თანდათანობით მაღალი ღონის ასათვისებლად.

ახალი სარწმუნოების იდეებით აღფრთოვანებული ძირძველი კულტურის შემოქმედნი და არენაზე ახალგამოსულნი ამოდრავდნენ დასახულ მიზანთა მისაღწევად.

საერთაშორისო თანამშრომლობის ცვლის შედეგად კულტურული აღმავლობის ამ დიდ და ხანგრძლივ პროცესში, ცხადია, ყველა თანაბრად როდი იმკიდა სასურველს.

უფლებრივი თანასწორობის პირობებშიც, ახლად ამოდრავებულ ხალხებს დაწინაურებულ მეზობელ ერთა საგანმანათლებლო მისია უნდა ეღიარებინათ. ეს იყო მათი გადარჩენის საფუძველი იმდროინდელ მღელვარე სამყაროში.

ასეთ ვითარებაში მოქნილობას უკეთ ავლენდნენ დიდი გრადიციის მქონე აქტიური და ნაყოფიერი შემოქმედნი ამა თუ იმ გეოსტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს რეგიონში, მთის, ბეგანისა და ბარის სამეურნეო-კულტურული და პოლიტიკური განვითარების პროცესის უნარიანად, უკონფლიქტოდ წარმართვისას.

თანაცხოვრების, თანამემობლობის, ურთიერთმეგავლენისათვის შემზადებულ ხალხებს წინსვლის სადავეები ხელიდან არ გაუშვიათ. სხვადასხვაენოვანი ეთნიკური ჯგუფები სახარებას დაეწაფნენ განვითარების ღონით მათზე მაღლა მდგომთა ენაზე და გაჰყვნენ შემდგომი კულტურული ამაღლებისათვის ხანგრძლივ მოღვაწეობაში. ქართველებმა ეს წმიდა წიგნი მშობლიურ ენაზე აღრევე გადმოიღეს.

მრავალმხრივ გამორჩეული იყო კავკასიის რეგიონი. ჩანს, ენათა გამრავლების შედეგად კავკასიის მკვიდრნი ქართლოსიანნი იქცნენ სამყაროს სხვადასხვა ნაწილში განსახლებულ ნათესავთა შემაკავშირებლად, ახალ კულტურულ სამყაროს ჩამოყალიბების მესვეურებად.

ამას ხელს უწყობდა შორეულ ეპოქებში განმგვიცებული ქართლოსის საფლავისადმი თაყვანისცემა, რაც გაფანტულ ჩამომავლობით (ქართლოსიანთა) ნათესავეებს უღვივებდა მშობლიურ საერთო კერისადმი კრძალვა-სიყვარულს. ფაქტიურად, ეს იყო ქართლის ჩამოყალიბებული გერიგორიის, ქართულ ენაზე მოლაპარაკეთა, ერთიანი რჯულის ქართლოსის საფლავის თაყვანისცემელთა წარსულის ხსოვნის ერთგულად დაცვა, თავისთავადი სარწმუნოება, კულტურა, განამგვიცებდა მათ ერთობას.

მოქნილი, სწრაფად განვითარებადი ენა აღვილებდა სამეურნეო, კულტურულ ურთიერთობებს, აცხოველებდა პოლიტიკურ კავშირებს, ხელს უწყობდა სახელმწიფოს ნაწილთა შეკრებას, შემჭიდროებას მათი საერთო შეგნების ხალხად.

ერთიანი კავკასიის წყალუხვ მდინარეთა აუზებში გაბოიკვეთა კულტურულ-ეკონომიური თანამშრომლობის მაღალგანვითარებული ცენტრები (ქართლი, ეგრისი, ჰერეთი). შორეულ წინაქრისტიანულ ხანაში, უმთავრესად ალაზნის, მტკვრის, ფაზისის, ენგურის, ჭოროხის ხეობებში მოსახლეთა ეროვნულ-კულტურული ცნება გამოხატავდა სამეურნეო, სუ-

ბადრი ცხადაძე

პალეოგრაფიულ-ნიგნთმცოდნეობითი ტერმინები ქართულში (კაბალონი)

მ

ანამედროვე ქართულ ენაში კაბალონი პალეოგრაფიულ-ნიგნთმცოდნეობითი ტერმინია. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (რვაგომეულის) მეოთხე ტომის მიხედვით, კაბალონი ძველი სიგყვაა, ნიშნავს დაწერილი ფურცლის ცალ პირს ანუ გვერდს. ამ განმარტებისას დამოწმებულია სულხან-საბა ორბელიანის „სიგყვის კონა“ (1, გვ. 101). აქედან წარმოდგა ფიგურალური გამოთქმა ცის კაბალონი, „ცის კამარა“ ანუ „ცის გვერდი“. შღრ. „ცის კიდური“. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, ასევე ი. აბულაძის (2) და ზ. სარჯველაძის (3) ძველი ქართული ენის სალექსიკონო მასალებში ეს სიგყვა არ ჩანს. ძველ ქართულ პალეოგრაფიულ ტერმინებს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა და ცალკე წიგნადაც გამოსცა მ. სურგულაძემ (4), მაგრამ ამ ნაშრომშიც ეს პალეოგრაფიული ტერმინი ვერ აისახა.

სულხან-საბას განმარტებით: კაბალონი ფურცლის ცალი პირია, ხოლო კაბალონის ნახევარი – გვერდი (5). ამავე წიგნში იქვე ლექსიკოგრაფს შეუტანია ამ სიგყვის ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმა კაპაგონი-ც, რაც ასე განუმარტავს: კეფი, წიგნის ფურცელი (5). დავით და ნიკო ჩუბინაშვილებიც ორივე ფორმას იცნობენ: კაბალონი//კაპაგონი – წერილთ ფურცლის ცალი გვერდი, СТРАНИЦА (6,585), (7,241).

კაბალონი რომ მართლაც ძველი სიგყვა უნდა იყოს, ივანე ჯავახიშვილიც აღნიშნავს. ბაგონ ივანეს თქმით, „ამჟამად XVIII ს-ზე

ადრინდელი ძეგლი ხელთ არა მაქვს, რომელშიაც ტერმინი კაბალონი იყოს ნახმარი, მაგრამ თვით სიგყვა ძველია და მომავალში ამაზე უფრო ადრინდელი ძეგლებიდანაც შესაძლებელი იქნება ამონაწერების მოყვანა. 1800 წლის ერთ ხელნაწერში აღნიშნულია: „უმეგესად მუკლთა ზელა... ვჰსწერენ კაბალონნი ამისნი-ო“ (დამოწმებულია თელო ჟორდანიას Onic. გვ. 293 (8, 63-64). ი. ჯავახიშვილის დასკვნით, ირკვევა, რომ იმას, რასაც ახლა გვერდს ვუწოდებთ, ძველად კაბალონი ჰრქმევია, ხოლო გვერდები მაშინ ფურცლის ზელა და ქველა პირზე, ერთ გვერდზე ორ სვეტად ნაწერის სვეტებს ეწოდებოდა და გვერდი სწორედ „ნახევარს კაბალონისას“ ანუ ერთ სვეტს აღნიშნავდა... (8,64). მაგრამ საყოველთაო გაგებით, კაბალონი წერილის ერთი ფურცელია, როგორც თ. ბაგრატიონიც განმარტავს, სხვების მსგავსად (9,67). ფიქრობთ, კაბალონი//კაპაგონი ლექსემა წარმოშობით ქართული სიგყვა უნდა იყოს, რასაც ცხადყოფს ქართული ენის დიალექტთა მონაცემები. დ. ჩუბინაშვილის განმარტებით, კაბლო ფარცხის წინ მიკრული გრძელი ფიცარია, ДОСКА БРОНОВАЯ კაბალოილასტი БРОНА (6,586). ფშაურ კილოშიც კაბლო ფარცხის ფიცარია, რომელიც ასწორებს და აფხვიერებს ხნულს, მიწის გორბებს (10,116). ქიზიყურშიც კაბლო ფარცხის წინ მიბმული ფიცარია, ჩაქზე დგას, გორახს ანგრევს, ფშვნის და ხნულს ასწორებს (11). კაბალო შემოუნახავს მეგრულსაც: კაბალო – საფარცხი, ნიადაგის დასამუშავებელი ხის ინვენტარი (12,191), აგრე-

თვე კაპიგო-ს სახით (13,75). ქართული ენის იმერულ დიალექტში კაბლოს გვერდით კაპტო-ც გვაქვს: „კაპტობადიმი“ (14,79). ბადიმი კი, ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით, ორმოს პირია ოთხკუთხედად ამოგებული ხეებით (7,147). გურულში კი კაპტო კაპო-ს სახით შემონახულა: კაპტო-კაპო (დ//გ-ს დაკარგვით) „მიწის გასაფხვიერებელი მაგარი ფიცარია“ (1, 1066). აღსანიშნავია, რომ ქართული ენის ქართულ დიალექტში ღღემდე შემორჩენილია ხატოვანი გამოთქმა კაბადოს გადაგარება, რაც ნიშნავს მგრისგან მოყენებულ ვნებას, განადგურებას, აოხრებას, აკლებას (15,60). კაბადო-სთან კავშირშია და მისგან – ურსუფიქსის ღართვით ნაწარმოებია კაბადურ ლექსება, რომელიც ერთერთ ქართულ სიმღერას ერქვა (1,1004). შღრ. „იქ ისმის, ღილა ოღელა“, „კაბდური“, თინათინაო“ (აკაკი). კაბდური (შღრ.ნადური), ჩანს, ხვნა-თესვასთან დაკავშირებული, გლეხური სამეურნეო ყოფის ამსახველი სიმღერა უნდა ყოფილიყო.


კაბადონი ლექსემის სახეცვლილი ფორმაა კადონი, რომელიც დ. და ნ. ჩუბინაშვილების მიერ ასეა განმარტებული: „ძელი ფრიალოთა ზელა გასადები ხარისხედად მოსწორებისათვის მიწისა დასათესად“, ან სხვაგვარად: „ღებულთა ცხენთა შორის გაღებული ლაგანი, რომ ერთმანეთს არ ერჩოლონ (6,241), გასადები ძელი ან ლაგანი, перекладаина, нрус (6, 587).

და ბოლოს: კადონ-ის დიალექტური, ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტი შემოუნახავს ზემოიმერულ კილოკავს, კადო ფორმით, ქ. ძოწენიძე მას ასე განმარტავს: „კადო-ერღოიან სახლში შუაცეცხლის ზევით ღირეებზე გაღებული ლაგნები (16,182).

ამრიგად, მიუხედავად კაბადონ ლექსემის, როგორც პალეოგრაფიულ-წიგნთმცოდნეობის გერმინის არშემონახვისა, ძველად, როგორც ჩანს, მაინც უნდა არსებულიყო, მისი დიალექტური და მისგან წარმოქმნილი სიგყვათ ფორმები,


ხვნა-თესვასა და საამშენებლო ლექსიკაში დაუნჯებული, ღღემდე შემოუნახავს ქართულ ენას, მის დიალექტებს, მეგრულსაც კი (სვანურ ენაში ეს ფუძე არ ჩანს).

კაბადონ და მისგან დიალექტურ-ფონეტიკურად სახეცვლილი ლექსემების წარმოება – წარმოშობის გზა საბოლოოდ ასე წარმოგვიდგინა:



ამ სიგყვებში უხვალაა წარმოჩენილი ქართული ენისა და მისი დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესები: მჟღერი ბგერის დაყრუება – გამკვეთრება (კაბადონ კაპატონ, კაპო – კაბო – კაბდო). ბოლოკიდური ნარის მოკვეცა სიგყვის აბსოლუტურ ბოლოში – აუსლაუტში: კაბდო (კაბადონ) – კაპტონ – კაპტო, სადაც იმავედროულად ფუძისეული ა ხმოვანიც ამოვარღნილია, მეგრულში კი პირიქით: ი ხმოვანი გაჩენილა: კაბდო – კაპტო – კაპიგო. სიგყვასაწარმოებელი – ურ სუფიქსის ღართვისას კი კაბდოსეული ო ბოლოკიდური ხმოვნის კვეცა მომხდარა: კაბდოური – კაბდური (შღრ. გოპ. ბუნდო – აქედან გვარ-სახელი ხადური, გყლაპი, გყლუპო, მაგრამ: გყლაპური. გოპ. ჭრებალო – ჭრებალოური // ჭრებალოური... სხვა შემთხვევაში ბა მარცვლიც დაკარგული (კაბადონ – კადონ), ბოლოკიდური ნარის: კაბადონ – კადონ, კადო, და დონიც. კაპო – კაბო – კაბდო (იმავედროულად მჟღერი ბ-იანის დაყრუება – გამკვეთრებით...).

ისტორიულად კაბადონ, როგორც სასოფლო-



სამეურნეო გერმინის მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო ლაგნის (ან ლაგნების, მინიმუმ ორის მაინც), ფიცრის აღნიშვნა, რომელიც შემდგომ იქცა წიგნთმცოდნეობით – პალეოგრაფიულ გერმინად: ფიცრის (ზოგჯერ ფიცრის ორივე მხარის) გამოყენება შეიძლება ამოსაკვეთად, საწერად. აქვე დავძენთ, რომ ძველ რომში ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე იქმნებოდა სხვადასხვა ამბის შემცველი კრებულები


(მაგ „სენაგის სხდომათა მოკლე ოქმები, რომელთა ცხოვრების ამსახველი ფაქტები, მოვლენები, აგრეთვე განცხადებები...), რომლებიც განსაკუთრებულ დაფა-ფიცარზე იწერებოდა (იგი დაფარული იყო თაბაშირით და ათავსებდნენ სამოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში (17, 17-18), რაც ქურნალისტიკის გარიჟრაჟად, ამ ჰუმანიტარული დარგის მცდელობა-ჩანასახადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: (რვა ტომეული) / პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით; ტ. 10. – თბ., 1955.
2. აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი: (მასალები). – თბ. 1973.
3. სარჯველაძე მ. ძველი ქართული ენის ლექსიკონი: (მასალები). – თბ., 1995.
4. სურგულაძე მ. ძველი ქართული პალეოგრაფიული გერმინები. – თბ., 1978.
5. ორბელიანი სულხან-საბა. თხზულებანი ოთხ ტომად. / IV; ლექსიკონი ქართული; ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით. – თბ., 1965.
6. ჩუბინაშვილი დ. ქართულ-რუსული ლექსიკონი / სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ. მე-2 გამოცემა, აღდგენილი ოფსეტის წესით.
7. ჩუბინაშვილი ნ. ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ. / აღ. ლლონგის რედაქციითა და გამოკვლევით. – თბ., 1961.
8. ჯავახიშვილი ივ. ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია: მე-2 გამოცემა. – თბ., 1949.
9. ბაგრატიონი თ. წიგნნი ლექსიკონნი / მასალები შეკრიბა, ანბანზე გააწყო, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გ. შარაძემ. – თბ., 1979.
10. ხორნაული გ. ფშაური ლექსიკონი /

- პროფ. აღ. ლლონგის რედაქციით; (8046 სიგევა). – თბ., 2000.
11. მენთეშაშვილი სგ. ქიზიყური ლექსიკონია. თოფურიას რედაქციით. – თბ., 1943.
12. ელიავა გ. მეგრულ-ქართული ლექსიკონი., (მასალები). პროფ. კ. დანელიას რედაქციით. თბ., 1997.
13. ჭარაია პ. მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი / კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა დ. თვალთვაძემ; მ. სარჯველაძის რედაქციით. – თბ., 1997.
14. გაჩეჩილაძე პ. იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, – თბ., 1976.
15. შატბერაშვილი გ. თვალადური ქართულის ჭაშნიკი – თბ., 1964.
16. ძოწენიძე ქ. ზემოიმერული ლექსიკონი. – თბ., 1974.
17. გაგოშიძე შ. ქურნალისტიკის საფუძვლები. – თბ., 1996.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი
 გურ – გურული
 იმერ – იმერული
 მეგრ – მეგრული
 გოპ – გოპონიმი



მიმდინარე წლის 24 მარტს შედგა საქართველოს პრეზიდენტის – მიხეილ სააკაშვილის ოფიციალური ვიზიტი უკრაინის რესპუბლიკაში.

ამ ვიზიტის ფარგლებში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტად მოიაზრებოდა 2005 წლის გამოცხადება უკრაინაში საქართველოს წელიწადად. ასე რომ, მიმდინარე წელს მრავალი შესაბამისი კულტურული ღონისძიების ჩატარებაა დაგეგმილი უკრაინაში. ამ კულტურულ ღონისძიებებს შორისაა სოლიდური მოცულობის კრებული, რომლის დასახელებაც, სავარაუდოდ, ასეთი იქნება – „ტარას შევჩენკო და საქართველოს“.

ამ წერილში სწორედ ქართული შევჩენკოლოგიის ვრცელი ისტორიის უმნიშვნელოვანეს ფაქტებზე გვესაუბრება ავტორი.



ნანა ფირცხალავა
საქ. მეცნ. აკად. ცენტ. სამეცნიერო ბიბლიოთეკის
ღირექტორის მოადგილე

პოეტი-პრომეთეოსი

(ტარას შევჩენკო და საქართველო)

შევჩენკო და საქართველო...

უკრაინა და საქართველო...

ქართველი და უკრაინელი ხალხების ურთიერთისაღმი ინტერესი აღრეულ საუკუნეებში იღებს სათავეს. ღრმა ფესვები აქვს ქართულ-უკრაინულ სამწერლო ურთიერთობებსაც. მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან კი ქართველი მკითხველი უკრაინელი მგოსნის ტარას შევჩენკოს ცხოვრებასა და მოღვაწეობასაც გაეცნო.

ტარას შევჩენკო, მართალია, არასოდეს ყოფილა საქართველოში, მაგრამ როგორც მისი ნაწერებიდან ირკვევა, ბევრი რამ იცოდა ჩვენი ქვეყნის შესახებ. ამ ცოდნაში ალბათ თავისი წვლილი აქვს შეგანილი პოეტის ნაწარმოებების ილუსტრატორს ი. პ. დე ბალმენისს, რომელიც 1845 წელს დაიღუპა კავკასიაში და ვის ხსოვნასაც მიეძღვნა ბრწყინვალე პოემა „კავკასი“.

„მთების იქით მთები, შებურვილი
ნისლით,
მწუხარებით სავსე და მორწყული
სისხლით.
ძველთაგანვე პრომეთეოსს

აქ არწივი სძიძგნის,
გულს უკორტნის, მოთქრიალებს
ნაკადული სისხლის.
ეწაფება და ვერ აშრობს
სისხლის ცხოველ წყაროს,
გული ისევ მოცოცხლდება,
ძველებურად ხარობს
და სიმართლევ არ მოკვდება,
ვერ ჩაკლავენ ლაღებს,
რაგინდ ხარბი გული გქონდეს,
ვერ გადახნავ ტალღებს,
ვერ შებორკავ კაცის სიტყვას,
რომ სიმართლეს ერთვის,
ვერ შებილწავ ღმერთის სახელს,
მარად ცოცხალ ღმერთის.
(თარგმანი კ. ლორთქიფანიძის)

უდავოა, რომ ტარას შევჩენკო კავკასიელი ხალხების ცხოვრებას იცნობდა პრესით, წიგნებით, დიდი რუსი მწერლების ალექსანდრე პუშკინისა და მიხეილ ლერმონგოვის ნაწარმოებებით, მას ალბათ ბევრს უყვებოდა საქართველოზე ქართველი ახალგაზრდა გიორგი

მაისურაძე, რომელთან ერთადაც პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა.

მე-19 საუკუნის ორი დიდი მწერლის აკაკი წერეთლისა და გარას შევჩენკოს შეხვედრა რუსეთის ისტორიის მეკლევარის ნ. კოსტომაროვის ბინაში მოხდა. ამ შეხვედრის შესახებ მეგალ საინტერესოდ და დეტალურად ჰყვება აკაკი წერეთელი თავის სტაგიაში, რომელიც გაზეთ „ზაკავკაზი“-ს 1911 წლის 26 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა. მასა და კოსტომაროვს შორის გამართულა მეგალ საინტერესო საუბარი, რითაც უაღრესად დაინტერესებულა გარას შევჩენკო. „რა ბევრი რამე აქვს საერთო ამ ხალხს ჩვენს ხალხთან!“ – უთქვამს მას“. ჩვენ გავშორდით როგორც მეგობრები და პირობა დავდეთ, რომ უფრო ხშირად შევხვედროდით ერთმანეთს.

მაგრამ ვაი, რომ ჩემს ბედნიერებას აღარ ელირსა განხორციელება. მხოლოდ ეს პირველი და უკანასკნელი შეხვედრა დარჩა ნათელ მოგონებად მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე. ვაღიარებ, რომ მე პირველად მისი სიყვებებიდან გავიგე, თუ როგორ უნდა სამშობლოსა და საკუთარი ხალხის სიყვარული“, – წერდა აკაკი გარას შევჩენკოზე.

გარას შევჩენკოს ნაწარმოებების თარგმანების ბეჭდვა ქართულ პერიოდულ პრესაში მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო. პირველად მისი პოემა „მუშა-ქალის“ ნიკო ლომოურის თარგმანი ილია ჭავჭავაძემ დაბეჭდა გაზეთ „ივერიის“ 1881 წლის მე-5 ნომერში. 1886 წელს ჟურნალმა „თეატრმა“ გამოაქვეყნა მამია გურიელის მიერ თარგმნილი შევჩენკოს ლექსები, რასაც მოჰყვა 1908 წლის 16 მაისს გაზეთ „ცხოვრების სარკეში“ გამოქვეყნებული

იასამანის (მიხეილ კინწურაშვილის) მიერ ნათარგმნი გ. შევჩენკოს „ანდერძი“.

გასული საუკუნის დასაწყისში ჟურნალებმა „ნაკადულმა“ (1911, №3), „ნაკადულმა მობრდილთათვის“ (1911, №3), „განათლებამ“ (1911, №9) და გაზეთმა „კოლხიდამ“ (1911, 3 აპ, 19 მაისი, 11 ივნ. და 22 თქტომბ.) გამოაქვეყნეს ს. ხუნდაძის, დ. თომაშვილის, მ. უმნაძისა და ნ. კინწურაშვილის მიერ თარგმნილი გ. შევჩენკოს ლექსების თარგმანები, ხოლო 1917-18 წლებში პოეტის ლექსების იასამანისეული თარგმანები გამოაქვეყნეს ჟურნალმა „თეატრმა და ცხოვრებამ“ და გაზეთმა „ერთობამ“.

1911 წელს, დიდი პოეტის გარდაცვალების 50 წლისთავთან დაკავშირებით, ქართულ პრესაში გამოქვეყნდა წერილები გ. შევჩენკოს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ჟურნალ „განათლებლაში“, რომელსაც რედაქტორობდა ცნობილი მოღვაწე ლუარსაბ ბოცვაძე, პოეტმა სავლე აბულაძემ დაბეჭდა გ. შევჩენკოსადმი მიძღვნილი ლექსი. იმავე წელს ჟურნალ „ჯეჯილში“ გამოქვეყნდა ლადო გეგეჭკორის ლექსი „მგოსნის საფლავი“. გ. შევჩენკოს გარდაცვალების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სტატიები გამოაქვეყნეს „სახალხო გაზეთმა“ და გაზეთმა „კოლხიდამ“, 1912 წელს კი ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტმა გამოსცა ა. გარსევანიშვილის წიგნი „უკრაინის მგოსანი გარას შევჩენკო“.

1911 წლის მარტში „სახალხო გაზეთში“ დაბეჭდა ინფორმაცია ბაქოში გარას შევჩენკოს იუბილეს გამართვასთან დაკავშირებით, რომელსაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს განყოფილებიდან საქა-



საქართველოს სსრ მცენებრთა აკადემია
ცენტრალური სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ტარას შევჩენკო

საქართველოში გამოქვეყნებული 8. შევჩენკოს
ნაწარმოებებისა და მის შესახებ ლიტერატურის
ბიბლიოგრაფია

საქართველოს სსრ მცენებრთა აკადემიის გამოცემა
თბილისი-1983

რთველოს წარმომადგენელიც დასწრებია და იუბილარზე საინტერესო სიტყვაც უთქვამს.

გ. შევჩენკოს ცხოვრებასა და მოღვაწეობას ორი წერილი მიუძღვნა გამოჩენილმა ქართველმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ იაკობ გოგებაშვილმა. ჟურნალ „ჯეჯილის“ 1911 წლის მე-3 ნომერში გამოქვეყნდა მისი წერილი „ტარას შევჩენკო – დიდი პოეტი უკრაინისა“. წერილში იგი ხაზგასმით მიუთითებს შევჩენკოს შემოქმედების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე. 1911 წელს „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებულ წერილში „პაგარა ბართი დიდი პოეტის შესახებ“ ი. გოგებაშვილი წერდა: „ვურჩევ ჩვენებურ პოეტებს გაამდიდრონ ჩვენი ლიტერატურა შევჩენკოს ქმნილებათა თარგმანებით. ეს თარგმანები ჯერ ბეჭდონ ჟურნალ-გაზეთებში და შემდეგ ცალკე კრებულებად გამოსცენ“.

საქართველოში აქტიურად გამოეხმაურა გ. შევჩენკოს გარდაცვალებიდან 75 და დაბადები-

დან 125 წლისთავებს. გაზეთებში: „კომუნისტი“, „ლიტერატურული საქართველო“, „კომუნისტური განათლება“, „მუშა“, „ინდუსტრიული ქუთაისი“, „საბჭოთა აჭარა“, „საბჭოთა მასწავლებელი“, „საბჭოთა ოსეთი“, ჟურნალებში „საბჭოთა ხელოვნება“, „მნათობი“, „პიონერი“, „ჩვენი თაობა“, „ბოლშევიკი“ და აგრეთვე რაიონულ გაზეთებში გამოქვეყნდა ტარას შევჩენკოს ლექსები და პოემები, წერილები და გამოკვლევები მის შესახებ.

პოეტის გარდაცვალებიდან 75 წლისთავთან დაკავშირებით წერილები გამოაქვეყნეს ვალერიან გაფრინდაშვილმა და ირაკლი აბაშიძემ, ლექსები თარგმნეს პოეტებმა: სიმონ ჩიქოვანმა, დავით გაჩეჩილაძემ, კარლო კალაძემ, ნიკოლოზ მიწიშვილმა, ნ. კინწურაშვილმა, ირაკლი აბაშიძემ, გიორგი ქუჩიშვილმა, მიხეილ უზნაძემ, ხარიტონ ვარდოშვილმა, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, ილო მოსაშვილმა, შალვა რადიანმა, ანა ჩხეიძემ, ალექსანდრე სულავამ, გ. შევჩენკო-მხატვარს სგაგია უძღვნა შალვა ალხაბიშვილმა.

ტარას შევჩენკოს დაბადებიდან 130 და 135 წლისთავებისადმი მიძღვნილი მასალებიდან შეიძლება დავასახელოთ: მ. კინწურაშვილის (იასამანის) სგაგია „უკრაინა და საქართველო. ლიტერატურული ურთიერთობანი. მასალები გ. შევჩენკოს შესახებ“, გრ. მაჭავარიანის „დიდი სახალხო პოეტი“, ი. მეგრელიძის „დიდი კობზარი“ და ს. ცაიშვილის „გ. შევჩენკო, აკაკი და ი. გოგებაშვილი“.

საქართველოსა და უკრაინის კულტურული ურთიერთობის ისტორიას მიეძღვნა ა. ბარამიძის, ლ. ასათიანისა და ბ. ჟღენტის ნაშრომი, რომელიც 1954 წელს გამოსცა გამომცემლობა „მეცნიერება“. წიგნში გ. შევჩენკოს შესახებ არის საინტერესო დაკვირვებები.

„შევჩენკო და ქართული მწერლობა“ – ასეა დასათაურებული გ. შევჩენკოსადმი მიძღვნილი მასალები პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის წიგნში „ლიტერატურული ნარკვევები“,



რომელიც 1957 წელს გამოსცა „სახელგამმა“.

წიგნში „ლიგერატურული წერილები“ გ. შევჩენკოს ფართო ადგილი დაუთმო თ. ბუაჩიძემ. ეს წიგნი 1960 წელს გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“.

1961 წელს შესრულდა 100 წელი გარას შევჩენკოს გარდაცვალებიდან. საიუბილეო საღამო გახსნა პოეტი-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ. მოხსენება გარას შევჩენკოს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გააკეთა თენგიზ ბუაჩიძემ. სიყვებით გამოვიდნენ და პოეტის ლექსების თარგმანები წაიკითხეს ქართველმა მწერლებმა, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნდა ასამდე წერილი, გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა პოეტის ნაწარმოებთა „რჩეული“, ს. ჩიქოვანმა თარგმნა „ანდერძი“, კ. ლორთქიფანიძემ – „კავკასი“, ლ. ერაძემ – „გაზაფხული“. გ. ლეონიძემ ჟურნალ „დროის“ 1961 წლის მე-4 ნომერში გამოაქვეყნა ლექსი, რომელშიც გარას შევჩენკოს პოეტი-პრომეთეოსი უწოდა.

„პოეტო-პრომეთეოსო,
შენს სასტიკ დროს რომ ემდური,
ცხოვრებამ გასვა ძირმწარე,
ძმარი ბალღამში შერთული!
ვერ შემოგძარცვეს ნათელი,
დღესაც იმ სხივით ეგზნები,
სისხლხორცეულად ხალხს დააქვს
შენი ნაცრემლი ლექსები!
სიცოცხლის ცეცხლის დამბერი,
სამშობლოს გამათბობელი...
კობზარი შევარდენია,
სიკვდილის გამაპობელი!“

გ. შევჩენკოს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე საინტერესო წიგნი შექმნა აკაკი გელოვანმა, ვ. ძიძიგურმა თარგმნა კ. პაუსტოვსკის „გარას შევჩენკო“.

1964 წლის მარტში გარას შევჩენკოს იუბილეს მსოფლიო მასშტაბით მოწყობის შესახებ,

1963 წლის 8 თებერვლის ნომერში ინფორმაცია გამოაქვეყნა „ლიგერატურულმა გაზეთმა“.

1963 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მოამზადა და გამოსცა ბიბლიოგრაფიული საძიებელი „გარას შევჩენკო. საქართველოში გამოქვეყნებული გ. შევჩენკოს ნაწარმოებებისა და მის შესახებ ლიგერატურის ბიბლიოგრაფია“. ბიბლიოგრაფია შეადგინეს ალათაროვამ და ცისანა გენძეხაძემ. სხვათა შორის, მაშინ სრულიად ახალგაზრდას, მეც მომიწია გარას შევჩენკოს ბიბლიოგრაფიაზე მუშაობა და გარკვეულწილად აქედან დაიწყო ჩემი დაინტერესება გარას შევჩენკოს ცხოვრებითა და შემოქმედებით. ბიბლიოგრაფიამ დიდი დახმარება გაუწია გარას შევჩენკოს შემოქმედების მკვლევარებს და მომავალშიც დაეხმარება მათ.

1964 წლის შემდეგ ბევრი საინტერესო მასალა გამოქვეყნდა გარას შევჩენკოზე. მათ შორის გრ. ნადარეიშვილის წიგნი „გარას შევჩენკო ქართულ ლიგერატურაში“. გარას შევჩენკოს პოემიას პოეტი-სიმონ ჩიქოვანმა წერილი უძღვნა, რომელიც შესულია 1966 წელს გამოქვეყნებულ სიმონ ჩიქოვანის წერილების კრებულში.

„შევჩენკო ქართულ თარგმანებში“ – ასე დასათაურეს თავიანთი სტატია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა ლილია ხაგიაშვილმა და სოლომონ ხუციშვილმა.

უკრაინული ლიგერატურის კლასიკოსის, ახალი უკრაინული ლიგერატურის ფუძემდებლის გარას შევჩენკოს ცხოვრებასა და შემოქმედებას ო. ბაქანიძემ მიუძღვნა ნაშრომი, რომელიც 1989 წელს გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“.

გარას შევჩენკოს შემოქმედებისადმი ქართველი საზოგადოების ინტერესი არც შემდეგ წლებში განელებულა, მაგრამ ამ თემაზე საუბარს ვეღარ გავაგრძელებ იმ უბრალო მიზე-

მის გამო, რომ, სამწუხაროდ, ეს მასალა ბიბლიოგრაფიულად სრულად აღარ აღნუსხულა, ეს ხარვეზი კი აუცილებლად ამოსავსებია.

სწორედ ამ ხარვეზის ამოვსების მიზნით, ორმოცი წლის შემდეგ კვლავ მივუბრუნდი ტარას შევჩენკოს საქართველოში გამოქვეყნებული ლიტერატურული მასალის მოძიებას – საქართველოში უკრაინის საელჩოს ინიციატივით და თანადგომით. მე და ჩვენი ბიბლიოთეკის მთავარმა ბიბლიოგრაფმა ლუარა კობერიძემ ჩვენი, საქართველოს სხვა დიდი ბიბლიოთეკებისა და საქართველოს წიგნის პალატის წიგნსაცავებში დაცულ პერიოდულ გამოცემებში ტარას შევჩენკოზე დაბეჭდილი მასალებიდან გადავიღეთ ქსეროასლები. შევაგროვეთ პოეტის ლექსების ქართულ ენაზე მთარგმნელთა ფოტოსურათები და დისკეგაზე გადავიტანეთ.

დისკეგაზე აღებეჭდეთ ასევე ტარას შევჩენკოს ქართულ ენაზე გამოქვეყნებული წიგნების ყლები და თავფურცლები. ამით შევეცადეთ ჩვენი წვლილი შეგვეტანა ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების გაღრმავებაში, ხელი შეგვეწყო უკრაინელი მეგობრებისათვის ტარას შევჩენკოზე წიგნის გამოცემაში, შევეცადეთ, ერთხელ კიდევ დაგვედასტურებინა ჩვენი დიდი პატივისცემა და მოწიწება უკრაინელი ხალხის საამაყო შვილის ტარას შევჩენკოსადმი.

მამ ასე, 2005 წელი საქართველოს წელია უკრაინაში. მომავალი წელი კი საქართველოში უკრაინის წელიწადად გამოცხადდება.

დღეს უკრაინისა და საქართველოს დიდი მეგობრობის ახალი ეტაპი იწყება და ამ საქმეში თავისი წვლილი შეაქვს დიდ კობზარს.

ი უ ბ ი ლ ე

კარლო ბლაგიძე
პროფესორი


სოლომონ დოდაშვილი – 200

იონას გარეშე არ იქნებოდა სოლომონი... „თუ სოლომონ დოდაშვილი არ ყოფილიყოს, მაშინ შეიძლება არც ნ. ბარათაშვილი ყოფილიყოს“ ...

მკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე თავის გამოკვლევაში „ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ მეორე ტომის ბოლო თავში – „სოლომონ დოდაშვილის ფილოსოფიური საქმე“ აღნიშნავს: „რა ადგილი ეკუთვნის ს. დოდაშვილს ქართული ფილოსოფიის ისტორიაში, პირდაპირ დაკავშირებულია საკითხთან „რა ადგილი ეკუთვნის ს. დოდაშვილს მსოფლიო ფილოსოფიაში?“ (გვ. 449).

სოლომონ ივანეს ძე დოდაშვილი 1805 წლის

17 მაისს (ძვ. სტილით) დაიბადა სიღნაღის მაზრის სოფ. მადაროში (აქედან ფსევდონიმი „მადაროელი“), მამა სასულიერო განათლებით, გლეხი იყო და მღვდლად მსახურობდა. სოლომონმაც სასულიერო განათლება მიიღო, თავდაპირველად სიღნაღში, შემდგომ თბილისში, განსაკუთრებული ნიჭიერების გამო 17 წლის ჭაბუკი სიღნაღში სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად გაგზავნეს. 1824 წელს იგი სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგში მი-



დის და საიმპერატორო უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ხდება.

სოლომონს მშობლიური მზრუნველობით ეხმარებოდა პეტერბურგში მოღვაწე ქართველი თეოლოგი და ფილოსოფოსი, ბერი იონა ხელაშვილი, რომელიც მისი „სულიერი მამა“ იყო.

1827 წელს ოცდაორი წლის სოლომონმა წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი და „ლოგიკაზე“ მუშაობა, რომელიც მან სადისერტაციო ნაშრომად წარადგინა. სამეცნიერო საბჭომ ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა, დაადგინა მისი გამოქვეყნება და სახელმძღვანელოდ მიღება.

ქართული კულტურის ცნობილი მკვლევარი მაქარია ჭიჭინაძე თავის ნაშრომში „სოლომონ დოდაშვილი“ „ლოგიკის“ რუსულ ენაზე გამოსვლის შესახებ წერდა: „ეს პირველი მაგალითი იყო იმისა, რომ პეტერბურგში ქართველი კაცისგან სამეცნიერო რამე დაბეჭდილიყოს და ისიც მართველობასაც მოსწონებოდა და სახელმძღვანელოდ მიეღოს“. (გვ. 15).



ს. დოდაშვილს სახელი და დიდება „ლოგიკის“ სახელმძღვანელოს დაწერამ მოუტანა. ქართველ მოაზროვნეს პატივს სცემდა არამარტო ქართული ინტელიგენცია, არამედ მეზობელი ხალხები, რუსეთისა და უკრაინის გამოჩენილი ადამიანები. ამას სოლომონი დიდად აფასებდა. ცნობილია, რომ მან თავისი „ლოგიკა“ ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტისა და სასწავლო ოლქის მზრუნველს ა. ა. პეროვსკის მიუძღვნა.

ს. დოდაშვილის „ლოგიკის“ გამოსვლა დადებითად აღინიშნა რუსულ პერიოდულ პრესაში, კერძოდ, ჟურნალ „მოსკოვსკი გელეგრაფში“ დაიბეჭდა ცნობილი ჟურნალისტისა და

კრიტიკოსის ნ. პოლევოის და „მოსკოვსკი ვესნიკში“ კრიტიკოსის პ. გიგოვის რეცენზიები.

ასევე ჟურნალ „სევერნაია პჩოლაში“ გამოქვეყნებული რეცენზიის ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს „ლოგიკის“ ავტორს როგორც მოაზროვნეს და ფილოსოფოს-ლოგიკოსს. ცნობილმა რუსმა ფილოსოფოსმა ე. რაღლოვმა თავის „ფილოსოფიურ ლექსიკონში“ ს. დოდაშვილს ადგილი დაუთმო. ცნობილმა ავტორებმა ბროკრაუსმა და ეფრონმა თავიანთ „ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ მაღალი შეფასება მისცეს ს. დოდაშვილის „ლოგიკას“ და მის ავტორს.

ს. დოდაშვილის გამოკვლევებისა და მსოფლმხედველობის განხილვა შეფასებასა და კერძოდ, მისი „ლოგიკის“ გამოცემასა და აღიარებას დიდი ყურადღება დაუთმო ქართულმა საზოგადოებამ, პრესამ, ლიტერატორებმა, ისტორიკოსებმა, გაზეთ „საქართველოში“ ი. ხაგიაშვილი ს. დოდაშვილს ქართველების ფიხტედ აღიარებს, ამასთან საინტერესო ცნობასაც გვაწვდის იმის შესახებ, რომ ს. დოდაშვილის კალამს ეკუთვნის 6-გომიანი ფილოსოფია, მისი ისტორიით.

ს. დოდაშვილი XIX საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი მოაზროვნე, ლინგვისტი, ფილო-

სოფოსი-ლოგიკოსი, ლიტერატორი და პუბლიცისტი, განმანათლებელი, პედაგოგი და სხვ. მეცნიერებათა მიღწევების მცოდნე სწავლული იყო არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთისა და ევროპული მასშტაბებითაც. ამასთან ერთად, სოლომონი დიდი საზოგადო მოღვაწე და თვალსაჩინო პოლიტიკოსი გახლდათ. დაბალი ფენებიდან წარმოშობილი, ამ ფენების ინტერესებს გამოხატავდა, იგი, როგორც 1832 წლის თავად-აზნაურთა შეთქმულების მონაწილე რესპუბლიკელი, ყველაზე მკაცრად დასაჯეს და ციმბირში ქ. ვიატკაში გადაასახლეს, სა-

დაც სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ბრძენ-კაცი, მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა 1836 წელს.

ქართველი ავგორების მიერ სამართლიანად არის მითითებული იმ გავლენის შესახებ, რაც ს. დოდაშვილმა გენიალურ ქართველ პოეტზე ნ. ბარათაშვილზე მოახდინა. მ. ჭიჭინაძე ცნობილ წიგნში „სოლომონ დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი“ აღნიშნავს: „ქართველი მოღვაწე და მწერალი ვახტანგ ორბელიანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ დიდ გავლენას, იგი წერდა: „ნიკოლოზ ბარათაშვილი გამოიწვრთნა სოლომონ დოდაშვილთან... თუ სოლომონ დოდაშვილი არ ყოფილიყოს, მაშინ შეიძლება არც ბარათაშვილი ყოფილიყოს“ (11).

მ. ჭიჭინაძე მეორე საინგერესო ცნობასაც გვაწვდის. ს. დოდაშვილის მიერ შექმნილი ლიტერატურული „ამხანაგობა“ აერთიანებდა: ნ. ბარათაშვილს, დ. ყიფიანს, გრ. ორბელიანს, ვ. ორბელიანს, ალ. ორბელიანს და სხვ. „ამხანაგური წრე“, აღნიშნავს მ. ჭიჭინაძე – არსებობდა ქართველების გამოსაფხიზლებლად, ქართველ ერში კარგი წესების შესაგანად, ქართული მწერლობის ასაღორძინებლად და ამ მწერლობაში კარგი იდეის შესაგანად, ქართული მამულიშვილობის გასაჩაღებლად და სხვა ბევრი ასეთი, რასაც ბევრი პატივისმცემელი ჰყავდა და ბევრი ნაგრობდა ამას. დოდაშვილის ცდა ამის შესახებ ამჟამად არ რჩებოდა. მისი სიგყვები დიდ გავლენას ახდენდა ყველაზე.

ს. დოდაშვილი მცირე მოცულობის მეცნიერული სტატია „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიგყვეერებისა“ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა მრავალსაუკუნოვანი ქართული ენის, ლიტერატურის, დამწერლობისა და საერთოდ, ქართული კულტურის ისტორიის კვლევის საქმეში.

სოლომონი მკაცრად აკრიტიკებს ქართული ცივილიზაციის მოწინააღმდეგეებს, რომლებიც მგრობით ან უვიცობით უარყოფდნენ ქართულ კულტურას, მისი ენის შესახებ ქილიკობდნენ.

„გლახაკ არს“ ენა ქართული, ხოლო ლიტერატურა „არა განვითარებული“, ამათ წინააღმდეგ. დიდი პატიოტი თავად წერს ნაშრომის დასაწყისში: „მცნობთა ბუნებითისა ენისა ჩვენისათა გვსურის, რათა ვარწმუნოთ პატივცემულთა გვამთა მათ, რომელ ქართულ ენასა ბელა არიან მრავალნი შვენიერნი თხზულებანი და თარგმნილნიცა წიგნნი სხვადასხვა ძველთა და უახლესთა ენათაგან. ამისათვის ვრაცხთ ჩვენ საჭიროდ, რათამცა პირველად ვაცნობოთ საზოგადოებასა მცირე ესე განხილვა ისტორიისა სიგყვეერებისა ჩვენისა, ხოლო შემდგომად აღვრიცხოთ წვრილნი და თვინიერ პირმოთნობისა და ფასდებულეჰყოთ ქმნილებითურთ თვითოეულნი ავქსონნი ღირსებისამებრ მათისა, რომელთაგანცა მოყვარენი საზოგადოების განვითარებისანი იხილავენ ძველსა ადგილსა შინა კავკასიის ამიერ მცხოვრებთასა მდიდარსა ნივთიერებასა სალიტერატუროისასა, რომელნიცა აქამომდე წყველიადა შინა სიბნელესასა დაფარულ იყო მხედველობათაგან განათლებულისა ევროპიისათა“.

ს. დოდაშვილი თვითმყოფადი, ორიგინალური და დამოუკიდებელი ქართული ანბანის წარმოშობას IV საუკუნეს (ჩვ. წ. აღრიცხვამდე) აკუთვნებს. მას კარგად ესმის პრობლემის სირთულე, რომ ძნელ „... საცნობელ არს დანიშვნა დოისა მისა, თუ ოდეს ენა ქართული შეიქმნა ენად ერსა, გარნა ჯერ არს ცნობად, რომელ იგი არს უუძველესთაგანი, ვინაიდგან იხილვის ისტორიისაგან, ვითარმედ ვითარცა წერილნი ანუ ასონი ქართულისა ენისანი შემოღებულ არიან, ეგრეთვე ენაცა განწრეფელულ პირველის მეფის ფარნავაზის მიერ. სოფლის (ე. ი. სამყაროს, – კ. ბ.) შექმნილგან 3627 წელსა, ხოლო უწინარეს ქრისტეს შობისა 327-სა წელსა იგინი იყვნენ სრულიად განსხვავებულნი ასოთაგან სხვათა ერთასა“ (იქვე).

ს. დოდაშვილი თავის მეორე ნაშრომში „ლოგიკის მეთოდოლოგია“ ლოგიკას გნოსეოლოგიასთან კავშირში განიხილავს, მისი

ამრით, შემეცნება ზეაღმავალი პროცესია. რომელიც ორი საფეხურისაგან შედგება: პირველი დაბალი საფეხური გრძნობადია, შემგრძნებადია, იგი ემყარება აღწერას (descriptio) და გამოცემას (exposition), ეს საფეხური ეხება ინდივიდუალურ მოვლენებს, მათ ცალკეულ ნიშნებსა და თვისებებს და ვერ აღმოაჩენს საგანთა და მოვლენათა არსებას, ვერ განასხვავებს არსებით და არაარსებით, აუცილებელსა და შემთხვევით ნიშნებს, ამიგომ რჩება წარმოდგენათა სფეროში, ვერ იძლევა განზოგადოებებს და ვერ აღმოაჩენს ცნებებს, ამიგომ ქართველი ფილოსოფოსი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ცდილსეულ ანუ ემპირიულ შემეცნებას“ „არ შეიძლება ჰქონდეს სიმუსისის, სისრულის, სინათლისა და საფუძვლიანობის“ პრეცენზია.


შემეცნების მეორე საფეხური გონებაზეა და მყარებული, რაციონალური შემეცნება ნათელი, ცხადი, განზოგადობაზე დამყარებული შემეცნებაა, რომელიც საგნებში და მოვლენებში, მათი გაანალიზების შედეგად, მსჯელობების გზით იძლევა განზოგადოებებს და აღმოაჩენს არსებით ნიშნებსა და, ამდენად, აღმოაჩენს ცნებებს, ცნობილია, რომ თავის „ლოგიკაში“ ს. დოდაშვილი ჯერ მსჯელობებს განიხილავს და შემდეგ ცნებებს, რომლებიც ლოგიკური მსჯელობებით მიიღწევა. ლოგიკური ამროვნების უმაღლესი ფორმაა განსაზღვრება (difinitio).

მეტად მნიშვნელოვანია ს. დოდაშვილის ამრი: ლოგიკურად სრულყოფილი ცოდნის დამოკიდებულებითი მხარის, ჭეშმარიტების სახეებისა და მისი კრიტერიუმის შესახებ; ლოგიკურად სრულყოფილი ცოდნა ჭეშმარიტი უნდა იყოს, ჭეშმარიტება ორგვარია: ლოგიკური და ნივთიერი. პირველი მოითხოვს ჩვენი ამრის შეთანხმებას გონების კანონებთან, მეორე კი – საგნებთან, ობიექტურ სინამდვილესთან. ს. დოდაშვილს აქედან გამოყავს დასკვნა შემეცნების კრიტერიუმის შესახებ.


კური ამროვნების მომენტებიც არის. დიალექტიკურ მომენტებად უნდა ჩაითვალოს ს. დოდაშვილის სწრაფვა სხვა მეცნიერებებთან და სინამდვილესთან ლოგიკის დაახლოება; მისი მოთხოვნაა, შევთანხმოთ ჩვენი ცოდნა არა მხოლოდ ჩვენი ამროვნების კანონებთან, არამედ სინამდვილესთან. ამ ამრებით ამაღლდა ს. დოდაშვილი თავის ეპოქაზე, გაცდა მშობლიური ქვეყნის ფარგლებს და ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიო კულტურასა და ფილოსოფიაში.

სოლომონი ანვითარებს მოსაზრებას, გამოთქმულს „ლოგიკის მეთოდოლოგიაში“, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების საკუთარ გამოცდილებას და საზოგადოებრივ გამოცდილებას. ცოდნის შესაბამისობას, შედარებას სინამდვილესთან, ე. ი. თეორიული დებლება გამართლებული უნდა იყოს არა მარტო გონების, ლოგიკის, თეორიულ სფეროში, არამედ სინამდვილეში, პრაქტიკის სფეროში და გამოსადეგი იყოს ადამიანებისათვის.

სოლომონ დოდაშვილის ნაშრომებისა და მათი ძირითად დებულებების განხილვა, მათ შესახებ რუს და ქართველ მკვლევართა მიერ გამოთქმული ინტერპრეტაციები და მაღალი შეფასებები, ვფიქრობთ, გვაძლევს საკმაო საფუძველს, განვაცხადოთ: ს. დოდაშვილი XIX საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი ფილოსოფოსი, ლოგიკოსი და ორიგინალური მოამროვნეა, არა მარტო საქართველოს, არამედ, ევროპისა და მსოფლიო მასშტაბებითაც, ქართველი მოამროვნე დიდად მაღლდება თავის ეპოქაზე და მას წინ უსწრებს.



„ლოგიკის მეთოდოლოგიაში“ დიალექტი-



ირინე გოგლიძე

ელისაბედ გორინას ავტობიოგრაფიის მიხედვით

საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის ისტორიაში საპატიო ადგილი უჭირავს ელისაბედ რომანოვის ასულ გორინას, რომელმაც 40 წელი თავდაუზოგავად იღვაწა და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა საბიბლიოთეკო ცხოვრებაში.

ე.რ. გორინა დაიბადა 1883 წ. ქ. თბილისში. დაწყებითი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი შევიდა პირველ ქალთა გიმნაზიაში, რომელიც 1902 წ. დაამთავრა. პედაგოგიური განხრით; იმავე წელს იგი ბორჩალოს მაზრაში გაგზავნეს მასწავლებლად, სადაც მხოლოდ ერთი სასწავლო წელი დაჰყო.

1903 წ. პეტერბურგში გაემგზავრა და ბესგუქევის სახელობის ქალთა უმაღლეს კურსებზე ჩაირიცხა.

ეს იყო რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის პერიოდი რუსეთში; ე. გორინა აქტიურად ჩაება მოძრაობაში და, როცა 1905 წელს, დეკემბრის აჯანყების შემდეგ, ქალთა უმაღლესი კურსები დაიხურა, ის იძულებული გახდა ქ. თბილისში დაბრუნებულიყო.

ქ. თბილისში ჩამოსვლისთანავე ის ალექსანდრე ბოგდანოვის მეშვეობით, რომელიც სოც. დემოკრატიული ორგანიზაციის სამხედრო ჯგუფის წევრი იყო, რევოლუციურ მოძრა-

ობაში ჩაება. მას დავალებული ჰქონდა ჩაეგარებინა მეცადინეობა სამხედროებთან. ე. რ. გორინა 1907 წ. მონაწილეობას იღებდა ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის საქმიანობაში. იგი აგრძელებდა კორესპონდენციებს, წერილობითი ურთიერთობა ჰქონდა ამ ორგანიზაციის ლიდერთან, ვ. ი. ლენინთან და აქტიურ რევოლუციურ მოღვაწე სტეფანე შაუმიანთან.

პოლიციის აგენტურის ცნობით, გორინას მისამართით თბილისის სოც.-დემოკრატიული ორგანიზაცია სარგებლობდა, როდესაც ურთიერთობას ამყარებდა ცენტრალურ კომიტეტთან. 1907 წ. 5 დეკემბერს ე. გორინას ბინა გაჩხრიკეს, აღმოჩენილი იქნა ბროშურა „მუშათა კლასის მდგომარეობა რუსეთში“, გარდა ამისა, მრავალი ხელნაწერი და



მიმოწერები გადაეცა ოქმთან ერთად თბ. გუბერნიის ქანდარმერიის სამმართველოს უფროსს. 1909 წ. ე. გორინამ აქტიური მონაწილეობა მიიღო სტანისლავის გაქცევაში, რომელიც სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციის სამხედრო ჯგუფის წევრი იყო და, რომელსაც ასამართლებდნენ სერგეი მურგინის გვარით. პოლიციას არაერთხელ გაუჩხრეკია ე. გორინას ბინა

და რეპრესიები გაუგარებია. ე. გორინას არ ჰქონდა საშუალება სპეციალობის მიხედვით ემუშავა, რადგანაც პოლიტიკურად არასანდო პიროვნება იყო.

1910 წ. გორინა გაემგზავრა პეტერბურგში კვლავ ბესგუქევის სახელობის ქალთა კურსებზე მოსაწყობად. ის აღადგინეს კიდევ, მაგრამ მალე ისევ დაიკეცა კურსები.

1911 წ. დასაწყისში იგი მიწვეული იყო და დაიწყო მუშაობა ქალთა გიმნაზიაში მოსკოვის გუბერნიის ქ. კოლომნაში, მაგრამ მოსკოვის გუბერნატორის მიერ მოხსნილი იქნა, რის გამოც იძულებული შეიქნა დაბრუნებულიყო თბილისში. იმავე წელს ე. გორინამ მუშაობა დაიწყო ბიბლიოთეკარად პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკაში, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ იმავე მიზეზით მოხსნეს სამუშაოდან. ცოცხალი იქნა შემდეგ ქალაქის მმართველობის მიერ იგი კვლავ იმავე ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარად დაინიშნა, ხოლო 1913 წლიდან ის პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკის ღირექტორად იწყებს მუშაობას. ის მთელი ენერგიით შეუდგა მუშაობას. ფონდი 2000 წიგნისაგან შედგებოდა, ხოლო მკითხველთა რიცხვი 200-ს შეადგენდა. ე. გორინამ ისე გაშალა მუშაობა, რომ მისი წასვლის დროს ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში უკვე 50 000 წიგნი იყო. მკითხველი – 3 000.

ე. გორინა პუშკინის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკაში 1922 წლამდე მუშაობდა.

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე უფრო აქტიურად ჩაება საბიბლიოთეკო მშენებლობის საქმეში და ყველა იმ ღონისძიებების აქტიური მონაწილე იყო, რაც კი გაკეთდა საბიბლიოთეკო საქმის საკეთილდღეოდ. როგორც ცნობილია, ბიბლიოთეკებს არ ჰყავდა სპეციალისტთა კადრები. ე. გორინას ინიციატივით 1921 წ. გაიხსნა პირველი საბიბლიოთეკო კურსები და ახალი საბიბლიოთეკო კადრები გამოუშვა, რამაც ხელი შეუწყო საბიბლიოთეკო

საქმის შემდგომ განვითარებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ე. გორინას უშუალო ინიციატივით თბილისში გაიხსნა ა. წერეთლის, შ. რუსთაველის, ი. სგალინის, ვ. ი. ლენინის სახელობის და ნავთლულის ბიბლიოთეკები, აგრეთვე ლენინა-რსკის სახელობის ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკა.

1922 წლიდან ე. გორინა მუშაობდა განათლების მუშაკთა სახლის ბიბლიოთეკის გამგედ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ე. გორინას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჯავაირა ხუტულაშვილთან – კამოს დასთან, რომელიც აგრეთვე ბიბლიოთეკარი იყო.

ამავე წელს საქართველოს პროფსაბჭო ე. გორინას ავალებს ჩამოაყალიბოს პროფსაბჭოს ცენტრალური ბიბლიოთეკა. ამავე დროს იგი მუშაობდა ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ღირექტორად, სადაც მან 1926 წლამდე დაჰყო. ამ ბიბლიოთეკაში გორინამ ნახევარმილიონიანი ფონდი დაამუშავა და კატალოგი შეადგინა, პარალელურად 1923 წელს ის აყალიბებს განათლების მუშაკთა სახლის ბიბლიოთეკასაც.

1926 წ. ე. გორინა დაინიშნულ იქნა ქ. თბილისის მასწავლებელთა სახლთან არსებული ბიბლიოთეკის ღირექტორად, სადაც იგი 1950 წლამდე მუშაობდა.

1934 წ. ე. გორინა დაჯილდოვდა სიგელით – საბიბლიოთეკო საქმის გაუმჯობესების საქმეში ნაყოფიერი შრომისათვის. სიგელი გაცემულ იქნა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

სიგელს ხელს აწერდნენ ფილიპე მახარაძე და სილიბისგრო თოდრია. ე. გორინა გარდაიცვალა 1950 წ. 2 მაისს 67 წლის ასაკში. დღესაც ბევრ ჩვენს ღვაწლმოსილ ადამიანს კარგად ახსოვს, რაოდენ მაღალპროფესიონალ პიროვნებას წარმოადგენდა ის, რომელმაც გარკვეული როლი ითამაშა საქართველოში საბიბლიოთეკო საქმის განვითარებისათვის.

დარეჯან კოგეგიშვილი,
მზია მაჩხომიშვილი

ადამიანი, ჩოქელის დაკონწყობას არ მიეცემა

ივანე ციციშვილი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც ჩვენი საზოგადოების ყურადღება და სიყვარული თავისი დაუღალავი შრომით დაიმსახურეს. იგი მეოთხედი საუკუნე ემსახურა საბიბლიოთეკო საქემეს და ძალიან ბევრი სიახლე დანერგა. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე საბიბლიოთეკო კადრების მომზადებაში.

მისი დაინტერესება საბიბლიოთეკო საქმით იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც იმ პერიოდში ბიბლიოთეკებში ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო როგორც ორგანიზაციული, ისე კადრების თვალსაზრისით. ივანე ციციშვილი ხაზს უსვამდა იმას, რომ საბიბლიოთეკო საქმე მეტად ჩამორჩენილი და ყურადღებას მოკლებული იყო. 1925 წელს „წიგნის მეგობარში“ დაიბეჭდა მისი სტატია „ჩვენი ამოცანები“, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ სანამ ქაღალდსა და სტამბას გამოიგონებდნენ, წიგნის გამოცემა ძვირი ჯდებოდა, ამიგომ ამ პერიოდში წიგნის გარეთ გაგანაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ბიბლიოთეკარის მოვალეობა იმდენად მკითხველის ინტერესების დაკმაყოფილებაში არ გამოიხატებოდა, რამდენადაც თვით წიგნის დაცვაში, მხოლოდ მე-19 საუკუნის დამლევს, როცა ბეჭდვითი ტექნიკა საოცრად განვითარდა, შესაძლებელი გახდა ყურადღების ცენტრად თვით მკითხველი გამხდარიყო.

ავტორი ვაოცებულია იმდროისათვის ამერიკის მიღწევებით, სადაც წიგნები და პერიოდული გამოცემები მილიონიანი გირაჟებით გამოიცემოდა, სადაც უაღრესად განვითარდა წიგნებით მკითხველთა მომარაგების სიგემა.

პირველად ამერიკაში შეიმუშავეს საერთაშორისოდ აღიარებული ლომუნგი „წიგნი – მკითხველისათვის და არა მკითხველი – წიგნისათვის“.

რაც შეეხება საქართველოს ბიბლიოთეკებს, მათ წინაშე დაისვა საბიბლიოთეკო საქმის სრული გრანსფორმაციის საკითხი, და რაც მთავარია, საბიბლიოთეკო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და მაგერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებიც.

მიღებულ იქნა არაერთი ზომა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ, 1923 წელს ივანე ციციშვილის ხელმძღვანელობით სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლთან დაარსდა ისეთი აკადემიური ორგანო, როგორიც იყო „საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტი“, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ბიბლიოთეკათმცოდნეობის თეორიული საფუძვლების ფორმირების საქმეში, ნიჭიერმა ორგანიზატორმა შეძლო თავი მოეყარა ბიბლიოთეკათმცოდნეობის საკითხით დაინტერესებული პირებისათვის. კაბინეტი სწავლობდა და თვალყურს ადევნებდა თეორიულ საკითხებს, აყენებდა გაბეღულ პრობლემებს, ეცნობოდა რუსულ სპეციალურ ლიტერატურას და რეკომენდაციას უწევდა სიალხეს, ადგენდა მეთოდურ ნაშრომებს.

„საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო კაბინეტმა“ 1925 წელს ქართულ ენაზე გამოსცა პირველი სპეციალური ჟურნალი „წიგნის მეგობარი“ – ორი ნომერი ერთ წიგნად. მართალია, ჟურნალის გამოცემა ამით შეწყდა, მაგრამ აღნიშნულ ნომრებში მოთავსებული მასალა ნათელ წარმოდგენას იძლევა საბიბლიოთეკო

საქმის მდგომარეობის შესახებ 1920-30 წლებსათვის.

მკითხველთა ინტერესების შესწავლისა და კითხვის ხელმძღვანელობის საკითხებზე კაბინეტის მიერ 1927-1928 წლებში საინტერესო მასალები იქნა მოპოვებული საქართველოს მამრებში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად. ანალიზებს რა გამოკვლევების შედეგებს, ივანე ციციშვილი აღნიშნავს, რომ ბიბლიოთეკები სწავლობენ მკითხველთა ინტერესებს და ცდილობენ მათი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. რაც შეეხება ფონდების შევსების საკითხს, როგორც კითხვის ხელმძღვანელობის საფუძველს, იგი ამბობს: „წიგნების შექმნაში გრაფარეგი დაუშვებელია. ბიბლიოთეკარს უნდა შესწევდეს უნარი, ისეთი წიგნები შეარჩიოს, რომლებიც შეეფერება მოსახლეობის შემადგენლობას, მის ინტერესს, მისი განვითარების ღონეს და მის ყოველდღიურ საჭიროებას. ამ მოსაზრებათა გარეშე შექმნილი წიგნი ბიბლიოთეკისათვის მკვლარი ინვენტარია“.

იმავე კაბინეტთან ივანე ციციშვილმა ჩამოაყალიბა საბიბლიოთეკო კურსები, სადაც იგი კითხულობდა ლექციებს თემაზე „საბიბლიოთეკო საქმის რაციონალური ორგანიზაცია საქართველოში“. ის აღნიშნავდა, რომ 1921-1923 წლებში კურსებმა მოამზადეს ას ბიბლიოთეკარამდე, მაგრამ მათში ერთიც არ იყო ქართული ენისა და მწიგნობრობის მცოდნე. ამ გარემოებას მოჰყვა ის, რომ რუსული ენის უცოდინარი მშრომელი მასა მოკლებული

აღმოჩნდა მცოდნე ბიბლიოთეკარის ხელმძღვანელობას და ქართული წიგნი ნაკლებად შევიდა ფონდში.

ივანე ციციშვილს 1934 წლის საქართველოს სამეცნიერო ბიბლიოთეკართა პირველი კონფერენციის მოხსენებაში „საქ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკები და საბიბლიოთეკო კადრების საკითხი“ განხილული აქვს ყველაფერი ის, რაც



იმ პერიოდში აწუხებდა და აფერხებდა საბიბლიოთეკო საქმეს – ბიბლიოთეკებისათვის შენობის უქონლობა, ფონდების სიმცირე, კადრების უკმარისობა, ბიბლიოთეკების მოწყობა, დაკომპლექტება. საბიბლიოთეკო კადრების მომზადება აუცილებელ პირობად მიაჩნდა იმისათვის, რომ მდგომარეობა გამოსწორებულიყო.

აღსანიშნავია ივანე ციციშვილის ამავე წელს დაწერილი შრომა „ქართული ბიბლიოგრაფიის ისტორიისათვის“. მასში ავტორს ნაჩვენები აქვს

ქართული ბიბლიოგრაფიის განვითარების გზა შორეული წარსულიდან აწმყომდე.

იგი ბიბლიოგრაფიის განვითარების საკითხებს ოთხად ჰყოფს: 1) ქართული ბეჭდვითი ბიბლიოგრაფიის გენეზისი; 2) პირველი ქართული ბეჭდური კატალოგები და ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები; 3) ქართული ბიბლიოგრაფია XX საუკუნის დამდეგს; 4) საბჭოთა პერიოდის ქართული ბიბლიოგრაფია.

მორიგ ნაშრომში „სამეცნიერო აგრონომიული ლიგერაგურის შეერთებული კატალოგი“ ხაზი ესმება შეერთებული კატალოგის აუცილებლობას. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ

ფრიად საჭირო წიგნები და ჟურნალები ამ დროს ბაზარზე არ იშოვებოდა, ხოლო მათი სხვადასხვა დაწესებულებაში არსებობა არავინ იცოდა. ამგვარი შეერთებული კატალოგი კი, რა თქმა უნდა, სპეციალისტებს მეტად გაუადვილებდა წიგნებით სარგებლობას. მეტად მნიშვნელოვანია ე. წ. „ქართველთა შორის წიგნების გამავრცელებელი კავშირის“ („წიგნაქსის“) კატალოგი. იგი წარმოადგენს 16 გვერდიან ბროშურას, რომელშიც მოთავსებულია ცნობები 169 წიგნის შესახებ. მართალია, „წიგნაქსში“ მასალა სისტემატიზებული არ არის, მაგრამ მოცემულია ცოდნისა და ცხოვრების თითქმის ყველა დარგის პოპულარული ლიტერატურა (მეურნეობა, აქიმობა, ფილოსოფია, ჰიგიენა, კამბული მწერლობა, გეოგრაფია, ისტორია, სოციოლოგია, კრიტიკა და სხვა). ეს გამოცემა ქართულ ანოტირებულ და სარეკომენდაციო კატალოგის პირველი ცდათაგანია. „წიგნაქსი“ გამოსცა „ქართველთა შორის წიგნების გამავრცელებელმა კავშირმა“, რომლის ხელმძღვანელი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე ივანე როსტომაშვილი.

აღწერილია აგრეთვე ამ ორგანიზაციის ნაყოფიერი საქმიანობა. კავშირი დაარსებული იყო შემდეგი ამოცანებისათვის: 1. უნდა გამოეცა კარგი შინაარსის მეცნიერულ-პოპულარული წიგნები, 2. ასეთივე შინაარსის წიგნები ფართოდ გაეცემებინა ყველგან, სადაც კი ცხოვრობს რამდენიმე გულშემატკივარი ქართველი.

აღსანიშნავია აგრეთვე მისი „კატალოგრაფიის კვანძი საკითხები“, რომელშიც განხილულია საბიბლიოთეკო პრაქტიკაში ახლად შემოსული კორპორაციული ავტორობის პრინციპი. პირველად ეს პრინციპი გამოიყენა საქართველოს სახალხო ბიბლიოგრაფიის ორგანომ – წიგნის პალატამ.

აღწერილობის ამ პრინციპით 1926 წელს პალატამ გამოსცა „წიგნის მაგიანის“ პირველი ნაკვეთი. ივ. ციციშვილი აღნიშნავს, რომ კო-

რპორაციული ავტორობის პრინციპის შემოტანით მცირდება რიცხვი ანონიმურ აღწერილობათა, რომელთაც დიდი გაუგებრობა შეაქვთ კატალოგში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ივ. ციციშვილის მუშაობა ბიბლიოთეკათმცოდნეობითი ტერმინების შემუშავებაზე. 1934 წელს საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის „შრომების“ პირველ ტომში დაიბეჭდა მისი სტატია „ქართული ტერმინებისათვის“, რომელშიც იგი გვთავაზობს სბიბლიოთეკო ტერმინების შემოკლებულ ფორმებს: „სახელმძღვანელოს“ მაგიერ – „მძღვარი“, „სარჩევის“ ნაცვლად – „ზანდუკი“, „თაბახი“ – „თავფურცლის“ ნაცვლად და სხვა. რაკი „სათაურის“ ძირი „თავ“-ია ივ. ციციშვილს მიაჩნია, რომ მისგან წარმომდგარი „თაური“ მოკლეა და სწორად აღნიშნავს იმ ბიბლიოგრაფიულ ელემენტს, რასაც ჩვენ სიტყვა სათაურით გამოვხატავთ. „თავ“ ძირიდან ავტორს ნაწარმოები აქვს 20-მდე საბიბლიოთეკო ტერმინი, ძირითადად აღწერილობის ელემენტები: თაური, მეთაური, ქვეთაური, მეთაური, მთავართაური, შუათაური და სხვა. სულ სტატიაში ავტორს წარმოდგენილი აქვს 80-მდე საბიბლიოთეკო ტერმინი გამარტივებული ფორმით.

მის შემდეგ სტატიაში „კატალოგრაფიული ტერმინები“, რომელიც რესპუბლიკური ბიბლიოთეკის „შრომებშია“ დაბეჭდილი 1937 წ. ავტორი არ ღალატობს ადრე აღებულ პრინციპს ტერმინების გამარტივების შესახებ და კატალოგრაფიულ ტერმინებს სიტყვიდან „თავი“ აწარმოებს. სტატიაში განმარტებული აქვს 150-მდე ბიბლიოთეკათმცოდნეობითი ტერმინი რუსული და უცხოური შესაბამისებით. ორივე ნაშრომში ჩამოყალიბებული ტერმინები ი. ციციშვილს გამოყენებული აქვს მის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოში „კატალოგრაფია“, რომელიც 1940 წელს გამოიცა.

ეს იყო წიგნების აღწერილობის შესახებ ქართულ ენაზე გამოცემული პირველი წიგნი. იგი

წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს უმაღლესი და საშუალო საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო სასწავლებელთათვის. ამავე დარგის კურსების მსმენელთა და დაინტერესებული მკითხველისათვის. მისი გამოყენება გათვალისწინებული იყო როგორც მასობრივ, ისე სამეცნიერო ბიბლიოთეკებში.

ბიბლიოთეკათმცოდნის ნიკო ლორთქიფანიძის გადმოცემით, ე. წ. „საბიბლიოთეკო ხელის“ ქართული ანბანი ივ. ციციშვილის მიერაა შექმნილი.

ასევე აღნიშვნის ღირსია ივ. ციციშვილის ვრცელი წერილი იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკაზე სათაურით „ოთხი საათი პოეგის ბიბლიოთეკაში“, რომელიც დაიბეჭდა 1944 წელს ჟურნალ „მნათობში“.

ივ. ციციშვილმა დეგალურად შეისწავლა ბიბლიოთეკის მთელი ფონდი და დაადგინა, რომ მასში არის ისეთი გამოცემები, რომლებიც თბილისის არცერთ ბიბლიოთეკაში არ მოიპოვებოდა იმ პერიოდში.

„ხარფუხში, თაბორის მთის კლდიან კალთაზე აღმართულია პაგარა და მყუდრო ორსართულიანი სახლი, – ასე იწყებს ავტორი გრიშაშვილის ბიბლიოთეკის აღწერას, – პირველი შთაბეჭდილება: უაღრესად სისუფთავე, მყუდროება და ორიგინალურობა. მცირე ხნის შემდეგ თავი უკვე მუზეუმში გგონია. წიგნების რაოდენობა 20 000 უნდა აღემატებოდეს. რა თქმა უნდა, საქმე ამ რაოდენობაში არ არის, არც იმ თავისებურ წესრიგშია, თვალში რომ უმაღლ მოგხვდება. თქვენ აქ გაცხებთ ის დიდი შრომა, დაუღალავი მისწრაფება და სიყვარული, რომელმაც ეს საკვირველი ბიბლიოთეკა შექმნა“.

როგორც ჩვენ ხელთ არსებული მასალებიდან ირკვევა, ივ. ციციშვილს ქართული ყოფისა და ქართული ჩაცმულობის საკითხისადმი ინტერესი ჯერ კიდევ მაშინ გაუჩნდა, როდესაც ის ქენევის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. ამის შემდეგ მას ეს ინტერესი არ განუღებია და



მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ამაზე ფიქრს თავს არ ანებებდა. აგროვებდა მასალებს, ბეჭდავდა წერილებს და შესაძლებლობების ფარგლებში შრომას და ენერგიას არ მოგავდა, რომ ამ საქმეში თავისი წვლილი შეეგანა.

1914-1915 წლებში იგი აქვეყნებს წერილებს ქართული კოსტუმის შესახებ სათაურით „ქართული ეროვნული ჩაცმულობა“, ვინმე სოფელის ფსევდონიმით. ამ წერილებში ავტორი აგვიწერს XIX საუკუნის ქართველი მამაკაცის კოსტუმის ძირითად ელემენტებს, სახელობრ: ყაბას, ახალუხს, შარვალს, ჩექმებს, ქუდს, ქულაჯას, დოშლულს, ყელსახვევს, ქამარს, ხმალს, ხანჯალს და ნაბადს. აღწერასთან ერთად, ავტორი ცდილობს დაადგინოს, თუ სამოსელის რომელმა ნაწილმა რა ცვლილება განიცადა ღრთთა ვითრებაში და რა სახე მიიღო განვითარების ბოლო საფეხურზე. ავტორი წლების მანძილზე აგროვებდა მასალებს, აღრიხავებდა ცოდნას ამ დარგში, კრებდა სათა-

ნადო ადგილებს წერილობით ძეგლებიდან, მოგზაურთა შრომებიდან, მაგერიალური კულტურის ნიმუშებიდან, ადგენდა საგანთან დაკავშირებულ ბიბლიოგრაფიას, აზუსტებდა საქართველოს კულტურის ისტორიის პერიოდიზაციას. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით ინტენსიურად მუშაობდა მის მიერ არჩეულ თემაზე. ამ ხანებში იგი თანდათან აფართოებს კვლევის არეს, ცდილობს კრიტიკულად განიხილოს წყაროების მონაცემები და მიაკვლიოს ახალ მასალებს. სამწუხაროდ, სწორედ ამ დროს მოესწრაფა მას სიცოცხლე და შრომა დაუმთავრებელი დარჩა. რედაქცია შეეცადა ეს მასალები წესრიგში მოეყვანა, დაეღებინა გარკვეული გეგმის მიხედვით, სათანადო ჩარჩოში ჩესვა და ისე მიეწოდებინა მკითხველისათვის.

ივანე ციციშვილი დაიბადა 1883 წლის 28 აპრილს სოფელ ქვემოხვედურეთში – ქართლში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლესი ცოდნის მისაღებად 1903 წელს საზღვარგარეთ, ქ. ქენევაში გაემგზავრა, სადაც ჩარიცხულ იქნა უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე, რომელიც 1907 წელს დაამთავრა. იგი იქვე დაუტოვებიათ სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, მაგრამ ოჯახური პირობების გამო, იძულებული იყო სამშობლოში დაბრუნებულიყო.

ქენევის უნივერსიტეტში სწავლის დროს ივ. ციციშვილი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს მუშაობაში. მისი ინიციატივით სტუდენტების დასახმარებლად დაარსდა ბიბლიოთეკა, რომლის ხელმძღვანელი თვითონვე იყო. იგი ჩართული იყო აგრეთვე რუსი რევოლუციონერი-ემიგრანტების საზოგადოებრივ საქმიანობაში.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1908 წელს მუშაობას იწყებს ქ. თბილისში, საადგილმამულო ბანკის სამიწათმოქმედო კომისიაში ინსტრუქტორის თანამდებობაზე, რომელზედაც 1915 წლამდე დაჰყო.

ამავე წელს იგი აირჩიეს სამხრეთ რუსეთის სამომხმარებლო საზოგადოების კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ. 1917 წელს კი გადაყვანილ იქნა სოფლის მეურნეობის წარმოების კოოპერატივთა საზოგადოების თავმჯდომარედ, სადაც მან 1923 წლამდე იმუშავა. ამის შემდეგ ივ. ციციშვილმა შეიცვალა პროფესია და მუშაობა საბიბლიოთეკო დარგში დაიწყო.

1927 წლიდან ივ. ციციშვილი იყო საქართველოს მეცნიერ-მუშაკთა სექტორის გამგე. იგი, როგორც საბიბლიოთეკო საქმის საუკეთესო სპეციალისტი, მიიწვიეს ექსპერიმენტული აგრონომიის ინსტიტუტის ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგედ, ხოლო როცა ეს ინსტიტუტი შეუერთდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, იგი დაინიშნა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორად; მისი ხელმძღვანელობით შედგენილ იქნა შეერთებული კატალოგი. მან ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაში ჩამოაყალიბა რაიმდენიმე ბრიგადა და შეასწავლა ბიბლიოგრაფიული აღწერილობათა წესები. ამ ბრიგადებმა ჩაატარეს 14 დაწესებულების ბიბლიოთეკების ფონდების რეკატალოგიზაცია.

1932 წელს ივ. ციციშვილი შეთავსებით გადაიყვანეს კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში, სადაც მან ბევრი სიახლე დანერგა, მათ შორის აღსანიშნავია კატალოგიზაციის სექტორში სანარდო კონვეირული სისტემის დამკვიდრება. ეს იყო პირველი ცდა მაშინდელ საბჭოთა კავშირში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის 1934 წლის დადგენილების საფუძველზე, ივ. ციციშვილს დაევალა ჩვენგარებინა რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დაუმუშავებელი ფონდის კატალოგიზაცია. ამ მიზნით მომზადებულ იქნა 200-მდე მუშაკი, რომელთა ძალისხმევით აღნიშნული სამუშაო ვა-

დაბე აღრე შესრულდა.

1934 წელს ციციშვილის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ქართველოლოგიის კაბინეტს, რომელიც შემდგომ მხარეთმცოდნეობის კაბინეტად იწოდებოდა.

1937 წელს საქართველოს სახალხო კომისარიატის მიერ ივ. ციციშვილი დაინიშნა სამეცნიერო ბიბლიოთეკების ინსპექტორად და, როგორც სწავლული მდივანი, მიავლინეს სახ. უნივერსიტეტის ფუნდამენტურ ბიბლიოთეკაში, სადაც მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა ბიბლიოთეკის ფონდის სრული რეკაგალოგიზაცია.

1938 წელს პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიხსნა საბიბლიოთეკო ფაკულტეტი, სადაც ივ. ციციშვილი მიიწვიეს სპეციალური საგნების ლექტორად. მან აღნიშნული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის დაწერა სპეციალური სახელმძღვანელო „კატალოგრაფია“, რომელმაც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ.

1944 წელს ივ. ციციშვილი დაინიშნეს სტალი-

ნის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორად. ამავე დროს იგი თბილისის თეატრალური ინსტიტუტის ლექტორია, სადაც „კოსტუმის ისტორიის კურსს“ კითხულობს. პარალელურად ქ. თბილისის სკოლებში ასწავლიდა საქართველოს ეკონომიკურ გეოგრაფიას და მან ერთ-ერთმა პირველმა შეადგინა საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფიის სახელმძღვანელო.

ივანე ციციშვილი 1945 წლის 28 აპრილს გარდაიცვალა 62 წლის ასაკში. ამოუწურავი და შეუფასებელია მისი მოღვაწეობა. მან მტკიცე საფუძველი ჩაუყარა საბიბლიოთეკო საქმის განვითარებას. რომ არა ასეთი ადამიანების ძალისხმევა, საბიბლიოთეკო საქმის განვითარების დონე ბევრად დაბალი იქნებოდა, ვიდრე ახლა არის. ივ. ციციშვილი ვალმოხდელი მამულისშვილია. თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე მან პირნათლად მოიხადა მოქალაქეობრივი ვალი. ამგვარ ადამიანთა სახელები დავიწყებას არ ეძლევა.

წიგნი და ბავშვები

ნაგო ბაკაშვილი-მჭედლიშვილი

ბავშვთა წიგნიერი აღზრდის პრობლემები, მოსაზრებები, პერსპექტივები

ბავშვთა წიგნიერი აღზრდის პრობლემები იმდენად რთული და მრავალფეროვანია, ძნელია გამოინახოს მათი ოპერატიულად გადაჭრის გზები და საშუალებები. ბავშვთა წიგნიერი სამყაროს შენარჩუნება, განსაკუთრებით ძნელია თანამე-

დროვე პირობებში – როდესაც წიგნს და კითხვას შეერწყა ელექტრონული ტექნოლოგიები, ხოლო ვიშუალურ ფონოგრაფიული ინფორმაცია ცოდნის მიღების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ იქცა, სწორედ ამიგომ, მესამე ათასწლეულს ინფორმაციული ტექნოლოგიების

ათასწლეულს უწოდებენ. მოსწავლის თავისუფალი ღრის ბიუჯეტში, ისევე როგორც სასწავლო პროცესში, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს ეს, სწორედ ბემოთ ხსენებულ ტექნოლოგიებს აქვს დათმობილი უფრო მეტი ღრო, ვიდრე წიგნიერ სწავლებას. ჩვენ ძალიან შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობამ არ აითვისოს, არ გაითავისოს ის თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები, ის კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც ასე აქტუალურია 21-ე საუკუნეში. მით უმეტეს ჩვენს პირობებში, როდესაც ინფორმაცია გეომეტრიული პროგრესით ბერდება. ყოვლად შეუძლებელია ინტერნეტის და სხვა ინფორმაციის მიღების უსწრაფესი საშუალებების უგულებელყოფა, მაგრამ მედალს ორი მხარე აქვს: აშშ-მ საგანმანათლებლო რეფორმასთან დაკავშირებით, 25 მლრდ დოლარი დახარჯა განათლების სისტემის კომპიუტერიზაციაზე, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მათ ვერ მიიღეს განათლების სისტემაში სასურველი სურათი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც აშშ-ს ხელისუფლებამ ხელი მოკიდა სასკოლო ბიბლიოთეკების რეორგანიზაციას, მის სრულ განახლება-აღორძინებას, მიღწეულ იქნა ის შედეგი, რასაც ხელისუფლება მოელოდა. დღეს აშშ-ს სასკოლო ბიბლიოთეკები წარმოადგენენ არამარტო მედია-ცენტრებს, არამედ ისინი სასწავლო პროცესის ლაბორატორიებად გადაიქცნენ. სწორედ აქ წყდება, იხილება, იგვემება ყველა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი.

ჩვენ შორს ვართ მოდელის უცხოეთიდან ბრმად გადმოღებიდან, მაგრამ ის, რაც პროგრესიულია, უკვე აღაპკირებული და მოწონებული – უცილებლად მისაღები და გასათვალისწინებელია, რა თქმა უნდა, ადგილობრივი პირობებისა და სოციალურ-ეკონომიკური ფონის გათვალისწინებით.

ჩვენი ღრმა რწმენით, კატეგორიულად უნდა გამოირიცხოს სწავლა-აღმზრდისა და განათლება-განვითარების პროცესში წიგნის პრიორი-

ტეტის უგულებელყოფა. წიგნი იყო, რჩება და დარჩება ადამიანის ცოდნასთან მიახლოების უმთავრეს საშუალებად. სწორედ ამიტომ განათლების სფეროში წიგნს წამყვანი როლი უნდა ეჭიროს. ყოველივე ამისათვის საჭიროა პედაგოგიური ძალისხმევა, რათა საქმე სწორი მიმართულებით წარიმართოს. აქ თავისი სიგყვა უნდა თქვას პედაგოგისა და ბიბლიოთეკარის ერთობლივმა მოღვაწეობამ.

ვთვლით, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სკოლის ბიბლიოთეკების სასწავლო პროცესში ჩართვის საკითხს. სკოლაში ბიბლიოთეკა უნდა იყოს მედია-ცენტრი, რომელიც სწორედ მედიათეკური საქმიანობით შეძლებს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ჩართვას. თუმცა ეს არ კმარა, თუ ბიბლიოთეკა სკოლაში არ გახდება წიგნიერების დაწინაურების აქტიური ინიციატორი და ხელმძღვანელი, თუკი მის მედიათეკურ საქმიანობას არ შეერწყმის კულტურულ-საგანმანათლებლო და, რაც მთავარია, სასწავლო-პროგრამული მუშაობისათვის განუხრელი ზრუნვა.

ბიბლიოთეკარსა და პედაგოგს ყველაზე მეტად დაახლოვებს ე. წ. ინფორმატორის ინსტიტუტის შემოღება. ეს უნდა იყოს გათვალისწინებული წინასწარ შემუშავებული სავალდებულო მეთოდის თანახმად. ყოველ კლასში, უნდა იყოს გამოყოფილი დაინტერესებული მოსწავლე-აქტივისტი, რომელსაც კავშირი ექნება ბიბლიოთეკასთან. იგი სისტემატიურად მიაწვდის კლასს ინფორმაციას იმ სიახლეებზე, რაც სკოლის ბიბლიოთეკაშია. ამაზე პედაგოგები მთელი სერიოზულობით უნდა ზრუნავდნენ – გაკვეთილებზე კიდევ გამოყოფდნენ მცირე ღროს მაინც ამგვარი ინფორმაციისათვის.

გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ ინფორმატორის ინსტიტუტის შემოღება სკოლებში არ უნდა იყოს პედაგოგის პირად ინიციატივაზე დამოკიდებული, არამედ პედაგოგის ოფიციალურ მოვალეობაში უნდა შედიოდეს და გვემიურ

პროცესს წარმოადგენდეს. ყველა პედაგოგმა უნდა გამონახოს საშუალება, კონტაქტი დაამყაროს ბიბლიოთეკასთან და მაქსიმალურად გამოიყენოს მისი შესაძლებლობები.

ბიბლიოთეკა დაუფასებელია ინდივიდუალური მუშაობისათვის. ვერც ერთი მასწავლებელი თავის მოსწავლესთან პროდუქტიულად ვერ წარმართავს მუშაობას ბიბლიოთეკის გარეშე. ამ შემთხვევაში პედაგოგის კონტაქტები ბიბლიოთეკასთან უმრუნველყოფს ლიგერაგურის სწორად და სწრაფად გამოვლენას, საჭირო მასალის შერჩევასა და მოსწავლისათვის რეკომენდირებას.

ეს ხელს შეუწყობს აგრეთვე მოსწავლეების მიერ ინფორმაციის მაგარებლების გამოყენების ათვისების პროცესს. ამიგომ სასკოლო ბიბლიოთეკაში პირველი რიგის საქმედ უნდა იქცეს ახალი ტექნოლოგიების და, საერთოდ, საბიბლიოთეკო ინფორმაციული მუშაობის ჩვევების გამომუშავება, ეს პროცესი, სასურველია, დაიწყოს მცირე ასაკიდან და თანდათან გაღრმავდეს.

ყოველივე ამასთან, საჭიროა მოსწავლეებს ჩაუუნერგოთ დამოუკიდებლად მოქმედების ჩვევები. შეცლომების არ უნდა შეეშინდეთ, უნდა შეძლონ მათი გამოსწორება, სწორი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად გამოგანა, საჭირო ლიგერაგურისა თუ ციგატის მოძიება. ჰქონდეთ უფროსების იმედი, მაგრამ ამავე დროს იყვნენ, რამდენადაც შეიძლება, დამოუკიდებელნი.

მხედველობაში ისიც არის მისაღები, თუ როგორია ბიბლიოთეკარის პროფესიული ღონე. არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ამ სიახლისათვის ჩვენი პედაგოგებიც არ არიან მზად. საბიბლიოთეკო საქმიანობას ისინი არსად არ შეისწავლიან, არ ეცნობიან კითხვის ფსიქოლო-



გიას. ძალიან ცოგაბა ისეთი მასწავლებელი, რომელიც ინტერესდება მოსწავლის მკითხველური ინტერესებით, თუ როგორია მოსწავლის კითხვის კულტურის ღონე. რაც შეეხება საკითხს, თუ რა შეხების წერტილები შეიძლება ჰქონდეთ პედაგოგსა და ბიბლიოთეკას (ბიბლიოთეკარს), ალბათ, ამასთან დაკავშირებით აჯობებდა პედაგოგის მეთოდოლოგიაში კორექტივების შეგანაზე გვეუფიქრა.

ჩვენი ღრმა რწმენით, თანამედროვე პირობებში მიზანშეწონილი იქნებოდა პედაგოგო-კაში საბიბლიოთეკო პროცესების გამოყენების თეორიისა თუ მეთოდოლოგიის დამუშავება. ამ საქმემ უახლოეს მომავალში თუ არ მიიღო სახელმწიფო მნიშვნელობა, თუ არ შეიძინა წმინდა პედაგოგიური მიღგომბა, საეჭვოა, რაიმე სერიოზულ შედეგს მივაღწიოთ წიგნიერებისა და აღზრდა-განათლების საქმეში.

მეტად გულდასაწყვეტია ის ფაქტი, რომ ღრეგანდელ საგანმანათლებლო რეფორმაში, არც ერთ ღონეზე – დაწყებული მინისტრიდან, დამთავრებული რიგითი პედაგოგით, არ არის საუბარი ბიბლიოთეკარზე, მის როლზე საგანმანათლებლო სისტემაში. რეფორმამ გამო-



იწვია ალგერნაგიული გეგმები და პროგრამები, ნოვატორობა, მრავალთემიანობა. ხშირ შემთხვევაში გართულდა სახელმძღვანელოები, გართულდა საწერი თემატიკა, თავისი სირთულეები შემოიგანა ტესტურ მეთოდებზე გადასვლამ და სხვა. არაერთგან შეგვიმჩნევია, რომ მასწავლებელთა ერთი ნაწილი ბავშვებს უსახელებს ამა თუ იმ თემის დამუშავებისათვის მისი ასაკისა და განათლების შეუსაბამო ლიტერატურას, მაშინ, როდესაც გაცილებით უკეთესი და შესაფერისი წყაროების მითითება შეიძლება.

ყველა ამ სირთულეს წარმოშობს ის, რომ თანამედროვე სტილით მუშაობისათვის ჩვენი არც პედაგოგი და არც ბიბლიოთეკარი მზად არ არიან. ამას ამბიუმებს უსახსრობა, რასაც სკოლები განიცდიან. სხვა საქმიანობასთან ერთად, სავსებით მოღუნებულია ბიბლიოთეკართა და პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმე. ამ მხრივ ალბათ ცალკე რეფორმაა ჩასატარებელი, რომელიც უზრუნველყოფს პედაგოგთა და ბიბლიოთეკართა მოსამზადებელ და გადასამზადებელ სამუშაოთა გარდაქმნისათვის საჭირო პირობებს.

ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ როგორც მოსწავლეებში, ისე პედაგოგებში და ინერგოს წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობისა და ყველანაირი ინფორმაციის მაგარებლების გამოყენების კულტურა.

ბოლო ხანს სავსებით შეიცვალა სკოლის სახე, მისი ორგანიზაციული და მეთოდური მხარე, შეიცვალა ამოცანები, საგნები, სახელმძღვანელოები, პროგრამები. არ შეიცვალა ერთი – მიჯაჭვულობა სწავლისა და აღზრდის გრადიციული მეთოდებისადმი. ჩვენ გრადიციულობის წინააღმდეგნი არ ვართ, მა-

გრამ ისეთი დამკვიდრებული აქტივობა, რომელიც გამორიცხავს აუცილებლობით გამოწვეულ ცვლილებებს, უბრალოდ, მავნებელია. ეს პირდაპირ ეხება სკოლებში წიგნიერების დამკვიდრები საქმის, კითხვის გააქტიურების პრინციპებისა და მეთოდების შემუშავებას, ბიბლიოთეკებისადმი მოთხოვნილების გაზრდას, მათი პრესტიჟის ამაღლებას, სასწავლო პროცესებში მათ აქტიურ გამოყენებას, ინფორმაციული და საბიბლიოთეკო სამსახურის გაერთიანებას.

ჩვენ კარგად გვესმის ქვეყნის ეკონომიკური სიძნელეებით გამოწვეული მძიმე პირობები, მაგრამ თუ პერსპექტივები არ იქნა ჩამოყალიბებული – საით მივისწრაფით, რის მიღწევას ვაპირებთ, როგორი უნდა იყოს ჩვენი სასკოლო ბიბლიოთეკა მომავალში – წინ ვერ წავალთ.

ყველაზე სასურველი იქნებოდა სკოლის ბიბლიოთეკა მომავალში გადაიქცეს სკოლის „წიგნის კლუბად“, რომელიც ამავე დროს იქნება მედია-ცენტრი, პროფილური ფონდებით დაკომპლექტებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, აღჭურვილი თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით, მა-

ღალკვალიფიციური ბიბლიოთეკარით, ჩართული სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, პედაგოგიურ საზოგადებასთან შეთანხმებული მოღვაწეობით.

ყოველივე ზემოთ თქმულს უნდა მიეცეს სახელმწიფოებრივი ხასიათი. სასურველია, ამ მი-

მართულებით გააქტიუროს საქმიანობა განათლების სამინისტრომ, კულტურის სამინისტრომ, საბავშვო ბიბლიოთეკების მეთოდურმა ცენტრმა. თითოეული სკოლა უნდა გამოდიოდეს ამ საქმის დამცველად და ცხოვრებაში გამგარეზღად.



შორენა სიხარულიძე
სტუდენტი

სკოლა ბიბლიოთეკის ბაჩუში?



იგნი რომ ადამიანის ცხოვრებაში დიდ ადგილს იჭერს – ეს უგყუარი ჭეშმარიტებაა. წიგნი ხომ ჩვენი მღუპარე მრავლისმეტყველი მეგობარია.

იშვიათია ადამიანი, რომელსაც არ ალაფრთოვანებს მაღალორგანიზებული, კოხგად გაფორმებული თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა.

სკოლა გაძარია – მისი ბიბლიოთეკა წმინდა სანთელი, რომლის გარეშე გაძარი აღარ გაძრობს. ნუთუ შეიძლება ასეთი რამ? – შეხვიდე გაძარში და ვერსად იპოვო წმინდა სანთელი? ასევე შეუძლებლად მიმაჩნია – შეხვიდე სკოლაში და ბიბლიოთეკა ვერ აღმოაჩინო. ბიბლიოთეკა ხომ მარტო წიგნის მიმწოდებელი არაა. აქ თავს იყრიან წიგნიერი მოსწავლეები, ინტელექტუალურ გარემოში ხვდებიან ერთმანეთს მოწაფეები და პედაგოგები, იმართება საინტერესო ღონისძიებები, გაიცემა ინფორმაციები, მოსწავლე სწავლობს წიგნის მოძიებასა და შერჩევას, იმაღლებს კითხვის კულტურის ღონეს, იქმნება წიგნიერი გარემო, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდობის აღზრდისათვის.

მაშ, რაგომაა, რომ არსებობს სკოლები ბიბლიოთეკების გარეშე? ეს ხომ მომავალი თაობის სულიერ სამყაროში ხარვეზებს გააჩენს!

წარმოიდგინეთ, რაოდენ უპერსპექტივო რამაა, როცა მოსწავლე ამთავრებს საშუალო სასწავლებელს, აქვს თითქოს განათლება, შედის სიყრმეში და არ იცნობს ბიბლიოთეკას, არ უსუნთქია მისი გარემოთი, ზოგმა ისიც კი არ იცის, სკოლაში სად არის ბიბლიოთეკა. ეს უღავოდ გამაღმიანებული მოვლენაა, მაგრამ მე ვიგყოდი, რომ ეს სულაც არ არის მისი ბრალი. მის აღზრდას ხელი დააკლეს ოჯახში თუ სკოლაში – მშობლებმა, პედაგოგებმა, ბიბლიოთეკარმა.

მოსწავლე შედის უმაღლეს სასწავლებელში და სულ სხვა გარემოში უწევს საქმიანობა. აქ უკვე ბიბლიოთეკის გარეშე ფონს ვერ გავა, მაგრამ რა ქნას – ეს მისთვის სრულიად უცხო გარემოა, დაბნეულია, არ იცის როგორ მოიქცეს. საქმე იმაში კი არაა, რომ მას არა აქვს ბიბლიოთეკის ტექნიკურად გამოყენების გამოცდილება, არამედ აკლია თვითდაჯერებულობა, ამრთა გაზიარების უნარი, შემოქმედებითი დამოუკიდებლობა, ბევრი რამ მისთვის უცხოა ის,

რასაც სკოლაში უნდა ზიარებოდა.

დარწმუნებული ვარ, ამ დროს სტუდენტის გონებაში ამოგივგივდება მოგონება სკოლაზე და სინანული, რომ თავის დროს მას ბევრი რამ დააკლდა, რომ აღმზრდელებს ბოლომდე არ შეუსრულებიათ თავიანთი მოვალეობა. იქნებ მომედავონ, რა შუაში არიან აქ აღმზრდელებიო, მაგრამ, მაშ, ვინ უნდა აგოს პასუხი? ალ-

ბათ ყველამ, რადგანაც სკოლის ბიბლიოთეკის ხელშეწყობა, მისი გააქტიურება ყველას საქმეა, ვინც დაინტერესებულია მომავალი თაობის ინტელექტუალურად და ესთეტიკურ-ეთიკურად აღზრდის საქმით.

სკოლებში ბიბლიოთეკების არსებობისათვის ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ.

კონტაქტები უცხოელ სპეციალისტებთან



ეთერ ფარეხელაშვილი

დიდი სარეზერვუარი (შთაბეჭდილება)



საქართველოში ალბათ უკვე ბევრმა სპეციალისტმა იცის ეს სახელი და გვარი – ბობი ფერგიუსონი (Bobby Fergwon). ეს ამერიკელი ქალბატონი ლუიზიანას შტატის დელაქალაქ ბატონ-რუჟში ცხოვრობს. იგი ერთ-ერთი ბიბლიოთეკის (East Baton-Bouge Parish library) გეჟნიკური განყოფილების გამგეა. აგრეთვე ასწავლის ინგლისურ ენას იქ ჩასულ უცხოელებს.

ქალბატონი ბობი პირველად საქართველოში 2004 წლის აპრილში ჩამობრძანდა თავის მეგობართან ქ-ნ შეილა ინგნერთან ერთად. მაშინ სტუმრობის მიზეზი კონფერენცია და საქართველოს დათვალიერება იყო. ქ-ნი ბობი მეორედ უკვე სულ სხვა მიზეზით ჩამოვიდა. რაც ყველაზე საინტერესოა, მან თქვა, რომ საქართველო ის ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ორჯერ ვიმოგზაურეო. მიზეზი, აი, რა ყოფილა: აქ ხალხი მისთვის მეტად მახლობელი და თბილი აღმოჩნდა. „საქართველოში თავს ისე ვგრძნობდი, როგორც საკუთარ სახლში, მიუხე-

დავად დიდად განსხვავებული კულტურის, ენისა და ადათ-წესებისაო“. იგი მეორედ იმიტომ ჩამოვიდა საქართველოში, რომ ქართველი ხალხისათვის თავისი მოკრძალებული პატივისცემა გამოეხატა. ორი კვირის განმავლობაში, დილიდან საღამომდე, დიდი სიყვარულითა და შემართებით მუშაობდა, ქართველი ახალგაზრდები უკეთ რომ დაუფლებოდნენ ინგლისურ ენას. ეს იყო მისი საჩუქარი საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტებისთვის. ქალბატონი ბობი კიდევ გეგმავს ახლო მომავალში საქართველოში ჩამოსვლას. რა თქმა უნდა, მას ისევ საქველმოქმედო მიზნები ამოძრავებს. ჩვენდა სასიხარულოდ, იგი დაინიშნა კავშირის – „ამერიკელი მეგობრები საქართველოს ბიბლიოთეკებისათვის“ – აღმასრულებელ დირექტორად. ამბობს: „საქართველოში სტუმრობა არასოდეს მომწყინდებაო“.


– ბობი ფერგიუსონი საქართველოში ჩამოსვლის დღიდანვე გავიცანი და, მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, ძალიან დაგმეგობრდით.



რო ბიბლიოთეკა მოვინახულეთ. როგორც ცხოვრების პირობები, ასევე ბიბლიოთეკების მეგად მაღალი ღონისაა. შესანიშნავი სამკითხველო დარბაზებია და მომსახურების სისგემა, მყუდრო გარემო და ლამაზი ეზოები მკითხველს არაჩვეულებრივ პირობებს უქმნის. ჩემი სადისერგაციო თემიდან გამომდინარე, მეგ ყურადღებას სასკოლო ბიბლიოთეკებს ვაქცევდი. საჯარო ბიბლიოთეკებშიც ბევრი ადგილია გამოყოფილი, როგორც სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის, ასევე მოსწავლეებისათვისაც.

სკოლის ბიბლიოთეკებს მოსწავლეთათვის მეგად ადვილად გასაგები, მარტივი საძიებო ელექტრონული სისგემები აქვთ. გააჩნიათ კომპიუტერული ლაბორატორიები, სადაც კომპიუტერთან მუშაობა ისწავლება. ფონდთან დაშვება ყველგან თავისუფალია. მცირე ასაკის


ამ მაღლიანმა ქალბატონმა გასული წლის ნოემბერს, როგორც დედამ შვილს, ხელი ჩამკიდა და აშშ-ში წამიყვანა თავისი სურვილითა და ხარჯებით. თურმე ჩაფიქრებული ჰქონია ჩემთან ერთად სხვადასხვა შტატებში მოგზაურობა. ეს ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო, თუმცა ყოველთვის მჯეროდა, რომ ცხოვრება სასწაულებით არის სავსე. ამერიკაში ჩასვლის დღიდან ბოზი ცდილობდა, რომ თავი სგუმრად არ მეგრძნო. ორი თვე და მეტი საკმაოდ დიდი ხანია, რომ ერთმანეთი კარგად ვაგვეცნო და ნათესავეებისა და მეგობრების ახლობელი ვავხდი. ძნელი არ აღმოჩნდა იქაურ ცხოვრებასთან და ხალხთან შეგუება. ჩემი გამგზავრების ძირითადი მიზანი დისერგაციისათვის მასალების შეგროვება იყო, რაშიც ბოზიმ უზომოდ დიდი დახმარება გამიწია. მან ჩასვლიდან მეორე დღესვე ბიბლიოთეკაში წამიყვანა და მაშინვე შევუდექი საქმეს.



ბავშვებისათვის თითქმის ყველა ბიბლიოთეკაში შემოღებულია ზღაპრის საათები. აქ ყველა ბიბლიოთეკარის მთავარი მოვალეობაა დაინგერესოს, საერთოდ, წიგნებით ყველა ასაკის მკითხველი და რაც შეიძლება მაქსიმალურად მიაწოდოს ინფორმაცია წიგნისა თუ კონკრეტული ნაწარმოების შესახებ. მათი მთავარი დევიზია: „აღამიანი მკითხველად არ იბადება, მკითხველი უნდა გაფხადოთ!“

„Barnes and Noble“ ამერიკის ყველა შტატში

მოგზაურობისას ბევრი სასკოლო და საჯარო



ხალხისათვის საყვარელი წიგნის მაღაზიაა. ეს მაღაზიები დიდი მოცულობითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ ყველა ასაკის, პროფესიისა და გემოვნების ადამიანს ფართო არჩევანი ეძლევა ლიტერატურის, მუსიკისა თუ ფილმის შერჩევისა. ამ მაღაზიაში დრო ისე სწრაფად გადის, რომ მთელი დღე აქ ადამიანი სიამოვნებით გაჩერდება. სამომავლოდ ჩვენც ვეწვიეთ Baton Bouge-ის ფილიალს. აქ მეორე სართულის აივანზე გადმომდგარი სკოლის მოსწავლეები საშობაო სიმღერებს ასრულებდნენ. როგორც ჩანს, ეს იყო კარგად დაგეგმილი და ჩატარებული საშობაო კონცერტი სპეციალურად წიგნის მაღაზიაში. იქ უამრავი ხალხი მოგროვდა. ამერიკელებს ძალიან ჰყვარებიან წიგნების ყიდვა საშობაო საჩუქრად.


მე და ბობიმ ერთად რამდენიმე შტატში ვიმოგზაურეთ. ვნახეთ ბევრი საინტერესო და ლამაზი ადგილი. „Grand Canyon“ – ამერიკელების სიამაყე და საკვირველება. ბუნება ხომ ყველგან ლამაზი და საუცხოოა, მაგრამ 277 მილის სიგრძეზე გადაჭიმული ფერადი კლდეები და შუაში შეჭრილი ბობოქარი მდინარე კოლორადო უცნაურ გრძნობებს იწვევს. ნებისმიერ

ადამიანს დიდ შიშსა და სიამოვნებას ჰგერის ეს სანახაობა. დგები კლდის ქიმზე და გადაჰყურებ ადგილს – ზოგან ნისლში ჩაძირულს, ზოგან კი მზით გაკაშკაშებულ კანიონს. ადამიანთა გონება და შესაძლებლობა მაინც ერთმანეთს ჰგავს. აქ აგებული კოშკი სვანურ კოშკს მაგონებს, თუმცა შიგნით შესვლისთანავე ადვილი გამოსაცნობია, რომ ეს ინდიელთა ხელოვნების ნიმუშია. შიგნით დაყო-

ლებულ კიბეზე ასვლის შემდეგ საშუალება გეძლევა უკეთ დაინახო ხევი და სამყაროს ეს მშვენიერება.

Mesa Verde (ქართულად მწვანე მაგიდას ნიშნავს) ინდიელთა ნასახლარი ჩვენს უფლისციხეს მაგონებდა. მართალია, ეს ადგილი სულ რამდენიმე საუკუნეს ითვლის, მაგრამ ესეც დაახლოებით იგივე გიპის კლდეში შეჭრილი, საკმაოდ დიდი ზომის ინდიელთა სამოსახლო ადგილი ყოფილა. ამერიკელი ხალხი დიდი პატივისცემით უვლის და ინახავს ამ ისტორიულ ადგილს, მის თითოეულ აგურს და მისკენ მიმავალ გზას.

ჩემი ამერიკული ცხოვრება და მოგზაურობა მეგალ საინტერესო და ნაყოფიერი იყო. ყოველ დღე ახალს მაგებდა ჩემს განათლებას. მეგალ ძნელია იმის ჩამოთვლა და გადმოცემა, რაც ვნახე და განვიცადე. გამაკვირვა ნიუ-იორკის, ნიუ-ორლეანის, დალასის, კოლორადოს, ოკეანის სანაპიროს, მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების სიმდიდრემ, ქალაქების სილამაზემ. ძალიან ძნელია იმ მაღლიერების გრძნობის გადმოცემა, რომელიც ქალბატონი ბობი ფერგიუსონის მიმართ მთელი ცხოვრება გამყვება.



რუსულან ენჯიბაძე

ბულანთიბული მოღვაწე

ბროფესიით ბიბლიოთეკარი, სულით პოეზიის მოყვარული, საქმით გამოჩენილი ქალბატონი ლილი გვარამაძე 38 წელი ერთგულად ემსახურა საბიბლიოთეკო საქმეს. დღეს ის პენსიაზეა. ესტაფეტა ახალგაზრდა თაობას გადასცა. წასვლის წინ დაგვაიმელა – სანამ შემეძლება, ჩემს გამოცდილებას არ მოვაკლებ ახალგაზრდა ბიბლიოთეკარს, ღირსეულ შემცველად გამოვზრდიო.

სოფელ ფლევიში ცხოვრობს მრავალი თაობის აღმზრდელი, თმაშევერცხლილი ქალბატონი, რომელსაც სიყვარულით ესაღმებინ სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები თუ ხანდაზმული სოფლელები. შაბათ-კვირას მოხუცები კვლავ მას სთხოვენ გაბეთებს, საქვეყნო ინფორმაციის მოცემას.

ქალბატონი ლილი სოფლის მარადიულ ბიბლიოთეკარად დარჩა მათ შეგნებაში.

ქალბატონი ლილი წიგნის ნამდვილი თაყვანისმცემელია. გატაცებით უყვარს ის და მის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. ამ განცდითაა მის მიერ დაწერილი მხატვრული ჩანახატი – „წიგნი, ბიბლიოთეკა, ბიბლიოთეკარი“, რომელშიც თავმოყრილი აქვს წიგნზე გამოთქმული მოსაზრებები. თავის მხრივ ის ხაზგასმით ამბობს: „წიგნისა და ბიბლიოთეკის უარყოფელი ხელს უწყობს ბოროტებას... დიდება

კაცობრიობას, რომელმაც შექმნა ადამიანისათვის ესოდენ საჭირო საოცრება – წიგნი“.

თავის ჩანახატში ის განსაკუთრებით მოწიწებით ბიბლიოთეკასა და ბიბლიოთეკარებზე ლაპარაკობს. გულს უკლავს ის გარემოება, რომ დღეს ურთულეს პირობებშია ჩავარდნილი ერთიცა და მეორეც.




„დღევანდელ პირობებში გართულებულია ბიბლიოთეკარის საქმიანობა, – წერს ის, – იგი არის დამლაგებელიც, შეშის მჭრელიც, ყარაულიც, ამოდენა მაგერიალურ ქონებაზე პასუხისმგებელი... და რა დასანანია, რომ მისი შრომა ასე მცირედ არის შეფასებული. მისი თვიური ხელფასი მხოლოდ 34 ლარს შეადგენს. არავითარი წახალისება მისთვის არ არსებობს... მე ვფიქრობ, ეს წიგნისა

და მისი პროპაგანდისგის აბუჩად აგდებააო“.

ლილი გვარამაძის განცდები წიგნის მიმართ იმდენად მძაფრია, რომ მას ლექსიც კი მიუძღვნია წიგნისათვის.

„მარადიული დიდება მისი, კაცობრიობას ვინც მისცა წიგნი...
წიგნი ხილია მიწის და მზისა,
წიგნმა მსოფლიოს სინათლე მისცა“.

გულწრფელად გვჯერა, ქალბატონი ლილი ყოველთვის ჩვენს გვერდით იქნება და ყოველმხრივ დაგვეხმარება საზოგადოებაში წიგნიერი გარემოს შექმნაში.



ინგა არგუცინსკაია
საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკური
საბავშვო ბიბლიოთეკის დირექტორი

ჩაპოჩტაში ბიბლიოთეკიდან

ბოლო ათწლეულების სოციალური პირობები საკმაოდ მძიმედ აისახა ლ. ასათიანის სახ. სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკის ცხოვრებაზე – ძველი ინტერიერი, გაურემონტებელი ოთახები, ახალი საინფორმაციო წყაროების ნაკლებობა და მრავალი სხვა პრობლემა, რომელთა გადაჭრის გზებს მონდომებით ეძებდა ბიბლიოთეკა.

იმედი მოგვეცა, როდესაც საქმიანი ვიზიტით იაპონიის ფირმა „ნომად-ინტერნეიშენალის“ კოორდინატორი რუსულან პირველი მობრძანდა. იაპონიის ფირმამ საქველმოქმედო პროექტით გაგვირემონტა დიღმის და დიღუბის სამკითხველო დარბაზები, შესასვლელები, სველი წერტილები. შეგვიძინეს ავეჯი დიღმის სამკითხველო დარბაზისათვის: მათ მხარი კულტურის სამინისტრომაც აუბა და დიღუბის დარბაზი სამინისტროს მიერ შექმნილი ავეჯით დამშვენდა.

ეს „კეთილი ზღაპარი“ ასე არ დამთავრებულა და იაპონელებმა არაჩვეულებრივად ღამამი წიგნებიც გვიყიდეს (1590 ლარის ღირებულების).

ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა თავიდანვე თადარიგი დაიჭირეს და მკითხველებთან ერთად ჩააგარეს დაუსწრებელი მოგზაურობა: „წიგნით მსოფლიოს გარშემო: „იაპონია – ამომავალი მზის ქვეყანა“.

2005 წლის 7, 8, 9 თებერვალს იაპონური ფირმის წარმომადგენლები, კოორდინატორი რუსულან პირველი, კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი ნინო მეიფარიანი გახდნენ ამ

და სხვა ღონისძიებათა თვითმხილველნი. იაპონელების სტუმრობის დროს ბიბლიოთეკაში მოეწყო იაპონური წიგნების გამოფენა /ქართულ, რუსულ ენებზე/, საინფორმაციო კუთხე „ეს საინტერესოა“ /იაპონური ადათ-წესების შესახებ/. ბავშვებმა და სტუმრებმა ისაუბრეს საქართველოსა და იაპონიაზე.

უმცროსი ასაკის მკითხველებმა წარმოადგინეს „მოგზაურობა ზღაპარეთში“, საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვებმა

„ვითამაშობთ, ვკითხულობთ, ვმსჯელობთ“ (შემეცნებითი ხასიათის პროგრამით).

დიღმის №1 საბავშვო სახლისა და №42 საბავშვო ბაღის აღსამრდელებთან ერთად ბიბლიოთეკაში იაპონელებმა ფერადი ქაღალდებით






სხვადასხვა საბავშვო სათამაშოები გააკეთეს. ბავშვები გაეცნენ ახალ ლიგერაგურას და დიდი სიხარულით გაიგანეს თავიანთვის სასურველი წიგნები.

9 თებერვალს სტუმრები ბიბლიოთეკათმორისი აბონემენტის განყოფილების გამგესთან /ლ. თოთღრია/ ერთად ეწვივნენ მოძრავ ბიბლიოთეკას – №18 სკოლა ლიცეუმში, სადაც მოწყობილი იყო იაპონელების მიერ შექმნილი

წიგნების გამოფენა. ამ წიგნებმა მრავალ ბავშვს გაუხარა გული.

10 თებერვალს სტუმრები ბიბლიოთეკის დირექტორთან ერთად კულტურის სამინისტროს ეწვივნენ და ხელმძღვანელებს თავიანთი შთაბეჭდილებები გაუზიარეს.

იაპონელები ნანახითა და მოსმენილით კმაყოფილნი დარჩნენ და დაგვიტოვეს დიდი იმედი მომავალი თანამშრომლობისა.



მაყვალა ფირფირაშვილი
ასპინძის სარაიონო საბავშვო ბიბ-კის გამგე

ერთი ლაპაზი სლაპო

ასპინძის რაიონული საბავშვო ბიბლიოთეკა წლების განმავლობაში საკმაოდ ავარიულ შენობაში იმყოფებოდა. 2002 წელს ასპინძის გამგეობის და პირადად მაშინდელი გამგებლის ა. საწნდროშვილის ძალისხმევით, საკმაოდ კარგი შენობა შეირჩა და ც/რაიონული ბიბლიოთეკა თავისი №1 ფილიალთა გადავიდა. ნათელი, სუფთა და საკმაოდ მოზრდილი 3 ოთახი საცესებით აკმაყოფილებს საბავშვო ბიბლიოთეკის მკითხველთა მოთხოვნებს. მისი ფონდი 17 ათასია და დაახლოებით 800-მდე მკითხველს აერთიანებს.

ფაქტობრივად, 1992 წლიდან ბიბლიოთეკები სისტემურად აღარ კომპლექტდება ახალი ლიგერაგურით და შესაბამისად საბავშვო ბიბლიოთეკაშიც იმაგა დახეულმა და საკმაოდ მოძველებულმა ლიგერაგურამ. ეს კი დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს მკითხველთა მოზიდვისათვის, მაგრამ საბავშვო ბიბლიოთეკის თანამშრომლები ყველა ღონეს ხმარობენ, რომ მკითხველი არ დაკარგონ და აქტიურ მუშაობას ეწვეიან მათთან. აქტიური მუშაობის შედეგია ისიც, რომ 2003 წელს მათი ძალისხმევით „ახალმა მემარჯვენეებმა“ 500 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების საბავშვო ლიტე-

რაგურა შეიძინეს და საჩუქრად გადასცეს საბავშვო ბიბლიოთეკას. ამან კი საკმაოდ კარგი შედეგი გამოიღო. უნდა გენახათ, როგორი სიხარულით და ინტერესით მოდიოდნენ ბავშვები ბიბლიოთეკაში. ერთმანეთს უზიარებდნენ ამრს ახალი წიგნების შესახებ, ირჩევდნენ და ურჩევდნენ ერთმანეთს წასაკითხად წიგნებს, იმართებოდა სჯა-ბაასი.

ახლაც ცდილობენ შემოამაგონ ბიბლიოთეკას რაიმე ახალი და თხოვნით მიმართეს რაიონის დეპუტატს რამაზ თედორაძეს, რომელიც დახმარებას დაჰპირდა და ისინიც დიდი სიხარულით ელოდებიან სიახლეს.

საბავშვო ბიბლიოთეკა მხოლოდ კითხვის ორგანიზაციით არ იფარგლება. იგი აქტიურად ეხმარება ყოველგვარ სიახლესა და დღესასწაულს საკმაოდ ღამაში ღონისძიებებით. ყავს საკმაოდ ბევრი აქტიური მკითხველი და მათი დახმარებით აგარებს საბავშვო დილას, წიგნის განხილვას, ლიგ. კომპოზიციას და ა. შ.

2005 წლის მარტმაც გაბაფხულის სურნელი მოიგანა საბავშვო ბიბლიოთეკაში. არასოდეს არ აკლდათ აქ მკითხველები, მაგრამ დღეს განსაკუთრებით იყო ეს საგრძნობი.

ნაირფერი პეპლებივით მორთულ ბავშვებს ავესოთ ბიბლიოთეკის ღამაში ეზო და უფრო გაეხალისებინათ იგი. შემოეგანათ ენძელების, იებისა და ყოჩივარლების სურნელი. მალე ამავე გრძნობით აივსო დარბაზიც და სცენაც. ლიგერაგურული კომპოზიცია „გაბაფხული შემოსულა, ლენ!“ იწყება და ყველას გულისყური დიდი მოლოდინით ივსება.

მანდილოსნებს 3-8 მარტს ულოცავს საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე მ. ფირფირაშვილი და ხსნის საბავშვო ღონისძიებას.

ისმის საგალობელი და მის ფონზე ჩაბნელებულ სცენაზე ჩნდებიან პაგარები სანთლებით ხელში. სრულ სიჩუმეში ისმის გკბილი ჰანგები.

მღერიან პაგარები და ღვთისმშობელ მარიამს ავედრებენ სრულიად საქართველოს. სთხოვენ, რომ მშვიდობამ და სიწყნარემ და-



ისადგუროს, სთხოვენ, რომ მომავალ თაობას მისცეს საშუალება, უკეთეს მომავალში იცხოვროს. იაგნანასავით ისმის ჩუმი ხმით, გულიდან წამოსული „დედის ლოცვა“ (კითხ. ანა კოხრეიძე)

... „გარდმომივლინე მადლმოსილი
შეწვენა შენი,
შენი კურთხევით შვილთა ჩემთა
წარმართი ბედი,
თუნდაც დასჯიდე, პატიებდე, თუნდაც
უგალობდე,
შენ, ღვთისმშობელო, ევედრე ღმერთს, –
უზენაესს, – შენს ერთადერთ ძეს...
გთხოვ ნურასოდეს ნუ ჩაუჭრობ
ჩემს შვილებს შენს მზეს...“

დედებს-ქალებს გრადიციულ დღესასწაულს ულოცავენ ღონისძიების წამყვანები – ანა კოხრეიძე, თეონა კახიძე, თათია მელიქიძე. ნამდვილი დრესასწაული მეფობს სცენაზე. ისმის გიგარის დამაგებობელი ხმა და ნაირა გოგოლაძე მოწვეულ სგუმრებს უმღერის:

... „გაბაფხული შემოსულა, ლენ,
ბუდეები გაუწყვიათ ჩიტებს,
მე გიყიდი წითელ-ყვითელ ჩითებს,
თეთრი ტილო მომიქარგე შენ!
გაბაფხული შემოსულა, ლენ!“

ერთიმეორეს ცვლიან თითისგოლა გოგობიჭები –

... „მე რომ ისე დავიფიცო,
შენ რომ ფიცავ,
შენ რომ ფიცავ,
ჩემს სიყვარულს დაიჭერებს
საქართველოს ცა და მიწა...“ –

ისმის ნათია ნადირაძის წკრიალა ხმა და სცენაზე მუშგშეკრული, თვალეგაბრწყინებული დგას.

გესმის წკრიალა ხმები და გიკვირს, როგორი დახვეწილი დიქციით, დამაჯერებელი გონით მოგმართავენ ჯერ კიდევ ახლადმოსული ყვავილივით ნაზი და ჰაეროვანი ბავშვები.

ეს რამხელა სული ჰქონიათ ამ პაგარებს და რამხელა სიყვარულს ინახავს თურმე მათი გული.

„ბედო, წაღმართი გზით სიარული
და შეიღების სიმრავლე დაგვიბედე,
ქართველი ბავშვების ჟრიაბულით
მესხეთის სიმყუდროვე დაგვიფეთე!..“ –

ლოცვასავით ისმის თამთა მელიქიძის მიერ წარმოთქმული სგრიქონები და შენც თითოქს მას უერთდები – გინდა ნახო საქართველო გაძლიერებული და გამრავლებული.

ან კიდევ რად ღირს იმის მოსმენა, თუ როგორ ადარებს გვანცა ლონდარიძე ყველა დედას ღვთისმშობელ მარიამს: –

... „რწმენა, იმედი, რიდი,
სიცოცხლის არსის ხედვა,
წუთისოფელზე დიდი
ღვთისმშობელი ხარ დედა...“

„... საქართველოს ყველა ლამაზს მოგილოცავთ 8 მარგს“... ისმის ნათია მჭედლიშვილის წკრიალა ხმა და მთელი არგისგიმბით გამოხატავს სიყვარულს სილამაზისადმი. იგი საქართველოს ლამაზმანებს ულოცავს 8 მარგს და

შეილთა სიმრავლეს, სიჯანსაღეს და წარმატებებს უსურვებს მათ.

ერთმანეთს ეჯიბრებიან ლექსის თქმაში ნინო მაზმიშვილი, თამუნა თურქაძე, სალომე ალავიძე. ლექსებს სიმღერები ცვლის. სასიამოვნო ჰანგებით ივსება დარბაზი. პაგარების გუნდი მოწიწებით შესცქერის მუსიკალური სკოლის პედაგოგს ლეილა თელიაშვილს, რომელმაც ძალზე დიდი შრომა გასწია, რათა გამოენახა საკუთარ თავში ძალები და მაქსიმალურად გამოეფლინა თავისი შემოქმედებითი პოტენციალი. იგი გვერდში დაუდგა საბავშვო ბიბლიოთეკის თანამშრომლებს და ღონისძიების მუსიკალური ნაწილი თავად აიღო გვირთად. მღერიან ნინო და სალომე ალავიძეები, ეკა ცისკარიძე, თამთა მელიქიძე, ნათია ნადირაძე, ნათია მჭედლიშვილი...

არ შეიძლება არ აღინიშნოს ეკა კობრეიძის მიერ შესრულებული სიმღერები, რომლებმაც მაყურებელთა შორის დიდი მოწონება დაიმსახურა. მერე ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველებმა – თათია მელიქიძემ, თამუნა თურქაძემ, მიშიკო ლონდარიძემ, გაგო დიასამიძემ, ჰამლეტ თედორაძემ სევდით და ნაღველით განასახიერეს იროდიონ ევლოშვილის „ორი ობოლი“.

და ისევ ლოცვა – „დედა მარიამ“, – კითხულობს მიშიკო ხაჩაგურიანი. ლოცვა საქართველოსათვის, მისი გადარჩენისათვის, კარგი მომავლისათვის!

... „დალოცვილია, დედა მარიამ,
ზრახვანი შენი,
კვლავ გაუთენე საქართველოს ნათელი
დღენი...“

გარდასულ ჟამის იარები შენ
მოგვირჩინე,
შენი წილხვედრი საქართველო
გადაგვირჩინე!“

ქალი დიდი ძალაა ქვეყნად – წმინდა მარიამ ღვთისმშობელი, წმინდა ნინო განმანათლე-

ბელი, შეუდარებელი თამარი, ქეთევან წამებული და სხვანი მრავალნი ქარიშხალზე ძლიერნი არიან, დევკაცებზე ძლიერნი, მით უმეტეს, ქალი დედა!

ფიქრობ დედაზე და კიდევ ერთხელ გინდა გაიმეორო ასჯერ და ათასჯერ თქმული:

„დაუჯერეთ დედებს და ქვეყნად არასოდეს დაიღვრება სისხლი!“

დასასრულს მრავალქამიერით ემშვიდობებიან ბავშვები სგუმრებს. გვიან, გვიან მთავრდება ღონისძიება და მადლიერების გრძნობით აღსავსე მაყურებლები ფიქრადძრულნი გოგებენ ღარბაზს. ჩვენ კი კვლავ შევუდექით



ფიქრს იმაზე, თუ მომავალში რით გავახარებთ ჩვენს მკითხველებს.



გულიკო თომაძე
ამბროლაურის მთავარი ბიბლიოთეკის მეთოდ. განყ. გამგე
„მნამს მომავალი სახემსინარი“ ...



ღონისძიება ჭელიაღელის სასოფლო ბიბლიოთეკაში

ც. ჯაფარიძე). ღონისძიება მხატვრული ლიგერატურით დაინტერესებას, კითხვის უნარისა და გამოვნების განვითარებას, მესხიერების განმტკიცებას, ცოდნის გაღრმავებას, ქართულ და უცხოელ მწერალთა და პოეტთა მრავალმხრივი ცხოვრებისა და შემოქმედების გაცნობას ისახავ

და მიზნად.

მართონში მონაწილეობა მიიღეს: კოლეჯის, რაიონის, სასოფლო და სასკოლო ბიბლიოთეკების მკითხველებმა. ბიბლიოთეკართა დაახლოებამ და მათმა ერთობლივმა საქმიანობამ დიდი დახმარება გაუწია ახალგაზრდო-

ასე დავარქვით ლიგერატურულ მართონს, რომელიც გაიმართა ამბროლაურის რაიონში და ორ დღეს მიმდინარეობდა.

იღუა ეკუთვნობა კულტურის განყოფილების გამგეს გურამ გორდემიანს, ხოლო ორგანიზატორი იყო მთავარი ბიბლიოთეკა (ღირეექტორი



ლიგერაგურულ მარათონში მონაწილე მოსწავლეები

ბას წიგნთან მუშაობის საქმეში.

მარათონის დასკვნით ეგაპამდე ბიბლიოთეკებში გამოცხადებულ ნომინაციებთან დაკავშირებით ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია სოფ. ჭელიაძელის 2004 წლის საუკეთესო ბიბლიოთეკარის ნახული ქევანაშვილის მიერ ჩატარებული პოეზიის საღამო – „როგორც ერთია ქვეყნა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი“. ღონისძიებას ესწრებოდა მხარის გუბერნატორი მერაბ არჩვაძე, რაიონის გამგებელი სოსო ჭიღვარია, კულტურის განყოფილების გამგე გურამ გორდემიანი და მთავარი ბიბლიოთეკის თანამშრომლები. ნიკორწმინდას, ხოტევის, სხვათა სსსოფლო ბიბლიოთეკებში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

პოეზიის საღამო – სევდიანი სგრიქონები გ. გაბიძის პოეზიიდან.

ლიგერაგურული საღამო – ლალო ასათიანის ცხოვრება და შემოქმედება.

პოეზიის საღამო ჩუმი, მორიდებული, უპრეგნზიო – ზურა ჯაფარიძე.

ლიგერაგურული მარათონი მიმდინარეობდა ორ დღეს. პირველ დღეს მთავარ ბიბლიოთეკაში 43 მონაწილის ცოდნის დონის შეფასება მოხდა ტესტებით საკმაოდ კომპლექსური ეიურის მიერ (თავმჯდომარე ნ. ენუქიძე). გამა-

რჯელებული გამოვლინდა სამი ნომინაციის მიხედვით:

„ქართული ისტორიული რომანი“ – გაიმარჯვა ჭრებალოს სასოფლო ბიბლიოთეკის მკითხველმა მირანდა კერვალიშვილმა.

„ქართველი და უცხოელი კლასიკოსები“ – გაიმარჯვა მთავარი ბიბლიოთეკის მკითხველმა თამარ გოგორელიანმა.

„პოეზია – უპირველეს ყოვლისა“ – გაიმარჯვა ნიკორწმინდას

სასოფლო ბიბლიოთეკის მკითხველმა – რუსუდან არჯევანიძემ.

მარათონის მონაწილეებს მიესალმნენ პრეზიდენტის რწმუნებული რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარეში მერაბ არჩვაძე, კულტურის განყოფილების გამგე გურამ გორდემიანი, ლიგერაგურული კონკურსის „ფენ მარათონი 2004“-ის ლაურეატი და ლიგერაგურული პრემიის „საბა“-ს მფობელი მწერალი ბესო ხვედელიძე, მომღერალი ზაზა კორინთელი (ზუმბა).

მეორე დღეს კულტურის სახლში გამართული მარათონელთა დაჯილდოება ზეიმად იქცა. დარბაზი მაყურებელს ველარ იტევდა. საღამო სიმფონიურმა კვარტეტმა „ფორცანლომ“ გახსნა (ხელმძღვანელი ნუკრი ბაგრატიონი). ადგილობრივ შემოქმედებით კოლექტივებთან ერთად საზეიმო საღამო გააღამაზა მომღერალმა თამრიკო ჭოხონელიძემ. მისი გამოჩენა სიურპრიზი იყო დამსწრეთათვის. მოულოდნელი იყო აგრეთვე გყიბულის ქორეოგრაფიული ანსამბლის „ბიჭების“ გამოსვლა.

ლიგერაგურულ მარათონში გამარჯვებულებს გადაეცათ სამახსოვრო პრიზები, დიპლომები და ფულადი ჯილდოები. ყველა მონაწილე ბავშვმა მიიღო საჩუქრები: პოეგ ანა ერისთა-

ვის ლექსების კრებული „მეწამული ბილიკი“ და ლოცვების წიგნი „ლოცვანი“.

მაყურებელი დარბაზს არ გოვებდა. ის სავსე იყო ამაღლებული და ემოციური მუხგით. გვახარებდა იმის შეგნება, რომ მოდის ნიჭიერი და


საიმედო თაობა.

ლიგერაგურული მარათონი „მწამს მომავალი სახემცინარი“ დაფუძნდა ჩვენს რაიონში და ჩაგარდება ყოველწიურად. ასეთი იყო მარათონში მონაწილეთა გადაწყვეტილება.



ვერიკო კერაგიშვილი
საგარეჯოს საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე

საგარეჯოს სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკის ახალი დაბადება



1927 წელს აშენებული შენობა, რომელშიც, სხვათა შორის, თავის დროზე პირველი პარგიული კომიგეტი ყოფილა მოთავსებული და, აი, უკვე 40 წელია ბიბლიოთეკაა განთავსებული, ათეული წლებია არ შეკეთებულა. მის სავალალო მდგომარეობაზე და იმაზე, რომ აქ შემოსული მკითხველისა თუ თანამშრომლების სიცოცხლისათვის დანგრევის პირზე მისული შენობა საფრთხეს წარმოადგენდა, წლების წინ ავლაპარაკდით ბიბლიოთეკის თანამშრომლები, მაგრამ ყველაფერი რჩებოდა „ხმად მლაღაღებლისა უღაბნოსა შინა“.

მისი შეკეთება მხოლოდ ახლა გახდა შესაძლებელი. საგარეჯოს რაიონის გამგეობამ შენობის რესტავრაციისათვის 5 000 ლარი გამოყო და გაიშალა აღდგენითი სამუშაოები. შეკეთებული და შელესილია შენობის კედლები, შეცვლილია წვიმის საწრეტი მილები, შერემონტებულია სამკითხველო დარბაზი და გამგის კაბინეტი, შეყვანილია მუდმივი დენი. დარჩა მხოლოდ წიგნსაცავი, რომელშიც უფროსი კლასების მოსწავლეთათვის წიგნებია, მაგრამ იმედს ვიგოვებთ, მალე ამასაც მოეველება. მართალია, მისი მოძველებული სტილის თაროების შეცვლა შეუძლებელი აღმოჩნდა, მაგრამ სამაგიეროდ ახალი ლიგერაგურით შევსებას ვპირდებით მოზარდებს. (როგორც მოგეხსენე-

ბათ, ამ ბოლო წლების განმავლობაში შინა-არსობრივად მოძველებული და გაცვეთილი ბევრი წიგნი ჩამოიწერა).

ბავშვების გემოვნებასა და განწყობილებას პასუხობს შენობის გარე ფასადის ვარდისფერი ფერი. წინ ლამაზი ყვავილნარია გაშენებული. საბავშვო ბიბლიოთეკის თანამშრომლების სახელით ყოველივე ამისათვის დიდ მადლობას მოვასხენებთ რაიონის გამგებელს გარი ბუხნიკაშვილს, რომელმაც გულთან ასე ახლოს მიიგანა ჩვენი საწუხარი – 310 ლარი გამოჰყო წიგნების შესაძენად.

1 აპრილს გაიმართა ახალგარემონტებული ბიბლიოთეკის გახსნის ცერემონიალი, რომელშიაც მონაწილეობდნენ საგარეჯოს ოთხივე სკოლის მოსწავლეები, მოწვეული სტუმრები, რომელთა შორის იყო ჩვენი რაიონის მკვიდრის, გამოჩენილი ქართველი მწერლის რეზო ინანიშვილის მეუღლე – ქალბატონი როზა (მოგეხსენებათ, საგარეჯოს სარაიონო ბიბლიოთეკა რევამ ინანიშვილის სახელს აგარებს), მან აღფრთოვანება ვერ დამალა ბავშვების მიერ რეზო ინანიშვილის მოთხრობის მიხედვით დადგმულ წარმოდგენის გამო. ბიბლიოთეკას სამომავლოდ დიდი წარმატებები უსურვა და საჩუქრად რეზო ინანიშვილის მოთხრობების რამდენიმე კრებული გადასცა.

საინგერესო წიგნები გადასცა ბიბლიოთეკას საჩუქრად აგრეთვე ჟურნალ „ნაკაღლის“ რედაქტორმა ქალბატონმა მანანა გელაშვილმა; საგარეჯოს მეთაური ბიბლიოთეკის დირექტორმა ლია გოდერძიშვილმა ლამაზად ილუსტრირებული საბავშვო წიგნები მიუძღვნა ბიბლიოთეკას, კულტურის სასახლის დირექტორმა, ბიბლიოთეკაში გაზრდილმა ბადრი დრეიძემ ბიბლიოთეკას რევამ ინანიშვილის გილოზე შესრულებული ნახატი უსახსოვრა. ჩვენმა მკითხველმა ნაგო შიოშვილმა წაგვიკითხა ლექსი „საბავშვო ბიბლიოთეკას“.

ფაქტიურად, საბიბლიოთეკო კვირეული საგარეჯოს საბავშვო ბიბლიოთეკაში 1 აპრილს დაიწყო. იმ დღის შემდეგ ჩვენთან მკითხველი აღარ გამოლეულა. გახსნას მიეძრვნა აგრეთვე „ერთი მხაგვრის გამოფენა“, ღონისძიებების პროგრამაში იყო ლექსები, სიმღერები, სასკოლო კურიოზები...

ადგილობრივი პრესა აქტიურად გამოეხმაურა ბიბლიოთეკის საქმიანობას. საგარეჯოს საბავშვო ბიბლიოთეკა 19 აპრილს „ბარბარას ოთახის“ გახსნით გამოეხმაურა. „ბარბარას ოთახში“ გათვალისწინებულია გასართობ-შემეცნებითი პროგრამით მუშაობა საბავშვო ბავშვის ასაკის ბავშვებისათვის. ის კვირეულის დახურვის შემდეგაც არ დაიხურება, მთელ წელიწადს გასტანს, მშობლებს შეუძლიათ ბავშვების დროებით დაგოვებაც.

19 აპრილს მოწვეული გვეყავდა ბავშვები,

პედაგოგები საგარეჯოს თითქმის ყველა ბავშვბაღიდან და I-II კლასის მოსწავლეები საერო სკოლიდან, (თავიანთი დამრიგებლებით), სგუმრები გამომცემლობა „ნაკაღლიდან“, მთავარი მხაგვარი გურამ ღლონგი, პოეტი ანზორ აბულაშვილი, მხაგვარი ნინო ჯანგულაშვილი (ჩვენი თანამემამულე პოეტის თეიმურაზ ჯანგულაშვილის ქალიშვილი) და სხვები; მათ ბევრი საინგერესო წიგნით გაამდიდრეს ჩვენი ბიბლიოთეკა.



იღვა „ბარბარას ოთახის“ შექმნისა ძალიან მოეწონათ მშობლებს, პედაგოგებს, სგუმრებს, განსაკუთრებით ბებიებსა და ბავშვებს, რომლებსაც იქ „ზღაპრის გულა“ და ბერი ლამაზი სათამაშო ელოდებათ. სათამაშოები ქალაქის მერმა გელა კველიშვილმა შეგვაძენინა, რისთვისად დიდ მადლობას მოვასხენებთ მას.

საბიბლიოთეკო კვირეულის დახურვასთან დაკავშირებით 29 აპრილს საგარეჯოს საბავშვო ბიბლიოთეკაში გაიმართა ლევან გოთუას მოთხრობის „გარეჯულას“ განხილვა (მწერლის 100 წლისთავთან დაკავშირებით).

მთავრდება კვირეული, მაგრამ საგარეჯოელ ბავშვებს კვლავაც მრავალ ღონისძიებაში მონაწილეობის შესაძლებლობა ეძლევა, კვლავაც ვპირდებით საინგერესო, მრავალფეროვან წიგნებს, რომ თავიანთი ცოდნის დონე აიმაღლონ.



ლია ჩხარციშვილი
ოსკ გაერთიანების მეთოდისტი

ლიას დამატებითი საბავშვო ბიბლიოთეკაში

არსებობის ოთხ ათეულ წელზე მეტს ითვლის თბილისის ნინო ნაკაშიძის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკა (ვაჟა-ფშაველას გამზირი 18. გამგე ც. სიმონია).

ბიბლიოთეკა 1963 წელს დაარსდა და საბავშვო მწერლის ნინო ნაკაშიძის სახელი მიენიჭა. ამჟამად თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანების №16 ფილიალია. მერიის კულტურის სამსახურის თაოსნობით და გაერთიანების დირექტორის ქ-ნ ც. კალმახელიძის ძალისხმევით ბიბლიოთეკას ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, მოწესრიგდა მაგერიალური ბაზა, საფუძველი ჩაეყარა „მღაპრის ოთახს“.

ნინო ნაკაშიძის სახელობის ბიბლიოთეკას საბიბლიოთეკო ღონისძიებების მდიდარი გრადიცია აქვს: შეხვედრები საბავშვო პოეტებთან, მწერლებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, ლიტერატურულ-მუსიკალური დილა, წიგნის განხილვა, ფორმულარის დაცვა, და სხვ. გრადიცია გრძელდება – 14 აპრილს, ქართული ენის დრეს, ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა ახალგაზრდა პოეტ რაგი რამბაძესთან, უფრო სწორად, შედგა რაგის ლექსების დებიუტი. რაგი 19 წლისაა. ბიოგრაფია მოკრძალებული აქვს. დაიბადა ქალაქ თბილისში 1986 წელს, დაამთავრა თბილისის 51-ე საშუალო სკოლა. ლექსების წერა 13 წლიდან დაიწყო. მისი საყვარელი პოეტი გალაკტიონია. სწავლობს საერთაშორისო დიპლომატიურ აკადემიაში. მიზანი – ემსახუროს სამშობლოს!

ღონისძიებაში მონაწილე ბავშვებმა წაიკითხეს რაგის ლექსები: „საქართველო“, „ცის



14 აპრილი – შეხვედრა ნ. ნაკაშიძის სახელობის ბიბლიოთეკაში. პოეტი ნოდარ ჯალაღონია, რაგი რამბაძე და ალექსანდრე ლორია

ელვარება“, „მთვარე-ფიქრები“, „მარტოსული“ და სხვ.

ამ ასაკისთვის უჩვეულოდ სევდიანია ლექსების უმეტესი ნაწილი:

„მარტოსულისთვის მზე არ მზეობს,
ცა იღრუბლება,
მარტო კაცისთვის მზე არ მზეობს,
მისთვის სულ ბნელა“..
„შავია ცა, სიკვდილის ფერია,
როგორც არასდროს, ისეთი ბნელია“. –

ისმის სგრიქონები მისი ლექსებიდან.

ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ პოეტი ნოდარ ჯალაღონია და პროფ. ალექსანდრე ლორია. აღინიშნა, თუ რამდენად აუცილებელი და საჭიროა ბიბლიოთეკაში ასეთი სახის ღონისძიებების ჩატარება, ახალგაზრდა დამწეებ პოეტების თანადგომა. მოწვეულმა სტუმრებმა გზა



რაგი რაზმაძე მკითხველებთან ერთად

დაულოცეს რაგის, წინსვლა და შემოქმედებითი აღმავლობა უსურვეს. ბაგონმა ალ. ლორიამ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა თავისი მოთხრობების კრებული „ეამი სიყმაწვილისა“, აგრეთვე ინგა ფილაურის: „ანოტირების მეთოდისა“ და „საბიბლიოთეკო ფონდები“.

პოემა ნოდარ ჯაბლონიამ წაიკითხა საკუთარი ლექსი „ყვავილების მიწა“, რომელიც 1963 წელს პირველად იქნა წაკითხული მწერალთა კავშირში.

მან რაგის საჩუქრად გადასცა საკუთარი ლექსების ერთგომეული. გამოითქვა მოსაზრება, რომ ყოველ 14 აპრილს საბავშვო ბიბლიოთეკაში მოეწყოს ასეთი სახის ღონისძიება. ბიბლიოთეკა კი კვლავაც სიამოვნებით უმასპინძლებს და გვერდში დაუდგება ნიჭიერ შემოქმედებით მკითხველებს.

ლამაზად და შინაარსიანად დაამახსოვრდათ ეს ღღე ბიბლიოთეკის მკითხველებს და იქ მყოფ სტუმრებს.

ლამაზად და შინაარსიანად დაამახსოვრდათ ეს ღღე ბიბლიოთეკის მკითხველებს და იქ მყოფ სტუმრებს.




ეკა კიბაბიძე
უჯარმის ბიბლიოთეკა – ფილიალის გამგე

ახალგაზრდა შემოქმედთა საღამო უჯარმაში

21 აპრილს საბიბლიოთეკო კვირეულთან დაკავშირებით სოფ. უჯარმის ბიბლიოთეკაში გაიმართა ახალგაზრდა მკითხველთა თვითშემოქმედების საღამო. წარმოდგენილი იყო ნინო ვაშაკიძის და ეთერ დიღმელაშვილის ნახაგები, აგრეთვე, თამარ მუხაშიშვილის ხელით ნაქსოვი ნამუშევრები. მოეწყო აგრე-



თვე ქართველ მწერალთა წიგნების გამოფენა. მონაწილეთა შორის იყვნენ ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველებიც. მონაწილეობდნენ საბავშვო ბაღის აღსაზრდელები და IV, VI კლასის მოსწავლეები, რომლებმაც წიგნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საღამომე შესანიშნავი ლექსები წაიკითხეს. ღონისძი-




ეხას ალამაზებდა ცეკვა და სიმღერები.

დამსწრეთ საკუთარი ლექსები გააცნო ქალბაგონმა თამარ ცხვიგავამ. ღონისძიებაში მონაწილეობდა XI კლასის მოსწავლე ქეთევან სონიძე, რომელმაც წაიკითხა საკუთარი ნოველა „როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი“.

წლების განმავლობაში უჯარმის სანერგე მეურნეობაში მთავარ აგრონომად მუშაობდა ნაპო გაბელია, რომელმაც პენსიაში გასვლის მერეც ვერ მიაგოვა მშობლიურად მიჩნეული სოფელი, ამჟამად უჯარმაში ცხოვრობს და აქ წერს თავის მშვენიერ ლექსებს. საღამოზე ისიც იყო მოწვეული, მაგრამ ჯანმრთელობის გამო ვერ შეძლო მოსვლა. მონაწილეებს მისი ლექსები გააცნო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ნინო ღურგლიშვილმა.

ღონისძიებას უამრავი სგუმარი დაესწრო. მათ შორის – სოფლის გამგებელი ვენერა შავერდაშვილი. დასასრულს ქეთი სონიძემ წაიკითხა თავის მიერ დაწერილი ნარკვევი – „როგორ ბიბლიოთეკას ინაგრები“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.



დარეჯან კოცეგიშვილი
მზია გოგონიძე

აპტორთან ერთად

იმ დღეს უჩვეულო რამ მოხდა: ოთახის ერთ-ერთმა ლამაზმა მცენარემ უჩვეულოდ დიდი, ერთადერთი წითელი ყვავილი გაშალა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის მეთოდური განყოფილების გამგემ ციცინო ქველიძემ, არც თუ მცირედ გაოცებულმა, გვითხრა: ეს წელიწადში ერთხელ ხდება და, რაღაც უცნაურად, სწორედ იმ დღეს, როდესაც რაღაც ღონისძიებას ვმართავთ, უმეგესად საბიბლიოთეკო კვირეულის დღეებში, – ხუმრობით დააგანა:

ეგყობა, ჩვენსავით მასაც მოსწონს ხალისობა.

მართლაც ხალისიანი, მხიარული დღე იყო 11 მაისს აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკის მუშაკთა და სტუდენტთა თანდასწრებით მოეწყო ალექსანდრე ლორიას მოთხრობების კრებულის „დენი სიყმაწვილისას“ პრეზენტაცია, რასაც თან ახლდა შეხვედრა ავგორთან.

როგორც ცნობილია, ალექსანდრე ლორია ცნობილი ბიბლიოთეკათმცოდნეა, ახალი თაობის აღმზრდელი, თბილისის სულხან-საბა



ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედ. უნივერსიტეტის პროფესორი, მრავალი სამეცნიერო მონოგრაფიისა და სტატიის ავტორი, პუბლიცისტი, მეგაღ საინტერესო და ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრებაგამოვლილი.

მიმდინარე წელს მას 70 წელი შეუსრულდა, რაც სათანადოდ იქნა აღნიშნული. ამან თავისებური ასახვა ჰპოვა წიგნის პრეზენტაციის დროს. მოთხრობების შესახებ მსჯელობისას ყველა გამომსვლელი საზგასმით აღნიშნავდა, თუ რა დიდ როლს თამაშობს ბ-ნ ალექსანდრეს მოღვაწეობა დარგის განვითარებაში.

ცნობილია, თუ რა მჭიდრო ურთიერთობა აქვს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრასა და მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკას. სწორედ მათ ერთობლივ ღონისძიებას წარმოადგენდა წიგნის პრეზენტაცია და შეხვედრა ავტორთან. ამ პერიოდში ხსენებულ ბიბლიოთეკაში საწარმოო პრაქტიკას გადიოდნენ უცხო ენების სპეციალიზაციით ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობის V კ. სტუდენტები, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ღონისძიებაში. უკვე მესამე წელია „საბიბლიოთეკო კვირეულის“ დროს კათედრის წევრებსა და სტუდენტებს გულთბილად ხვდებიან ბიბლიოთეკაში. ამ გრადიციას მყარად ჩაეყარა საფუ-

ძველი და, იმედი გვაქვს, ასე გაგრძელდება.

ღონისძიება გახსნა და გაუძღვა ქალბატონი ციცინო ქველიძე. მან სიგყვა მისცა ბიბლიოთეკის დირექტორს აკადემიკოს მალხაზ ბაალიშვილს, რომელმაც ალ. ლორიას საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის „წარსული, აწმყო და

მომავალი“ უწოდა, შეაფასა მისი ღვაწლი. ღრმაშინაარსიანად ილაპარაკა ალ. ლორიას პროფესიულ და ლიტერატურულ მოღვაწეობაზე დირექტორის მოადგილემ ნანა ფირცხალავამ, რომელმაც საპატიო სტუმარს გულთბილი სიგყვებით მიმართა და მისალოცი ადრესიც გადასცა.

მეგაღ საინტერესო იყო კათედრის წევრის, ქ-ნ მზია ჭელიძის გამოსვლა. მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ბ-ნ ალექსანდრეს პედაგოგიურ მოღვაწეობას; აღნიშნა, როგორი კეთილგანწყობილნი არიან მის მიმართ სტუდენტები. ნიშანდობლივია, რომ ჩვენ ალ. ლორიას მოთხრობებშიც ვხვდეთ იმ სიკეთეს, რომლითაც გამოირჩევა ის ახალი თაობის მიმართ.


გულთბილი მოგონებები და სურვილები გამოსხაგა თავის გამოსვლაში ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ნანა მიქელაძემ. ალ. ლორიას მეგობრის – კინორეჟისორ მალ კაკაბაძის გამოსვლამ მოხიბლა მსმენელები. ცნობილი რეჟისორი მოხდენილად და ხატოვნად ყვებოდა ბავშვობისდროინდელ ურთიერთობაზე, იმაზე, თუ როგორ გამოდიოდნენ ისინი ბავშვთა თეატრის სცენაზე, რა დიდ შემოქმედებით უნარს ავლენდა ალ. ლორია, რა გზა გაიარეს მათ ერთად, რაოდენ მრავალფეროვანია ალ. ლორიას მოღვაწეობა.

ყველა ლექტორისათვის განსაკუთრებით ძვირფასია სტუდენტის აზრი, განსაკუთრებით,

თუკი ის მის შექმოქმედებას შეეხება. ეცობოდა, როგორი დიდი გულისყურით უსმენდა ბნ ალექსანდრე თავის სტუდენტებს, რომლებიც კრებულში გამოქვეყნებული მოთხრობების შესახებ ლაპარაკობდნენ. შეიძლება ითქვას, ამ საღამოს კულმინაციას სწორედ სტუდენტების – თამარ მუმლაძის, თამარ სვანიძისა და ქეთევან ცენცერაძის გამოსვლები წარმოადგენდა. ისინი მსჯელობდნენ როგორც მოთხრობებზე, ისე ალ. ლორიას მოღვაწეობაზე საერთოდ. განსაკუთრებულად აღნიშნეს ის, რომ წიგნმა ისინი

„ერთხელ კიდევ დააბრუნა იმ ჯაღოსნურ სამყაროში, რომელსაც ჩვენი ბავშვობა ჰქვია“, ყოველ მოთხრობაში იგრძნობა „პირველი დიდი გრძნობის, პირველი მძაფრი განცდის, ბავშვური სიყვარულისა და წუხილის გამოხატულება“.

შეხვედრის ბოლოს პროფ. ალ. ლორიამ მაღლობა გადაუხადა დარბაზში შეკრებილთ გულთბილი შეხვედრისათვის და, მათი თხოვნით, თავისი რამდენიმე ლექსი წაიკითხა, რაც მსმენელთათვის ერთგვარ სასიამოვნო მოულოდნელობას წარმოადგენდა.



ლია გოდერძიშვილი
გურჯაანის ც/ბ მეთოლოგანყოფილების გამგე

სოფელი და კულტურის კერები

საქართველოს ბიბლიოთეკების საქმიანობაში, მრავალ საინტერესო წამოწყებათა შორის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საბიბლიოთეკო კვირეული, რომელიც ჩვენმა ბიბლიოთეკებმა უკვე გაითავისეს.

გურჯაანის რაიონში არის სოფელი ახაშენი. იგი მდინარე ჭერმისხევისა და ფაფრისხევის შორის მდებარეობს. მდიდარია მამა-პაპათაგან ნაგები ისტორიული ძეგლებით, რომლებმაც ბევრი ქარგეხილი გამოარეს. ამ ბოლო წლებში სოფლის ხელმძღვანელებისა და მცხოვრებლების ძალისხმევით ისინი შეკეთდა და აღდგა.

ლეგენდების მიხედვით, სოფელს სახელი ასე დარქმევია:

ორ პიროვნებას დავა ჰქონია გერიგორიაზე. არა ჩემია – არა ჩემი ეს ადგილიო. ბოლოს ერთი ლმობიერად მოქცეულა და მეორისათვის



გარკვეული მიწის ნაკვეთზე უთქვამს: ახა, შენ ეს ადგილიო. ამ ადგილისთვის ახაშენი უწოდებიათ. არსებობს მეორე ლეგენდაც – თამარ მეფეს თავისი ამალით სოფელ ველისციხიდან ამოუვლია. ის მგზავრობის დროს დამგვრიანებული ქოშის დასაბერგყად შეჩერებულა. მეფეს გვერდით მდგარა ყმა, რომელსაც უთქვამს, რა კარგი ადგილიაო. თამარ მეფეს ყმისთვის უჩუქებია ეს ადგილი და უთქვამს: ახა, შენი იყოსო.



სკოლო ბიბლიოთეკები კოორდინირებულად მუშაობენ. ამის ნათელი მაგალითია საბიბლიოთეკო კვირეულის პერიოდში ამ ორი ბიბლიოთეკის მიერ სკოლის დარბაზში ერთობლივად ჩატარებული ღონისძიება თემაზე: „მიყვარდა კითხვა და ამ კითხვამ გაღამარჩინა“. ღონისძიებას უძღვებოდა საშუალო სკოლის ბიბლი-

სოფელ ახაშენს აქვს სასოფლო ბიბლიოთეკა, რომელიც საკრებულოს შენობაში ორ მობრდილ ოთახშია განთავსებული. მისი „ღიასახლისი“ დალი კობიაშვილია, სათნო გარეგნობის ქალბატონი, სულით მაღალი და კეთილშობილი. ამიგომ უყვართ მკითხველებს: პაგარებს, მიუხარიათ მასთან მისვლა, იქ ხომ მზრუნველი და ალერსიანი ბიბლიოთეკარი ელოდება, რომელიც მათ შეურჩევს წიგნს, გაესაუბრება და დიმილით დაემშვიდობება.



ახლა, როცა გექნიკური საშუალებების სიმრავლემ მკვეთრად შეამცირა წიგნის კითხვალობა, და როცა ახალი წიგნის შეძენის საშუალებაც სახსრების უქონლობის გამო საგრძნობლად შემცირდა, ბიბლიოთეკარს საკმაოდ დიდი ენერჯისა და გონიერების გამოჩენა ჭირდება, რომ მკითხველები მოიზიდოს. სხვათა შორის, დეფიციტს ნაწილობრივ ამსუბუქებს პირადი ბიბლიოთეკების გამოყენების გრადიცია.

კულტურის ამ კერაში შრომით დაღლილ ადამიანს შეუძლია მიიღოს ესთეტიკური სიამოვნება, სულიერი საზრდო მიაწოდოს გონებას, აიმაღლოს ცოდნის დონე. ხოლო მოსწავლეებმა სკოლაში მიღებული ცოდნა განიმტკიცონ კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურით. მოსწავლეთა საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, სასოფლო და სა-

ოთეკარი ეკა ხუნჯუკაშვილი. ეს დღე სოფელში წიგნისა და ბიბლიოთეკის ნამდვილ გეიმად იქცა. ღონისძიებაზე იყო შინაარსიანი, საინტერესო გამოსვლები წიგნზე, ბიბლიოთეკაზე, იმ მნიშვნელოვან ფუნქციაზე, რომელიც მას აკისრია ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ღონისძიებას მხაგრულად ალაამაზებდა და კიდევ უფრო ჰარმონიულს ხდიდა ლექსი, სიმღერა და ცეკვა.

საშუალო სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ელზა ფხალაძემ ილაპარაკა სკოლაში მიმდინარე სასწავლო-აღმზრდელობით პროცესზე, ბიბლიოთეკის დიდ როლზე ამ პროცესის განხორციელების საქმეში.

ღონისძიების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მივმართე და ვისაუბრე საქართველოში და, კერძოდ, ჩვენს საბიბლიოთეკო ქსელში მიმდინარე საბიბლიოთეკო კვირეულის მიზნებსა და ამოცანებზე. აღვნიშნე, რომ ამ ღო-

ნისიძებამ კიდევ უფრო დააახლოვა ბიბლიოთეკები და სამოგადოება. ეჭვგარეშეა, ბიბლიოთეკის მკითხველები გახდებიან ისინიც, რომლებიც დღემდე არ დადიოდნენ ბიბლიოთეკაში. ღონისძიებამ მნიშვნელოვნად წარმოაჩინა ბიბლიოთეკის საქმიანობა, მათი უნიკალურობა მოსახლეობის სულიერი აღზრდის საქმეში. ამ ღონისძიებით ბიბლიოთეკების მეგობართა რიგები აუცილებლად გაიზრდება, რაც ალბათ მათ მაგერიალურ მდგომარეობაზედაც დადებითაც იმოქმედებს. ღონისძიების დასასრულს კიდევ უფრო ამაღლებული



განწყობილება დაეუფლა მთელ დარბაზს, როდესაც ყველა ერთად საქართველოს ჰიმნს ასრულებდა.

კომპიუტერი ბიბლიოთეკაში

ნანა ქავთარაძე
საქ. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის
ბიბლიოთეკათმცოდნეობისა
და საბ. სტანდარტების ცენტრის მთ. სპეციალისტი

კომპიუტერთან მუშაობის უსაფრთხოების
წესები

ბერსონალური კომპიუტერი, როგორც ინფორმაციის მიღების და მხმარე საშუალება, ფართოდ გამოიყენება ყველა სახის ორგანიზაციებში, მათ შორის – ბიბლიოთეკებშიც. კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვამ სხვადასხვა კატეგორიის სპეციალისტთა შრომის ხასიათი მკვეთრად შეცვალა. მისი უზარმაზარი შესაძლებლობების გამო ჩვენი ცხოვრება წარმოდგენელი გახდა, რითაც ხშირად საკუთარ ჯანმრთელობას ვაზიანებთ. კომპიუტერთან მუშაობისას აუცილებელია გარკვეული უსაფრთხოების წესების დაცვა, რაზეც წარმოდგენა არა აქვს არა მხოლოდ მასზე მომუშავე ადამიანებს, არამედ მოგიერთი დაწესებულების ხე-

ლმძღვანელსაც. ხშირად ადამიანი უჩივის უძილობას, მხედველობის გაუარესებას, თავის დათვალების, ხელების, კისრის, ბეჭების, წელის ტკივილს და ვერ ხვდება, რისი ბრალია, რამ გამოიწვია ჯანმრთელობის გაუარესება.

კომპიუტერთან მუშაობისას ყველაზე გავრცელებული შეცდომებია: ოთახის არასაკმარისი ფართობი და გემპერაგურა, განათების დაბალი დონე, მონიტორის მაგნიტური ველის უხარისხობა, შრომისა და დასვენების რეჟიმის დაუსწავლობა ან მუშაკის ზედმეტად გადატვირთვა.

პასუხისმგებლობა სათანადო შრომის პირობების შექმნისათვის ეკისრება დაწესებულების ხელმძღვანელს, სამუშაოს მიმცემს ან ხელშე-

კრულების გამფორმებელს. მან უნდა უზრუნველყოს:

- კომპიუტერების ექსპლუატაციისას მუშაკთა უსაფრთხოება;
- ყოველ სამუშაო ადგილზე შესაბამისი პირობების შექმნა;
- შრომისა და დასვენების რეჟიმის დაცვა;
- თანამშრომლებისათვის უსაფრთხოების წესებისა და მეთოდების გაცნობა;
- შრომის დაცვის ინსტრუქტაჟი.

დაუშვებელია კომპიუტერისათვის სარდაფის გიპის ნაგებობის გამოყენება. ერთი სამუშაო ადგილი ნმ² -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. შენობაში სანიტარული მდგომარეობა უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ ნორმებს. გემპერატურა წლის თბილ პერიოდში უნდა იყოს 23-25° C., ცივ პერიოდში კი - 22-24° C. ნორმალური განათების უზრუნველსაყოფად საჭიროა წელიწადში ორჯერ მუშების და ლამფების გაწმენდა.

კომპიუტერზე სამუშაოდ დაიშვებიან ის მუშაკები, რომელთაც ჯანმრთელობის რაიმე პრობლემები არ გააჩნიათ (მაგ. ფეხმძიმე და მეძუძური ქალები). ყოველი მუშაკი სამუშაოს დაწყების წინ ვალდებულია ოთახი გაანიავოს, შეამოწმოს კომპიუტერული ტექნიკის მდგომარეობა, რომ რაიმე არ იყოს დაზიანებული. მონიტორის ეკრანი მშრალი ნაჭრით გაწმინდოს, თავის სამუშაო ადგილზე დაიცვას სისუფთავე, კომპიუტერზე და სხვა მოწყობილობებზე რაიმე დარღვევის შემჩნევის შემთხვევაში შეაგყობინოს ორგანიზაციის ხელმძღვანელს და დაზიანების აღსაკვეთად გამოიძახოს შესაბამისი სპეციალისტი.

ოთახებში კომპიუტერების მაგიდები ისე უნდა განლაგდეს, რომ მუქი მარცხნიდან ეცემოდეს, ხოლო კომპიუტერების მურგის მხარეები ერთმანეთისაგან 2 მ-ით იყოს დაცილებული, გვერდები კი - 1,5 მ-ით. სასურველია სამუშაო მაგიდებს შორის მანძილი იყოს 680-800 მმ. როცა ამის შესაძლებლობა არ არის, მაშინ მაგიდები 725 მმ უნდა იყოს დაშორებული

ერთმანეთისაგან. ამასთანავე სამუშაო მაგიდას უნდა ჰქონდეს სივრცე ფეხების გასაშლელად - 500-600 მმ. სკამი, რომელზედაც მუშაკი ზის, უნდა იყოს მოსახერხებელი, რათა უზრუნველყოს რაციონალური სამუშაო პოზა. დალილობის შეგრძნებისას კი - მისი შეცვლა. თვით სკამი უნდა იყოს ნახევრად რბილი, და მზადებული ჰაერგამტარი მასალისაგან და იწმინდებოდეს სველი ნაჭრით.

მონიტორის ეკრანი მომხმარებლისაგან 600-700 მმ-ით უნდა იყოს დაცილებული, არავითარ შემთხვევაში 500 მმ-ზე ახლოს, რაც თვალს უთუოდ ზიანს მიაყენებს. ამასთანავე მონიტორის ეკრანი განთავსებული უნდა იყოს მომხმარებლის თვალის დონიდან უფრო დაბლა, ნორმალური ჰორიზონტალური ხედვიდან ქვევით - 15°. მონიტორის ელექტროსტატიკური ველის გამოსხივებისაგან თავდასაცავად გამოიყენება ეკრანის დამცავი ფილტრები, რომლებიც მაგრდება მონიტორზე მჭიდროდ და დამიწებულია.

კლავიატურა ისე უნდა განთავსდეს, რომ მის წინ ხელის დასაყრდნობად 300 მმ-მდე ადგილი დარჩეს.

ოთახში, სადაც კომპიუტერი დგას, ყოველდღიურად „სველი დასუფთავება“ უნდა გარდებოდეს, მომარაგებული იყოს პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები და ხანძარსაწინააღმდეგო მასალები.

კომპიუტერთან მუშაობისას მუშაკი ვალდებულია დაიცვას შრომისა და დასვენების რეჟიმი, რომელიც ორგანიზაციის შიდა შრომითი განაწესით არის გათვალისწინებული.

კომპიუტერის საშუალებით შესრულებული სამუშაოები იყოფა სამ ჯგუფად:

- ა ჯგუფი - მონიტორიდან ინფორმაციის ამოკრეფა;
 - ბ ჯგუფი - ინფორმაციის შეგანა;
 - გ ჯგუფი - შემოქმედებითი მუშაობა კომპიუტერთან.
- უწყვეტი სამუშაო დრო რეგლამენტირე-

ბული, შესვენების გარეშე 2 საათს არ უნდა აჭარბებდეს. 8 საათიანი სამუშაო დღის დროს შესვენებები კომპიუტერზე მუშაობისას შემდეგნაირად უნდა განაწილდეს:

I კატეგორიის სამუშაოების დროს – სამუშაო ცვლის დაწყებიდან 2 საათის შემდეგ – 15 წთ., კანონით დადგენილი შუადღის შესვენების დამთავრების შემდეგ მუშაობიდან 2 საათის გასვლიდან – 15 წთ.

II კატეგორიის სამუშაოების დროს – სამუშაო ცვლის დაწყებიდან 2 საათის შემდეგ – 15 წთ., კანონით დადგენილი შუადღის შესვენების დამთავრების შემდეგ მუშაობიდან 1,5-2 საათის გასვლიდან – 15 წთ., ან ყოველი საათის შემდეგ 10 წთ.

III კატეგორიის სამუშაოების დროს – სამუშაო ცვლის დაწყებიდან 1,5-2 საათის გასვლის შემდეგ 20 წთ., შუადღის შესვენების შემდეგ 1,5-2 საათის გასვლიდან 20 წთ., ან ყოველი საათის შემდეგ 15 წთ.

მონოტონური სამუშაოს უარყოფითი ზეგავლენისაგან თავის დასაღწევად საჭიროა ოპერაციების ხშირი ცვლა. შესვენების დროს დაძაბულობისა და თვალების დაღლილობის მოსახსნელად მიზანშეწონილია კომპლექსური ვარჯიშების ჩატარება. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში (გულისცემის გაძლიერება, თავის ტკივილი და სხვ.) უნდა შეეწყვიტოთ მუშაობა, კომპიუტერი გამორთოთ და საჭიროების შემთხვევაში ექიმს მიმართოთ.

იმის გათვალისწინებით, რომ კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობა დამღლელია თვალებისათვის და, საერთოდ, ჯანმრთელობისათვის საშიხია, ორგანიზაციებში, სადაც 8 საათიანი სამუშაო დღეა, კომპიუტერზე მუშაობა დღეში არ უნდა აღემატებოდეს 5 საათს.

კომპიუტერთან მუშაობისას დაიცავით ყველა ის უსაფრთხოების წესი, რომელიც ელექტროხელსაწყოების ექსპლუატაციის დროს არის გათვალისწინებული. ნუ მიაყენებთ ზიანს

საკუთარ ჯანმრთელობას. არ შეიძლება ჩართული კომპიუტერის უყურადღებოდ დატოვება. მუშაობის შეწყვეტისთანავე კომპიუტერი გამორთეთ.

იმისთვის, რომ თავი დავიცვათ მხედველობის გაუარესებისაგან და სხვა მავნე მოვლენებისაგან, მონოტონური სამუშაოს შემდეგ, შესვენების გარდა, საჭიროა სათანადო ვარჯიშების ჩატარება. არსებობს სპეციალური თვალის ვარჯიშები, რომლებიც დაგეხმარებათ ჯანმრთელობის შენარჩუნებაში.

სარეკომენდაციო სავარჯიშოების კომპლექსი თვალებისათვის და დაღლილობის მოსახსნელად:

ვარჯიში გარდება ეკრანისაგან ზურგით მჯდომარე ან ფეხზე მდგომარე, რიგმული სუნთქვითა და თვლების მაქსიმალური ამპლიტუდის მოძრაობით.

ვარიანტი 1

1. თვალები დახუჭეთ, თვალის კუნთები ძლიერ დაჭიმეთ, დაითვალებთ 4-მდე, შემდეგ თვალები გაახილეთ, თვალის კუნთები მოასუსტეთ და შორს გაიხედეთ. დაითვალებთ 6-მდე, ეს ვარჯიში შეგიძლიათ გაიმეოროთ 4-5 ჯერ.

2. შეხედეთ ცხვირის ფუძეს, შეაჩერეთ მზერა ისე, რომ თვალები არ დაგეღალოთ. დაითვალებთ 4-მდე. შემდეგ თვალები გაახილეთ, გაიხედეთ შორს და დაითვალებთ 6-მდე. ასე გაიმეოროთ 4-5 ჯერ.

3. ისე რომ თავი არ მოაბრუნოთ, გაიხედეთ მარჯვნივ და შეაჩერეთ მზერა. დაითვალებთ 4-მდე. შემდეგ გაიხედეთ პირდაპირ, შორს და დაითვალებთ 6-მდე. ანალოგიურად ვარჯიში შეასრულეთ მზერის ფიქსაციით მარცხნივ, ზევით და ქვევით. გაიმეოროთ 3-4 ჯერ.

4. სწრაფად გადაიგანეთ მზერა ღიაგონალებად: მარჯვნიდან ზევით – მარცხნიდან ქვევით. გაიხედეთ პირდაპირ შორს; შემდეგ მარცხნივ – ზევით, მარჯვნივ – ქვევით და გაიხედეთ შორს. გაიმეოროთ 4-5 ჯერ.

ვარიანტი 2

1. დახუჭეთ თვალები, ისე რომ თვალის კუნთები არ დაჭიმოთ. დათვალებით 4-მდე. შემდეგ ფართოდ გაახილეთ თვალები და გაიხედეთ შორს. დათვალებით 6-მდე. ასე გაიმეორეთ 4-5 ჯერ.

2. შეხედეთ თქვენი ცხვირის წვერს. დათვალებით 4-მდე და შემდეგ მზერა შორს გადაიტანეთ. დათვალებით 6-მდე. გაიმეორეთ 4-5 ჯერ.

3. თავი არ მოაბრუნოთ, გეჭიროთ პირდაპირ, თვალებით ნელი, წრიული მოძრაობები გააკეთეთ: მაღლა, მარჯვნივ, მარცხნივ. შემდეგ იგივე შეასრულეთ საწინააღმდეგო მიმართულებით: მაღლა, მარცხნივ, ქვევით, მარჯვნივ. გაიხედეთ შორს. გაიმეორეთ 4-5 ჯერ.

4. თავი არ მოაბრუნოთ, გეჭიროთ პირდაპირ, მზერა გადაიტანეთ მაღლა, დათვალებით 4-მდე. შემდეგ მზერა გადაიტანეთ წინ და დათვალებით 6-მდე. ანალოგიური ვარჯიში შეასრულეთ მზერის გადატანით: ქვევით, წინ; მარჯვნივ, წინ; მარცხნივ, წინ. ყოველი ცალკეული მზერის გადატანისას მზერა შეაჩერეთ და დაითვალებით 6-მდე. გააკეთეთ თვალების მოძრაობა დიაგონალურად მარცხნივ და მარჯვნივ. დათვალებით 6-მდე და გადაიტანეთ მზერა პირდაპირ. გაიმეორეთ 3-4 ჯერ.

ვარიანტი 3

1. თავი გეჭიროთ პირდაპირ. თვალები დაახამხამეთ ისე, რომ თვალის კუნთები არ დაიჭიმოს.

2. თვალი არ მოაბრუნოთ, თვალებდახუჭულმა შეაგრიალეთ თვალები მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ. დაითვალებით 4-მდე. გაიხედეთ პირდაპირ და დათვალებით 6-მდე. აიხედეთ მაღლა, დაითვალებით 4-მდე, დახარეთ თვალები და გაიხედეთ პირდაპირ, დაითვალებით 6-მდე. ეს ვარჯიში გაიმეორეთ 4-5 ჯერ.

3. შეხედეთ თქვენი ხელის საჩვენებელ თითს, რომელიც გიჭირავთ თვალიდან 25-30 სმ დაცილებით. დაითვალებით 4-მდე. შემდეგ გაიხედეთ შორს, დაითვალებით 6-მდე. ასე გაიმეორეთ 4-5 ჯერ.

4. საშუალო სიჩქარით, 3-4 ჯერ, შეასრულეთ თვალების წრიული მოძრაობა მარჯვენა მხარეს, ამდენივე მარცხნივ და თვალის კუნთების მოდუნებით გაიხედეთ შორს. გაიმეორეთ 1-2 ჯერ.


შენიშვნა: მასალა ამ თემაზე იხ. ინგერნეგში, მისამართებზე:

www.Ekonomer.khv.ru.content/n040/otrud

www.Medlinks.ru/news/10698/htm

<http://pravo.kulichki.net/>





კახაბერ ლორია

ნიბნი ტკივილსა და სისხარულზე

ნოველა მხაგვრული სიგყვიერების ერთ-ერთი ურთულესი და უმნიშვნელოვანესი ჟანრია. თანამედროვე ინფორმაციული ბუმის პირობებში, გამომდინარე ჟანრის მოცულობით, ნოველას ახალი ასპარეზი ეძლევა, და მისასაღმებელია, რომ მცირე ფორმის პროზის ამ მომხიბლავ სახესხვაობას ჩვენში არამარტო ფესვმაგარი გრადიცია, არამედ ღონიერი და ღირსეული აწმყოც გააჩნია. რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ცნობილი ქართველი მწერალი რევამ მიშველაძე თანამედროვე ქართული ნოველისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელია; მწერლის ნოველათა კრებული „რას მერჩოდი?!“ კი მიმდინარე ლიტერატურული პროცესის ერთ-ერთი საგულისხმო მხაგვრული ფაქტი.

რევამ მიშველაძე ქართული სიგყვაკაზმული მწერლობის გრადიციათა ერთგული გამგრძელებელია. მისი შემოქმედება ყოველთვის გამოირჩეოდა სამოქალაქო აქტუალობით და ამ მხრივ თავის თავს მწერალი არც ნოველათა ზემოსხენებულ კრებულში დალაგობს. სამწუხაროდ, მავანისა და მავანისათვის ეროვნული თუ პაგრიოგული პრობლემატიკა ლიტერატურული პროვინციალიზმის გამოვლინებაა, მაგრამ ჭეშმარიტი მწერალი ვერასდროს აუვლის გვერდს თავისი ხალხისა და ქვეყნის სატიკივარს, მას მთელი სიცხადით გაისიგრძეგანებს და შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს თემადაც აქცევს. ასეა რ. მიშველაძის პროზაშიც, თუმცა ხსენებულ ნოველებში ეროვნულ-პაგრიოგული სათქმელი და სატიკივარი არა-

ერთგვაროვნად ვლინდება. არის ნაწარმოებები, რომლებშიც ავტორი ასეთ პრობლემატიკას პირდაპირ, ჯიქურ რომ ეჭიდება, მოგჯერ კი თითქოს სრულიად სხვა ამბებს გვიყვება, უშუალოდ არ ამახვილებს ყურადღებას „ქართლის ჭირსა“ თუ რიგითი ქართველის ჭირ-ვარამზე, მაგრამ სტრიქონებს მიღმა მაინც მკაფიოდ იკვეთება უაღრესად სატირობოროტო, ჭეშმარიტად ეროვნულ-პაგრიოგული ამრი და განწყობილება. კრებულში „რას მერჩოდი?!“ სამოქალაქო და პაგრიოგული სულისკვეთებით არაერთი ნოველაა აღბეჭდილი. ვის აღარ შეხვდებით აქ, რომელიც გინდათ იმ დროის შვილებს. აქ არიან 1924 წლის აჯანყების მონაწილენი (ნოველა „ოცდაოთხი“), პირველი პოსტსაბჭოთა ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლები („პრეფექტი“), აქ თაღლითებიც ჩანან, ხალხის სპეცაკ გრძნობებზე რომ უგიფრად თამაშობენ და ყველა დროში ელემენტარულ გამორჩენაზე არიან გადასული („პრემიულენგის მარჯვენა ხელი“), თუმცა ისეთი უცნაური ჩეკისტებიც კი შეგხვდებათ, ყოველგვარ თანამდებობაზე თუ სამსახურებრივ მოვალეობაზე წინ კაცურ, და იქნებ ეროვნულ ღირსებასაც კი რომ დააყენებენ. ნოველა „ჩეკისტები“ მართლაც რომ ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი: სამი ჩეკისტი ოცდაორი წლის ბიჭს მისდევს, რომელიც ფეხშია დაჭრილი და გაუვალ ჭალასა და ბუჩქებს შეაფარებს თავს. ჩეკისტები ალყაში მოაქცევენ მას. ლეიგენანგი სორდია ყველაზე უმროცს, ჩეკაში კომკავშირიდან სულ ოთხიოდე თვის წინ გაწვეულ ჯანაშიას

დაავალებს დევნილის ბარდებიდან გამოთრევას. ჯანაშია შეძვრება ბარდებში და მის „კბილა“ ახალგაზრდას იპოვის. აქ მოულოდნელად მათ შორის თანაგრძნობის უხილავი სიმები იბმება. ჯანაშია აქ გაიგებს, რომ მის დაჭრილ თანაგოლს ისეთი არაფერი ჩაუდენია, უბრალოდ, გყეში „ვინგოვკები“ მიჰქონდა ქაქუცასთან (სხვა მინიშნებას ისტორიულ სინამდვილეზე მწერალი საჭიროდ არ მიიჩნევს, რაც მხაგერულად სავსებით გამართლებულია). ჯანაშია ბარდებიდან გამოძვრება და აცხადებს, რომ დაჭრილი ვერ იპოვა, მაგრამ ლეიგენანგი სორდია „იმის ჩიგი“ არაა, გუშინდელმა ბავშვებმა ასე გააცუცურაკონ და აღშფოთებული ახლა უკვე ორმეგრიან ახმას გაგუას აგზანის გაქცეული პაგიმრის გამოსათრევად. „გაგუამ ახლა მარგო გაქცეული პაგიმარი კი არა, მეც უნდა შემეცოდოს“, – ხავს ებლაუჭება ჯანაშია. „გაპარულა“, – უგიფრად გყეის გაგუაც. „მე გამოვათრევ, მე თვითონ, რახან ასეა... მაგ ძალთაპირს და ხალხის მგერს... და თქვენ მოგივლით მაშინ, როგორც საჭიროა“, – ღრიალებს ლეიგენანგი, მაგრამ ცოგა ხანში ისიც ხელცარიელი ბრუნდება და ხმას არ იღებს. სამივენი ჩუმად მიდიან. ცოგა ხანში ღუმელს ისევ ლეიგენანგი არღვევს: „თქვენი საქმე თქვენ იცით, ბიჭებო, და მე ხვალიდან აღარ ვიქნები ამ მსახურში... ჩეკაში ჩემი გულის კაცი არ უნდა მუშაობდეს... კუჭი მაწუხებს მაინც და მოვიგონებ კიდეც რაღაცას...“ ასე მთავრდება ქართველი ჩეკისტების ეს სარისკო, მაგრამ კაცური შეთქმულება, მწერალმა ასე ოსტატურად რომ „გაგვიმხილა“.

რ. მიშველაძე ის მწერალია, რომელიც არ ერიდება თავისი შემოქმედებით გამოეხმაუროს მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების პროცესებს. იგი იმდენად სისხლბორცეულადაა დაინგერესებული სამშობლოს აწმყოთი და მომავლით, რომ სერიოზულ შემოქმედებით რისკზეც კი მიდის ხოლმე და არც აცდის მძაფრი მოვლენების პროცესებს და

ლექვა-დაღვინებას – იწყებს მათ მხაგერულ გარდასახვასა და განზოგადებას. კრებული „რას მერჩოდი?!“ არც ამ მხრივაა გამონაკლისი: „ხავერდოვანი რევოლუცია“, „პრემი-დენგის ჩივილი“, „ვინ მოვიმოახლე“ და სხვა ნოველები ბემოაღნიშნულის დადასტურებაა. და მაინც, რ. მიშველაძის საუკეთესო ნოველები ყოველთვის შორსაა პუბლიცისტურ-პროპაგანდისტული სიშიშვლისაგან, პრობაიკოსი ამ კრებულშიც პოულობს ისეთ გამომსახველობით საშუალებებს, მის ნოველებს პლაკატურობის და მარტივი ემპირიულობის საფრთხეს რომ ააცილებს. მწერალს უყვარს ორიგინალური სიუჟეტიცა და შეფარული სათქმელიც. ხშირ შემთხვევაში ერთიც და მეორეც ნაწარმოების მოხლენილად შერჩეულ სათაურს უკავშირდება. ნოველა „ქუჩის საათში წვიმა აგანს“, ერთი შეხედვით, უაღრესად უცნაურ ადამიანებს ეხება (საერთოდ, ამგვარი „უცნაურობა“ მიშველაძის გმირებისთვის უცხო არ არის). უცნაურია, აბა რა, ივლიანე ვაწაძის საქციელი, – რამდენიმე წელია ქალაქში ქუჩის ბოლოში მიგოვებულ საათს უვლის მახლობელი ადამიანივით, ყოველდღე ბოძმე კიბით ადის და საათში ოცი წუთით ჩამორჩენილ ისრებს ასწორებს. „აღრე არა უშავდა, მარა დაძველდა და ველარ ქაჩავს. საათი კი არა, მე დავებრდი. წყალი ჩასდის, თვარა კილო იმუშავებდა“, – თავის ახირებაზე ელაპარაკება არაფრის მქონეობით უღარდელი, ყველაფერზე ხელჩაქნეული ივლიანე მის სახლში შეპარულ ქურდებს. დაუპატიებელი სგუმრებიც მაინცა და მაინც არ გამოირჩევიან „პროფესიული პრაგმატულობით“ და მას შემდეგ, რაც საბოლოოდ ღარწმუნდებიან, ვაწაძეს მათზე უფრო უჭირს (ორას ღარს დაემებს სასესხებლად – ცოლი ჰყავს საავადმყოფოში) „ერთ-ერთი სენტიმენტალური მძარცველი“ თავის ჯიბიდან უწილადებს ფულს, თან, გულაჩუყებული, ყოველგვარი ირონიის გარეშე მიაძახებს: „ე, საათი არ გააჩერო რამეფრათ“. ნოველა უცნაური და

თითქმის ანეგლოგური სიუჟეტის გარდა, სხვადასხვა ხასიათის უაღრესად ფაქიმი მინიშნებებითა და ქვეტექსტებით არის დაგვირთული, რის გამოც მკითხველს სულაც არ ეხამუშება მასში მოთხრობილი, ერთი შეხედვით ყოვლად დაუჯერებელი ამბავი.

„ჩვეულებრივი ამბები“ არც კრებულის სხვა ნოველებში ხდება. აბა, სხვაგან სად შეხედებით ორმოციოდე წლის ცალხელა გიგე წვეაძეს („ლომი“), ცირკის ლომების პროვინციელ დარაჯს, ცხოველთა მეფეს საყარაულოდ თავისი ძალლი ბათურა რომ მიუჩინა. (აქაოდა, ლომი არ მოიპარონო. „ქუთაისში რომ არ იბამენ, იმნაირი საქმე არ არსებობსო“). თუმცა პეგრასა (ასე ერქვა ლომს) და გიგეს ურთიერთობა ამით არ დამთავრებულა. ცირკისაგან სასიკვდილოდ განწირული ლომი ისევ გიგემ გადაარჩინა და შეიკელა (!) კიდეც! დადის ასე გალიფეშარვლიანი, თეთრკეპიანი ცალხელა კაცი ქალაქში და თან ლომს დააგარებს. „ლომიანის“ ცხოვრება უცბად შეიცვალა, მისი „მეგობრის“ შიშით თუ პაგივისცემით აღარც საპასუროგო განყოფილება აწვალებს ნასამართლევ კაცს, გამვლელ-გამომვლელიც სხვანაირად უყურებს და, მას შემდეგ, რაც ლომი ქალაქის აღმასკომის მეორე სართულზე თავმჯდომარის მისაღებში აიყვანა, მინისგარის ქარხანაშიც გამოიძებნა მისთვის სამუშაო. მაგრამ პეგრას დიდხანს არ უცოცხლია, და გიგე წვეაძეც უნდა შეეგუოს არაფრითგამორჩეული ადამიანის მომქანცველ ყოველდღიურობას.

რ. მიშველაძის ამ კრებულში რამდენიმე ისეთი ნოველაცაა, რომელთა გმირებიც საზოგადოებისთვის ნაცნობი კონკრეტული ადამიანები არიან და ამ ნაწარმოებებს არცთუ ძალზედ შეფარული ბიოგრაფიული ელფერი ახლავს. „ყავლგასული“, „არგისგის ბედი საქართველოში“ და სხვა ნოველები გამსჭვალულია ხელოვანი ადამიანისადმი ღრმა თანაგრძნობით. საერთოდ, თანაგრძნობა რ. მიშველაძის პრობისთვის ძალზე დამახასიათებელი

განცდაა და ეს მარტო ბიოგრაფიული ხასიათის ნოველებს არ ეხება. მწერალი გამორჩეული სითბოთი ეკიდება გამოგონილ გმირებსაც და, რაც გასათვალისწინებელია, თითქმის არასდროს დასცინის მათ. ნოველისგმა იცის, ადამიანები ანგელოსები არ არიან და მათ თავიანთი ადამიანური სისუსტეები აქვთ. ზოგჯერ ეს სისუსტეები რ. მიშველაძის გმირებს სასაცილო სიგუაციაში აყენებს, მაგრამ მწერლის მხრიდან გაგება და თანაგრძნობა მათ მაშინაც არ აკლიათ.


ქალსა და კაცს შორის ურთიერთობის მარადიული თემა განსაკუთრებული სიხალისითა და ცხოველმყოფელობით არის წარმოჩენილი ბემოხსენებულ კრებულში. ამის რა გამოვლინებას არ შეხედებით აქ: მსუბუქ ფლირგს, საკმაოდ ავხორცულ ღლაბუცს, ღია სკარბებს თუ ჭეშმარიტ და ამალღებულ სიყვარულს. რ. მიშველაძის გმირები ადამიანები არიან და არც ამ თვალსაზრისითაა მათთვის უცხო რაიმე ადამიანური. ნებისმიერი ასეთი სიგუაციის ბერწვისას მწერალი გმირების სულიერი სამყაროს წვლომის იშვიათ უნარს ამქლავნებს, მაგრამ ადამიანური ფსიქოლოგიის საფუძვლიანი ცოდნა ცნობილი ქართველი პროზაიკოსის ნოველებში არასოდეს გადაიზრდება სიუჟეტურ ან ფრაბეოლოგიურ სიგლანქედ. პირიქით, ნოველებში: „თოვლი... თოვლი... თოვლი“, „ავადმყოფი ლოგინში“, „სექსუალური ნოველა“, „მთვარე მაგარებლის კუპეში“, „სიყვარულმისჯილნი“, „არა მხოლოდ ჰაეროვანი კოცნა“ ორიგინალური სიუჟეტური ამროვნება იშვიათი სიმსუბუქითა და იუმორის განცლითაა შემავებული ქართველი მწერლის სამხრეთულ გემპერამენტთან.

და ბოლოს, არ შეიძლება განსაკუთრებულად არ აღინიშნოს, რომ რ. მიშველაძე ფართო სტილისგურ-ფრაბეოლოგიური შესაძლებლობების მქონე მწერალია, რაც ნოველათა კრებულში „რას ვერჩოდი?“ კიდეც იგრძნობა. „ამომეგროვდა“, – იცყვის მწერალი მეგროდან

ამომავალ ერთ-ერთ გმირზე და ეს სიტყვა მართლაც რომ კარგა ხანს აღარ ამოვა მეხსიერებიდან. მაგრამ ნოველისტი მხოლოდ სიტყვაქმნადობით ან უაღრესად სისხლსავსე მხატვრული მეტყველებით არ იქცევს ყურადღებას, არამედ, უწინარეს ყოვლისა, სტილისტური მრავალფეროვნებით. რ. მიშველაძეს ძალზე სხვადასხვაგვარად შეუძლია წერა, შესანიშნავად გრძნობს თხრობის ტემპს და მისი მონაცვლეობის საჭიროებას. გვიყვება ხან პირველ

და ხან მესამე პირში, და არჩევანს, ამ მხრივ უაღრესად ფაქიმი ლიგერატურული ინტუიციის წყალობით აკეთებს. მისი ნოველები დამინტრიგებელი დასაწყისითა და სხარტი ფინალით ხასიათდება, ეს ყოველივე კი მწერლის ბოლოდროინდელ კრებულსაც („რას მერჩოდი?!“) მკითხველისა და ლიგერატურული საზოგადოებისათვის უთუოდ საყურადღებო წიგნად აქცევს.

ინფორმაცია



მანანა ზარიძე

მცხეთის რაიონული ცენტრ. ბიბლიოთეკის მეთოდგანყ. გამგე.

„სათემო სახლი“ მცხეთაში

მცხეთის რაიონულ ბიბლიოთეკაში 2005 წ. თებერვალში „სათემო სახლმა“ დაიღო ბინა. იგი დაფუძნდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) 2004 წლის მცირე გრანტების პროგრამაში გამარჯვებული პროექტის ფარგლებში. პროექტის ორგანიზატორები არიან არასამთავრობო ორგანიზაციის – „საქართველოს ფუნდამენტის“ მცხეთის ფილიალი, ორგანიზაცია „მთა და საზოგადოება“, დამოუკიდებელი გელეკომპანია „გვირგვინი“, „საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია“ და მცხეთის რაიონის ცენტრალური ბიბლიოთეკა. „სათემო სახლიც“ სწორედ ამ უკანასკნელის ბაზაზეა ჩამოყალიბებული, და მიზნად ისახავს მცხეთის რაიონის თემების მობილიზებას, სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურებას.

„სათემო სახლის“ პრეზენტაციის შემდეგ (ა. წ. 11 თებერვალს), უკვე გაიმართა რამდენიმე

შეხვედრა, სადაც გამოიკვეთა „სათემო სახლის“ წევრთა ძალებით გადასატრეული უამრავი პრობლემა და საკითხი. „სათემო სახლის“ მთავარი მიზანი და ამოცანა ის არის, რომ მოსახლეობა კარგად ჩაწვდეს და გაეცნოს სათემო მობილიზების უპირატესობებს, საკუთარი უფლებებისა და მოთხოვნების დაცვის მექანიზმებს, „სათემო სახლში“ უნდა შეიქმნას ისეთი საინტერესო ატმოსფერო, სადაც ყველა მოქალაქე იგრძნობს და დარწმუნდება, რომ მის მიერ ხმამაღლა, ღიად გამოთქმულ ამრს პატივისცემით მოისმენენ, ჯეროვნად შეაფასებენ და სრულ მხარდაჭერასაც გამოუცხადებენ.

„სათემო სახლის“ უმთავრესი ამოცანა ისიც არის, რომ დაუბრუნდეს ცენტრალურ რაიონულ ბიბლიოთეკას საზოგადოების, თემის, ხალხის თავშეყრის ადგილის ფუნქცია. „სათემო სახლის“ წევრები მხარს დაუჭერენ ყველა ახალ ინიციატივას, წამოწყებას, რაც ამა თუ იმ პრო-

ბლემის გადაჭრასთან იქნება დაკავშირებული.

ყოველი თვის 24 რიცხვი სათემო სახლში საზოგადოების შეკრების დღეა. ამ იღვის წარმომადგენლები და ორგანიზატორები მოუწოდებენ მცხეთელებს და ყველა სოფლის თემის წარმომადგენლებს – შეუერთდნენ მათ, რათა ერთობლივი ძალისხმევით დაიძლიოს ცხოვრების სიძნელენი...


„სათემო სახლში“ დაგეგმილია არა ერთი კულტურული ღონისძიება, შეიქმნება ინტერნეტ-კაფე მომარდებისათვის.

„სათემო სახლი“ ვახლება მცხეთის რაიონის სამოქალაქო განათლების და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სარესურსო ცენტრი. ეს ყველაფერი იმის გარანტიას გვა-

ძლევს, რომ კიდევ უფრო გაიზრდება ბიბლიოთეკების ავტორიგეგმი, შეივსება მისი წიგნობრივი ფონდი, შეიარაღდება ახალი კომპიუტერული ტექნიკით – ინტერნეტით.

მცხეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკას, „სათემო სახლის“ გახსნასთან დაკავშირებით, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ, აშშ საელჩოს ბიბლიოთეკამ, დიუმას სახელობის ფონდის ბიბლიოთეკამ, ბრიგანეთის საბჭოს ბიბლიოთეკამ და ცალკეულმა მოქალაქეებმა სახსოვრად უამრავი წიგნი გადასცეს.

„სათემო სახლი“ უდაოდ გადაიქცევა მთელი რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო და საინფორმაციო ცენტრად.



სასარგებლო საქმე

მცხეთის „სათემო სახლმა“ გამოაქვეყნა თავისი საინფორმაციო ბიულეტენის მეორე ნომერი – „ნამდვილი ამბები სათემო სახლიდან“ (№2, 24.03.2005), რომელშიც ერთგან ლაპარაკია მცხეცის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურებასთან დაკავშირებით. სტაგიაში „თემის წევრების პირველი შეხვედრა სათემო სახლში“ მოცემულია შემდეგი ცნობა“:

„9 მარგს მცხეთის სათემო სახლში გაიმართა სათემო სახლის რაიონული საკონტაქტო პირების პირველი შეხვედრა სათემო სახლის აღმასრულებელი საბჭოს წევრებთან და ჩაგარდა პირველი გრენინგი თემების წევრებისათვის სახელწოდებით „ბიბლიოთეკა და საზოგადოება“. გრენინგს ესწრებოდა სათემო სახლის აღმასრულებელი კომისიის 8 წევრი და

23 რაიონული საკონტაქტო პირი. გრენინგის შინაარსიდან გამომდინარე, ამ კონკრეტულ შეკრებაზე წარმოდგენილი იყვნენ მცხეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაზე დაქვემდებარებული სოფლის ბიბლიოთეკების თანამშრომლები. ისინი თავიანთი ბიბლიოთეკისათვის ყველაზე მკვლევარ პრობლემებზე საუბრობდნენ, „საქართველოს საბიბლიოთეკო“ ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი კი მათ იმ მნიშვნელოვან როლზე ესაუბრებოდა, რომელიც ბიბლიოთეკამ საზოგადოების და საზოგადოებამ ბიბლიოთეკის განვითარებაში შეიძლება შეასრულოს. ასეთმა მიდგომამ სოფლის ბიბლიოთეკარებს საერთო სათემო პრობლემებზე სასაუბროდ უბიძგა და იქვე გამოვლინდა, რომ ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და გულსაკლავი პრობლემა მცხეთის რაიონის მოსახლე-



ობისათვის ყოფილა ის, რომ სოფლებისათვის მცხეთაში ჩამოსასვლელი პირდაპირი გრან-სპორტი არ არსებობს...“ (სტატიიდან ამონა-რიდი).*

აღსანიშნავია, რომ „სათემო სახლის“ საქმი-ანობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული მცხე-თის სარაიონო ბიბლიოთეკა, რაც უდავოდ დიდ



სარგებლობას მოუტანს ორივე მხარეს.

ჩვენი ჟურნალის რედაქცია ისურვებდა, რომ ანალოგიური საქმიანობა სხვა რაიონებსაც გა-დაეღოთ.

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია

* ი. ღარიბაშვილის სტატია „ტრენინგი სახელწოდებით „ბიბლიოთეკა და საზოგადოება“ სრულად შეგიძლიათ იხილოთ აქ დასახელებულ მცხეთის „სათემო სახლის“ ბიულეტენში. აქვეა დაბეჭდილი მცხეთის რაიონული ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარის ირინა პაპაშვილის „30 აპრილი ბიბლიოთეკარის დღე“.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი უ ლ ი მ ი მ ო ხ ი ღ ვ ა



ნინო ხაბულიანი
ასპირანტი

კიდეე ერთი მნიშვნელოვანი შენახანი

დიდი ხანი არაა, რაც კიდეე ერთი შესანიშნავი ბი-ბლიოგრაფი-ული ქრონიკა შეემაგა ანა-ლოგიურ გამოცემათა ცი-კლს. თბილისის ივ. ჯავა-ხიშვილის სახელობის სა-ხელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამო-აქვეყნა ილო გორგაძის, ნოდარ გურგენიძისა და მიხეილ საჯაიას ნაშრომი იაკობ გოგებაშვილის ცხო-ვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფაქტების შესა-ხებ. მთელი მასალა ქრო-ნოლოგიური სიმუსკითაა შეკრებილი და წარმოდგე-ნილი. (გორგაძე ი., გურგე-ნიძე ნ., საჯაია მ. იაკობ გოგებაშვილი: ცხოვრე-

ი. გორგაძე, ნ. გურგენიძე, მ. საჯაია

იაკობ გოგებაშვილი

ცხოვრებისა და შემოქმედების მავჩინა
ბიოგრაფიული ქრონიკა

1840 — 1912



ბისა და შემოქმედების მა-ტიანე; ბიობიბლიოგრაფი-ული ქრონიკა; 1840-1912. — თბ., 2003. — 198 გვ.).

როგორც ანოტაციაშია ნათქვამი, მასში ასახუ-ლია ყოველივე ის „პი-რად-პირადული“ და, რა საკვირველია, „სამოგა-ლოც“, რომელსაც რაიმე ღირებულება გააჩნია ამ დიდი პიროვნების წარმო-სახვისათვის“.

ნაშრომი არ წარმო-ადგენს მშრალ ქრონო-ლოგიურ ნუსხას, როგორც ბიობიბლიოგრაფიული მა-ტიანე, ის თავის თავში შე-იცავს, ერთი მხრივ, იაკო-ბის ცხოვრების ამსახველ მასალას, მეორე მხრივ, ბიბლიოგრაფიულ მონაცე-

მებს. ოსტატურადაა ერთმანეთში ეს ორი საწყისი შენივთებული, რაც ავგორთა დიდ ღირსებაზე მეტყველებს. როგორც ისინი წერენ წინასიტყვაობაში, „წიგნი სისრულით აღნიშნავს იაკობის თხზულებებს, გამოქვეყნების თარიღებისა და წყაროების ჩვენებით, შეძლებისდაგვარად კი წარმოაჩენს მათი დაწერის მიზეზსა თუ მიზანს. მაგიანე აღრიცხავს იაკობის მიერ შედგენილი სახელმძღვანელობისა და სხვა წიგნების ყველა გამოცემას მის სიცოცხლეში, სიტყვებს, მოხსენებებსა და წინადადებებს, საქმიან და პირად მიმოწერას, პოლემიკას. წიგნში მითითებულია ყველა მნიშვნელოვანი ლიტერატურული გამოსმაურება იაკობის მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ“.

ნაშრომში მოყვანილი მასალა მთლიანად დოკუმენტურია, მათი ჭეშმარიტების დასადაგუნად გამოყენებულია თვით იაკობისავე ნაწერები, თანამედროვეთა მოგონებები, რომლე-

ბიც ასახულია პერიოდულ ორგანოებსა და წიგნებში; აგრეთვე თანამედროვეთა გამოკვლევები, წერილები, მოსაზრებები.

წიგნს წინ უძღვის „წინათქმა“, რომელშიც ავგორების ძირითადი მიზნები და ამოცანებია გადმოცემული, აგრეთვე გაშუქებულია ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ამ წიგნის მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

ძირითად ნაწილს მოიცავს „ბიბლიოგრაფიული ქრონიკა“ 1840 წლიდან 1912 წლამდე. შემდგომი პერიოდის გამოცემებს ავგორები არ ეხებიან.

წიგნს დართული აქვს საძიებლები, კერძოდ: „იაკობ გოგებაშვილის ფსევდონიმები და კრიპტონიმები“, „ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისა და თხზულებათა გამოცემები“, „იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოებთა საძიებელი“ და „პირთა საძიებელი“.

მ კ ი თ ხ ვ ე ლ უ რ ი ა ვ ტ ო ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

ჩვენი ჟურნალის რედაქცია მკითხველებს სთავაზობს ახალ რუბრიკას – „მკითხველური ავტობიოგრაფია“. მიგვაჩნია, რომ აქ მოთავსებული წერილები ხელს შეუწყობს წიგნიერი გარემოს განვითარებას. თავის თავზე პირადი დაკვირვების შედეგების განზოგადება და ანალიზი, ერთი მხრივ, თვით ამ პიროვნებისათვის არის სასარგებლო, მეორე მხრივ, გამოცდილების გაზიარება სხვებისათვისაც მისაბაძი და დამაფიქრებელია. ცხოვრებისეული მაგალითები, საინტერესო მოვლენები და ფაქტები, პირადი მოსაზრებები თუ სხვისგან განაგონი სიბრძნე და შეხედულებები, რჩევა-დარიგებები და რეკომენდაციები, დადებითისა თუ უარყოფითის შედარება-ანალიზი უდავოდ ბევრ მკითხველს აღუძრავს განსჯის სურვილს, რაც თავისთავად იმოქმედებს მათი კითხვის კულტურის დონის ამაღლებაზე.

ჩვენ მზად ვართ, ამგვარი „ავტობიოგრაფიები“ დაუბრკოლებლად გამოვაქვეყნოთ, და გამოვთქვათ იმედს, რომ ბევრი მკითხველი გაგვიზიარებს თავის გამოცდილებას.

ამჟამად ვაქვეყნებთ ერთ-ერთ ამგვარ „ავტობიოგრაფიას“, რომლის ავტორია უცხო ენის სპეციალიზაციით ბიბლიოთეკათმცოდნეობა-ბიბლიოგრაფიის სპეციალობის სტუდენტი ქეთი ცენტერაძე.



ქეთი ცენტერაძე
სტუდენტი


მე, როგორც მკითხველი...

არ ვიცი, რომელი უფრო ძნელია: შეაფასო და დაახასიათო სხვა, თუ შენი თავი. მაგრამ ერთი რამ ცხადია – ადვილი არც ერთია და არც

მეორე. მაინც შევეცდები განვჭვრიტო ჩემი პიროვნება, როგორც მკითხველი. ჩემზე ვერ ვიგყვი, რომ თითქოს დიდად

ინგენსიური მკითხველი ვიყო. ასე მგონია, ყოველთვის შეიძლება უფრო მეტი გააკეთო, ვიდრე აკეთებ. მიუხედავად ამისა, ერთი მაინც მინდა ვთქვა: ვარ კარგი მკითხველი. ვკითხულობ ბევრს, თუმცა ისიც უნდა ვაღიარო, რომ ვკითხულობ ყველაფერს, რაც ხელთ მომხვდება და ჩემს მკითხველურ ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. ჩემი ამრით, არ არსებობს ცუდი წიგნი საერთოდ; შეიძლება შენ ის არ გაინტერესებდეს, თორემ ინფორმაციის მისაღებად ხომ სასარგებლოა? კითხვა კი, როგორც პროცესი, აუცილებლად მოიგანს სარგებლობას და სიამოვნებას მოგანიჭებს.

არ მახსოვს, როდის დავიწყე კითხვა, ან რა წავიკითხე პირველად. ეს ძალიან ადრე მოხდა – ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე ჩემი „ათვლის წერტილი“ ამოქმედდებოდა. ბავშვობაში, მახსოვს, მამა ხშირად გვიჯავრდებოდა იმის გამო, რომ ძალიან ბევრს ვკითხულობდით ღამით, სანთლის შუქზე (განსაკუთრებით ზამთრობით, როცა სოფელში ღენი არ იყო). ვინმე კითხვის ხელმძღვანელი და „კონსულტანტი“ არ მყოლია. ჩემით



ავიღებდი წიგნს (ღედას შინ საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკა აქვს) და ვკითხულობდი. თავდაპირველად წიგნები სათაურით მიზიდავდა, მერე ამას აღარ ჰქონდა არავითარი მნიშვნელობა.

ჩემთვის კითხვა არის არა მარტო ესთეტიკური სიამოვნება, არა მარტო დროის გაყვანისა და გართობის საშუალება, არამედ დაუოკებელი მოთხოვნილებაც. ხშირად იმიტომ ამიღია წიგნი ხელთ, რომ, უბრალოდ, მსურდა მეკითხა. ყველაფერს მირჩევნია ზამთრობით ბუხართან, სითბოში, სიწყნარეში, ფინჯან ყავასთან ერთად, სასიამოვნო წიგნის კითხვა.

ძილის წინ აუცილებლად ვკითხულობ, თუმცა ბევრს არა. ვიცი, არაა სასარგებლო, მა-

გრამ ეს უკვე ჩვეულებად მექცა. ისე, როგორც ბავშვები ვერ იძინებენ იავნანის გარეშე, თუკი ამას დაჩვეულნი არიან, ასევე მეც – თუ ვერაფერს წავიკითხავ, უკმარობის გრძნობა მაწუხებს. ზოგჯერ სიმძარშიც ვკითხულობ რაღაცას, მერე დილით ვისხენებ, რა წავიკითხე.

ცოგათი გაფანტულობაც მახასიათებს, მითუმეტეს, როცა ნაკლებად მაინტერესებს წიგნი. არამც თუ მარტო ყურადღება მეფანტება, არ მახსოვს კარგად, რაც წავიკითხე. ზოგჯერ იძულებული ვხდები, ისევ მივუბრუნდე უკვე წაკითხულს. შევამჩნიე თავს, რომ ასეთი რამ მაშინაც მომდის, როცა კითხვით ვიღლები. ამიგომაც ვცდილობ, ისე დავარეგულირო კითხვა, რომ არ გადავიღალო.

მიყვარს მხატვრული ლიტერატურა, ყველა ქანრი მომწონს. თემაგურად განსაკუთრებით ისგორიული რომანები მიზიდავს, მაგრამ ერთი უცნაურობა მჭირს – არ მიყვარს წიგნები მეორე მსოფლიო ომის შესახებ; სხვათა შორის, ამ თემაზე ფილმებსაც არ ვუყურებ. ისე, ყველაფრის კითხვა შემიძლია, მაგრამ გა-

სსხვავებული ინტერესითა და ინტენსივობით.

მიყვარს, რომ წიგნი თავის სამყაროში ჩამითრევს. დამთავრების შემდეგ ბევრს ვფიქრობ წაკითხულზე და მიჭირს რეალობას დავუბრუნდე, ოცნებები გამიგაცებს და ათასგვარად ვხლართავ ეპიზოდებს.

მიყვარს, როცა წიგნით გამოწვეული შთაბეჭდილება დიდხანს გამყვება და რამდენიმე დღე ვფიქრობ წაკითხულის ირგვლივ. ერთი თავისებურებაც მახასიათებს, ამ დროს სანამ შთაბეჭდილების ქვეშ ვიმყოფები, არ შემიძლია სხვა წიგნის კითხვას შევუდგე. ველოდები, დამშვიდდეს გონება, რომ ახალი შთაბეჭდილებებისათვის მოვემზადო.

მახსენდება ერთი ისტორია, რომელიც დედაჩემს გადახდა თავს და რაგომლაც სურვილი მაქვს გადმოვცეთ.

დედა ბათუმში სწავლობდა და შაბათ-კვირას სოფელში ავგობუსით ბრუნდებოდა. მძლოლი თანასოფლელი იყო და დედაჩემისათვის ერთი და იგივე „საპატიო ადგილი“ ჰქონდა ყოველთვის შენახული. ერთხელ დედა, ლექციების შემდეგ, სოფელში გასამგზავრებლად ავგოსადგურში მივიდა. გასვლამდე დარჩენილი 20 წუთი, გადაწყვიტა, წიგნის კითხვაში გაეგარებინა სადგურის ერთ კუთხეში ჩამომჯდარს. იგი ისე გაიტაცა „ჰავაის ბულბულის“ კითხვამ, რომ ავგობუსმა გაასწრო. შემდეგი რეისით იგი წამოეწია ნაცნობ მძლოლს, რომელსაც ავარია შემთხვევოდა. და, აი, ამ ისტორიის სამწუხარო დასასრული: დაიღუპა ერთი მგზავრი – გოგონა, რომელიც დედაჩემისთვის განკუთვნილ „საპატიო ადგილზე“ მჯდარა. ამის შემდეგ დედა ამ წიგნს თავის „გადამრჩენს“ უწოდებდა.

და ისევ მივუბრუნდები კითხვას – ერთი შეკითხვა მიჩნდება: დაუშვათ, არ არსებობდეს კითხვა, წიგნი, რა მოხდებოდა? ალბათ ქვეყნად სრული ქაოსი იქნებოდა. მაგრამ ეს ხომ წარმოუდგენელია. სანამ არსებობს ხალხი, იარსებებს კითხვაც!

საყოველთაოდაა აღიარებული აზრი, რომ რაც უფრო ბევრს კითხულობს ადამიანი, მით უფრო ინტელექტუალურად მდიდრდება იგი, არსებობს ერთი გარემოებაც, რაც საკუთარ თავზე გამოვცადე: ყოველი წაკითხული წიგნის შემდეგ მიაღვივდება საუბარი, უფრო მჭერმეცხველი ვხდები, ვგრძნობ, როგორ თანდათანობით ფართოვდება გონებრივი საზღვრები და მასშტაბები. ამის აღმოჩენა დიდ სიხარულს მგვრის.

ჩემი აზრით, ადამიანი, ფაქტობრივად, განუწყვეტლივ კითხულობს, მაშინაც კი, როცა წიგნს არ უბის. გელევიზორის ყურება იგივე კითხვაა, და როგორც კითხვისას არის კარგიც და ცუდიც, ისევეა აქაც. ფიქრიც კი იგივე კითხვაა. ეს წაკითხული გექსცების შენს გონებაში სხვა-

დასხვაგვარი ფორმის გამოხატულებაა და რადგან ადამიანი განუწყვეტლივ ფიქრობს, აქედან დასკვნა ის არის, რომ ის განუწყვეტლივ კითხულობს.

მახსენდება, ერთხელ ბავშვობაში მკითხეს: უღაბნოში რომ გაგხიზნონ ერთი კვირით, სამი ნივთის თან წაღების ნება მოგცენ, რას აირჩევდიო. პირველი, რაც უცებ მომაგონდა და ვთქვი, იყო წიგნები. მაშინ ეს ვთქვი გაუცნობიერებლად, ახლა კი სრულიად შეგნებულად ვიცი, რომ წიგნის და კითხვის გარეშე მართლაც წარმოუდგენელია ცხოვრება, ან უბრალოდ, მე ვერ შევძლებდი ამას. ასე მგონია, ადამს სამოთხეში წიგნები რომ ჰქონოდა, იქნებ არ მოსწყენოდა და არც ევა გამხდარიყო მისთვის საჭირო. ეს, ისე, ხუმრობით, თორემ სინამდვილეში წიგნიერი კაცი რომ უფრო დასაქმებულია და ღროც გონივრულად აქვს შევსებული, უდავო ჭეშმარიტებაა.

სხვათა შორის, ხუმრობა ვახსენე: უბრალოდ ეს იუმორია და არ შემოიძლია არ აღვნიშნო, რაც ჩემს თავზე გამომიცლია: წიგნის კითხვა მიძლიერებს იუმორის გრძნობას, უფრო ვიხვეწები ამ მხრივ, რაც ცხოვრებაში ძალიან მადგება. ე.წ. „გაუცინარი ხელმწიფეების“ არსებობაც იმით არის განპირობებული, რომ ისინი, ნამდვილად, არ კითხულობენ წიგნებს, არ უყვართ კითხვა. მაგრამ ერთი ქართული ანდამისა არ იყოს – „მეგისმეგი – ბრეგის ბრეგიო“, რაც იმას ნიშნავს – გადამეგებული არაფერი ვარგაო, ჭეშმარიტებაა. ჩემი აზრით, ზომიერება კითხვაშიც საჭიროა.

და ერთიც – ცნობილია, რომ ლიგერაგურა ცხოვრებას გვასწავლის; ჩემი გაგებით, ეს ნიშნავს: „ადამიანს კითხვა ასწავლის ცხოვრებას“.

აი, სულ რისი თქმა შემოიძლია კითხვისადმი ჩემი დამოკიდებულების შესახებ. მგონი მოვახერხე ჩემი პიროვნების, როგორც მკითხველის წარმოჩენა. თუმცა, იქნებ არის რაღაც ისეთი, რაც ვერ ვთქვი ან ვერ დავინახე ჩემში. არაუშავს, მეპატიოს!

ჟურნალი გარეგნულად მართლაც ლამაზია და ხელში ასაღებად სასიამოვნო (ყდა, ქაღალდი, მხატვრობა, შრიფტი). ჟურნალი დაბეჭდილი მასალებით სავსებით ამართლებს თავის დანიშნულებასა და სახელწოდებას – „საქართველოს ბიბლიოთეკა“. საქართველოში, მგონი, პირველად ასეთი ინიციატივა – ისიც დღევანდელ საქართველოში...

მადლობის მეტი რა გვეთქმის მეც და ყველა ბიბლიოთეკარს და ყველა სხვა პროფესიის, საერთოდ, ყველა წიგნის მოყვარულს. მე პირადად ჟურნალში მოღვაწეობა მშობლიურ საქმედ მიმაჩნია.

ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი ამ კეთილშობილური და საამაყო საქმის გაგრძელებაში!

მარიამ შამფრიანი

გარიელ ნაცვლიშვილი
ინფოცენტრის „ეკო-XXI საუკუნის“ დირექტორი

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქტორს ბატონ პლემსანდრე ლორიას

თუ ვინ იყო და რა როლი შეასრულა ი. გრიშაშვილმა ქართველი ერის ყოფიერებაში, თქვენ ჩვენგან ნამდვილად არ გესწავლებათ. ამჟამად მხოლოდ მის ბიბლიოგრაფიულ საქმიანობას შევხვებით. გრიშაშვილის ცხოვრებაში, მას შემდეგ რაც მან წიგნის ფასი შეიგრძნო, ერთი დღეც არ ყოფილა, რომ შექენილი წიგნის გარეშე მისულიყო სახლში. წიგნისადმი ასეთი ფანატიკური მიდგომის შედეგად ის გახდა უნიკალური ბიბლიოთეკის მფლობელი, რომელიც ჯერ კიდევ სიცოცხლეში უანდერძა თავის სათაყვანებელ სამშობლოს, თავის ხალხს. ჩვენ მეტი არაფერი აღარ დაგვრჩენია, რათა პატივი მივაგოთ მის ხსოვნას და უკვდავყოთ მისი საქმიანობა, მისი სახელი.

23 აპრილის (მისი დაბადების დღის) აღნიშვნა სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ძველი თაობის ინიციატივითა და ძალისხმევით 1967 წლიდან დამკვიდრდა ბრწყინვალე გრადიცია „გრიშაშვილობა“, რომლის წამყვანები და ინიციატორები იყვნენ ანი ციციშვილი და სოლომონ ხუციშვილი. მათი წყალობით, წლების განმავლობაში, იქ იკრიბებოდნენ ქართული ინ-

ტელიგენციის წარმომადგენლები, უცხოელი სტუმრები, რომელთა მოგონებებმა იოსებ გრიშაშვილზე წარუშლელი, ნათელი კვალი დატოვა ჩვენ ფსიქიკაზე.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო 1979 წელი, „თბილისობის“ პირველი დღესასწაული, როდესაც ჩვენმა მედუღეუკეებმა (იმ წელს გახდი კლუბ „ქართული ღუდუკის“ პრეზიდენტი) თავისი წვლილი შეიტანეს ორივე დღესასწაულში, ვალი მიაგეს ძველი თბილისის მოგროფი ალესა და მეხობებს. მას შემდეგ „გრიშაშვილობის“ არცერთი წელი არ გამოგვიგოვებია, თუ არ ჩავთვლით ბოლო ათწლეულს, როდესაც სხვა გრადიციებთან ერთად, ეს ბრწყინვალე გრადიციაც მოიშალა.

გრიგაშვილის 110 წლისთავს (1999 წელს) სპეციალური ბუკლეგი მივუძღვენით და ვინახულეთ კიდევ მისი სახლ-მუზეუმი, მაგრამ, სამწუხაროდ, კარები დაკეცილი დაგვხვდა. 2001 წელს აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ერთ-ერთი ვიზიტის დროს, ჩვენ გულისგვივილი გამოვხატეთ ამ გრადიციის მოშლის გამო. ქალბატონმა ნანა ფირცხალავამ ახლოს

მიიგანა ჩვენი გულისკვირად, რაც იმაში გამოიხატა, რომ შემდეგ წელს, ერთობლივი ძალისხმევით, შევძელით ბიბლიოთეკა-მუზეუმის გამოცოცხლება, „გრიშაშვილობის“ აღდგენა.

თუ 2002 წელს, ასე თუ ისე, „მშვიდობიანად“ ჩაიარა „გრიშაშვილობა“, 2003 წელზე იგვეს ნამდვილად ვეღარ ვიგყვით. მასპინძლობაზე მთელი ინიციატივა ნოდარ გრიგორაშვილის (სახლ-მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგე) მეუღლემ აიღო თავის თავზე. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, ჩაეშალა ეს ღონისძიება, მაგრამ ჩვენ ყველა ბარიერის (ჩხუბი, უსინათლობა, ჩაკეტილი ფარდები, სკამების გაქრობა და სხვა) გადალახვა შევძელით და სანთლების შუქზე მშვენიერი „გრიშაშვილობა“ ჩავაგარეთ. ჩვენი განწყობილება შთაბეჭდილების წიგნშიც დავაფიქსირეთ.

რაც შეეხება 2004 წელს – ამ ქალბატონის აგრესიამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. თავი ვერ შეიკავა და იერიშზე გადავიდა. გარდა იმისა, რომ შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოგემართა, აგვიკრძალა „მის გერიგორიაზე“ ყოველგვარი ღონისძიების ჩატარება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბოლო ორ წელიწადში ამ ღონისძიებებზე აღდგენა არ იმყოფებოდა ნოდარ გრიგორაშვილი. შეიძლება ის კარგი ბიბლიოთეკარია, მაგრამ გრიშაშვილის სახლ-მუზეუმის გამგედ ნამდვილად არ გამოდგება. იმის მაგივრად, რომ გახარებოდა გრადიციის აღდგენა, შემდეგ წლებში საერთოდ აღარ გამოჩნდა.

ასეთი დახვედრის მიუხედავად, ჩვენ მაინც შევძელით გრიშაშვილთან მიგანილი ყვავილების თაიგულის და ჩვენი სერიის – „ქართული ლუდუკის ნაკვალევზე“ (13 ერთეულის) დაგოვება; ასევე მოვახერხეთ შთაბეჭდილების წიგნში ჩანაწერის დაფიქსირება (თუ უკვე არ გაანადგურეს).

თხუთმეტი წელზე მეტია, რაც ინფორმაციის ცენტრი „ეკო-XXI საუკუნე“ თანამშრომლობს საქართველოს მთელ რიგ მუზეუმებთან, კერძოდ:

1. აბრეშუმის მუზეუმთან,
2. თეატრის, მუსიკისა და კინოს მუზეუმთან,
3. მუსიკალური საკრავების მუზეუმთან.

ყველა ძალიან მაღლიერია ჩვენთან ურთიერთობით, ვინაიდან ვცდილობთ კრიტიკულ სიტუაციაში მხარში ამოვუდგეთ მათ.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მუზეუმების შენობები გაცილებით უფრო ამორტიზირებულია და კაპიტალურ რესტავრაციას საჭიროებს, ვიდრე ი. გრიგაშვილის ბიბლიოთეკა მუზეუმი, იქ მაინც ტარდება ესა თუ ის ღონისძიება. ამის ნათელი დადასტურებაა 18 მაისისადმი – მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია-გამოფენები, რომლებზეც ჩვენც ვიყავით მიწვეული და რომლებმაც კულტურის მინისტრის მოწონება დაიმსახურა.

ჩვენი მამულიშვილური ვალია, შევინარჩუნოთ წარსულის ბრწყინვალე დანატოვარი „გრიშაშვილობა“ და შეურიგებელი ბრძოლა გამოვეცხადოთ იმ უღირს ადამიანებს, რომლებიც ხელს გვიშლიან მის აღდგენა-შენარჩუნებაში. მომავალი თაობა ნამდვილად არ გვაპატიებს პასურობას ამ დიდ საქმეში. ჩვენ ასევე ვთვლით, რომ ამ ფაქტმა თქვენი გულისწყრომაც უნდა გამოიწვიოს. უკვე დაგვანახა ბოლო ათწლეულმა საქმისადმი გულგრილი, ინერგული მიდგომის შედეგები.

გთხოვთ გაგვიწიოთ თანადგომა.

რედაქციის აგან

საინფორმაციო ცენტრის „ეკო-XXI საუკუნის“ პრეზიდენტი ბ-ნი გარიელ ნაცვლიშვილი საკმაოდ ცნობილი მრავალმხრივი მეცნიერია, რომელიც მეტად ნაყოფიერად მოღვაწეობს ინფორმაციის სფეროში და უაღრესად საინტერესო შემოქმედებით მუშაობს ეწვეა. ამასთან ერთად, ის არის ღირსეული სამოგადო მოღვაწე, რომელსაც ძალიან ახლოს მიაქვს გულთან ჩვენი ქვეყნის ავ-კარგი და საქმიანი ურთიერთობა აქვს საბიბლიოთეკო წრეებთან. საყურადღებოა მისი კონტაქტები უცხოელ სპეციალისტებთან, რის წყალობითაც ის კარგად



არის ცნობილი შესაბამისი დარგის მეცნიერები-სათვის არა მარტო ჩვენში – საზღვარგარეთაც.

ჩვენი ჟურნალის მთავარი რედაქტორისადმი მოწერილ წერილში ნათლად აისახა მისი მოქალაქეობრივი პოზიცია, რაც გამოიხატა ქართული ლიტერატურისა და კულტურისადმი მის დამოკიდებულებაში.

ფაქტი, რომელსაც ის იცყობინება, შემაძრწუნებელია. არ მგონია, საბიბლიოთეკო დარგის რომელიმე მოღვაწე, რომელიმე ლიტერატორი, კულტურის მუშაკი თუ, საერთოდ, ეროვნული სულისკვეთების მქონე პიროვნება – არ აღაშფოთოს ამან.

როგორც ცნობილია, 23 აპრილი ჩვენში დამკვიდრდა როგორც იოსებ გრიშაშვილის დღე – გრიშაშვილობა, რომელიც უკვე დიდი ხანია, ინტერვალებით, მაგრამ მაინც, ბეიმით აღინიშნებოდა გრიშაშვილის სახლ-მუზეუმში. ი. გრიშაშვილი რომ დიდი ბიბლიოფილია, ყველასათვის ცნობილია. ერთგვარ სასიამოვნო დამთხვევას წარმოადგენს ის, რომ ამ დღეს აღინიშნება წიგნის საერთაშორისო ბეიმი, ამ დღეს გრადიციულად იხსნება საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეული. ყველა ბიბლიოთეკა რაღაცათი ეხმაურება ამ მოვლენას, და რაოდენ დასანანია, რომ გრიშაშვილის სახლ-მუზეუმისა და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის – ნოდარ გრიგორაშვილის თავნებობისა და უპასუხისმგებლობის გამო ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ვერ ხორციელდება. როგორც ჩანს, ბაგონი ნოდარი და მისი მეუღლე საკუთრებად მიიჩნე-

ვენ ამ ობიექტს და თავიანთ ჭირვეულობას ანაცვლებენ საზოგადო საქმეს, რომელსაც დიდი კულტურული და ეროვნული მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ კარგად ვიცით და გვესმის მათი პრეტენზიებისა, მაგრამ დღეს ათასწილ უარეს პირობებში იმყოფება სხვა ბიბლიოთეკები, რომლებიც მიუხედავად ამისა, ყველაფერს აკეთებენ, რომ არ გამოწყდნენ სხვებში, არ დაკარგონ ინიციატივა, ხელიდან არ გაუშვან საზოგადოებასთან ურთიერთობის კვანძები. ბევრი ბიბლიოთეკარი მხოლოდ პირადი ენთუზიაზმით მუშაობს და დიდ მამულიშვილურ საქმეს აკეთებს. ამ შემთხვევაში კი, არ ვიცით, რა ვუწოდოთ ბაგონ ნოდარ გრიგორაშვილის საქციელს, რომელსაც მხოლოდ ის მოეთხოვება, გახსნას მუზეუმის კარები, დანარჩენს ყოველთვის საქმის ორგანიზატორები იღებენ საკუთარ თავზე.

გაუგებარია, ვის უდგას კრიჭაში ბაგონი ნოდარი, რისი მიღწევა სურს ამით? ის არამც თუ უარეს, გაცილებით უკეთეს პირობებშია ყოველმხრივ, ვიდრე ჩვენი სხვა ბიბლიოთეკარები.

აღნიშნული სახლ-მუზეუმი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის გამგებლობაშია და ამიტომაც მივაქცევთ ამ დაწესებულების ხელმძღვანელობის ყურადღებას ხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით. იმედს გამოვთქვამთ, როგორმე მიიღებენ ზომებს, მსგავსი რამ შემდგომში არ განმეორდეს.



ჩვენი საჯარო ბიბლიოთეკები თანდათან სულ უფრო მეტად ივსება აუდიო და ვიდეო მასალე-
ბით. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა კინოხელოვნების ნიმუშებზე. სამწუხაროდ, ამ მიმართუ-
ლებით ბიბლიოთეკები ბევრს ვერაფერს აკეთებენ. რედაქცია ცდილობს, მიაქციოს მკითხველი სა-
ზოგადოების ყურადღება ამ მოვლენისადმი და გაააქტიუროს ბიბლიოთეკების საქმიანობა ამ მი-
მართულებით. ამ მიზნით რედაქციას შემოდებული აქვს რუბრიკა პირობითი სახელწოდებით „რე-
ვიუ“. განზრახული გვაქვს, ფართო ინფორმაცია მივაწოდოთ მკითხველებს მნიშვნელოვანი კი-
ნოფილმების შესახებ, რაც საშუალებას მისცემს მომხმარებლებს, ბიბლიოთეკის დახმარებით მო-
იძიონ მათთვის საჭირო ფილმების ასლები.

ამჟამად ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ კინომცოდნის იური მგალობლიშვილის სტატიას ფრა-
ნკული კინოფესტივალის თბილისში გამართვასთან დაკავშირებით.

იური მგალობლიშვილი ცნობილი კინომცოდნე და ჟურნალისტი. მისი პროფესიული სტატი-
ები ხშირად იბეჭდება ქართული პრესის ფურცლებზე. მის შეხედულებებსა და რეკომენდაციებს
უდავოდ ყურადღებით მოეკიდებიან ჩვენი მკითხველები.

იური მგალობლიშვილი

ფრანკოფონიის დღესასწაული თბილისში

ფრანკოფონიის კულტურისა და ხე-
ლოვნების ერთთვიური, რომელიც
თბილისში წელს ჩატარდა, ორგანი-
ზებული იყო საფრანგეთის საელჩოს
კულტურის განყოფილების და ალ. დიუმას სა-
ხელობის ფრანგული კულტურის ცენტრის, აგრე-
თვე ბ-ნი ფრანსუა ლორანის მიერ. წარმოდგე-
ნილი იყო რამდენიმე გამოფენა – „მარსელ
პრესტი“, „სგაფან მალარმე“, „20 მილიონი
წელი კაცობრიობამდე“. ჩატარდა კონკურსები
საფრანგეთში მოგზაურობის მოსაპოვებლად.
კონკურსანტებს შემოთავაზებული სიგელების
გამოყენებით უნდა ეჩვენებინათ ფრანგული
ენის დაუფლების დონე. გამარჯვებულები გა-
ხლნენ: ია. მანიჟაშვილი, ეკა გოგლიძე და ნანა
ხუსკივაძე. ფრანკოფონიის – ფრანგულენოვანი
ქვეყნების დღესასწაული სხვადასხვა ღონისძი-
ებებით აღინიშნა. გაიმართა მუსიკალური სა-
ღამოები, პოეტური პოლიფონია, ფრანგულე-

ნოვანი პედაგოგების გამოცდილების გაზი-
არება საქართველოში განათლების რეფორმა-
სთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, წარმოდ-
გენილი გახლდათ კინოფილმები, რომლებიც
ორ ძირითად ნაწილად შეიძლება დავეყოთ:

ფრანგული მოღერნისგული ბალეტის კინო-
მაგოგრაფიული ვარიაციები და სრულმეტრაჟი-
ანი მხატვრული ფილმები, მათ შორის – ბლო-
კბასტერიც.

ალ. დიუმას სახელობის კულტურის ცენტრ-
ის მადამ გიუსოს კინო-დარბაზში წარმოდგე-
ნილი იყო სწორედ ის ფილმები, რომლებიც სა-
ბალეტო ხელოვნებას ეხებოდა. ბალეტი ხომ ხე-
ლოვნების სახეობაა, რომელიც შინაარსობრივ
დაგვირვას მუსიკალურ-ქორეოგრაფიული
სახეების მეშვეობით იძენს. (როგორ არ გავი-
ხსენო აქ ა. მაჭავარიანის ვ. ჭაბუკიანისეული
„ოტელო“).

„გადაცემის ისტორიაში“ ნაჩვენებია პარი-

მის საოპერო თეატრის საბალეტო დასის რეპეტიციები ბალეტმეისტერ დ. აბაგუეტის ხელმძღვანელობით. უახლესი გამომსახველობითი საშუალებანი, საბალეტო ილეთების ფიერვერი და ამავე დროს არდავიწყება იმისა, რომ თუმცა ყოველივე ეს ხდება მოდერნ-ბალეტის სტრუქტურაში, იგი მაინც კლასიკური ბალეტის წიაღიდანაა.

სტანსები, ცნობილია, რომ სგროფებად დაწერილი ლირიკული ლექსებია; ყოველი სგროფი დამოუკიდებელია და ამრობრივად დამთავრებული. სწორედ ამის ანალოგიას წარმოადგენს კატრინ დივერსის „ქორეოგრაფიული პიესა-სტანსები“, რომელიც ერთგვარად სწორედ პოეტური სტანსების ასოციაციას იწვევს. ქორეოგრაფ მაგი მარენის კონცეფცია, რეალიზებული ლეო დელიბის ბალეტში „კოპელია“, ლეო დელიბის საბალეტო მუსიკის ისტორიაში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი, რამეთუ მან პირველმა შეძლო, ბალეტი დივერსისმენტების გყვებობიდან დაეხსნა და მას მიზანდასახული, მთლიანი სიუჟეტურობა შეეძინა. პ. ი. ჩაკოვსკი დელიბს დიდად აფასებდა. ამ კინოფერსიაში მოქმედება არა მლაპარულ ისტორიულ წარსულშია და არც კომპოზიტორის თანადროულობაში ანუ მე-19 საუკუნეში, არამედ გადმოგანილია თანამედროვე ქალაქ მარსელში. თოჯინა-გოგონა ერთგვარი კომპაქტური სიმბოლის სახით წარმოდგება და პერსონაჟების ხილვებსა და სიმბრებში შემდგომ უკვე მისი

გირაჟირება ხდება სხვადასხვა რაკურსში. ს. პროკოფიევის ბრწყინვალე ბალეტი „რომეო და ჯულიეტა“ კვლავ ანდერგრაუნდის მოდერნისგულ „მარწუხებშია“ მოქცეული. ანკელ პრელუოკაჟის საბალეტო სპექტაკლ „რომეო და ჯულიეტას“ კინო ვარიაციაში დამდგმელები უპირობოდ და უკომპრომისოდ ასაბუთებდნენ, რომ ჩვენ უკვე XXI საუკუნეში ვცხოვრობთ და ბალეტიც დროის შესაგყვისად უნდა იქნეს რეფორმირებული (თვით კოსტიუმებიც კი).

კ/თ „რუსთაველში“ წარმოდგენილი გახლდათ რეჟისორ ანდრე გეშინეს ბლოკ-ბასტერი „გზაბნეულები“. მოცემული ამბები საფრანგეთის ოკუპაციის პერიოდს ასახავს II მსოფლიო ომის პერიოდში. ნაჩვენებია პარიზელი ერთი დედა-შვილის პარიზის მახლობელ აგარაკზე გახიზვნის ეპიზოდი.

საქართველოს კინომაგოგრაფისგთა კავშირის თბილისის კინოს სახლის კ/რ „ქოლგაში“ ნაჩვენები იყო ლუვინარის და ვადიმოვის ფილმი „იაგაკქვეშელები“ (შვეიცარია, 1998წ.), რომელიც ასახავს ევროპიდან კანადაში გემით არალეგალურად (კონტეინერში) განვითარებად და პოსტსოციალისტურ ქვეყნებიდან გაპარული ადამიანების უმძიმეს გრაგელით აღსავსე ხვედრს.

ფრანკოფონიის ხელოვნებამ და, კერძოდ, კინომაგოგრაფმა ერთი თვის განმავლობაში თითქმის ამომწურავად თქვეს თავიანთი სათქმელი.



საქართველოს საბიბლიოთეკო სსოპრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

28 მარგს თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გამართა თათბირ-სემინარი საბიბლიოთეკო ლოკუმენტების კლასიფიკაციის საკითხებზე. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ თბილი-

სის უმაღლესი სახელმწიფო ბიბლიოთეკათა ხელმძღვანელები, მეთოდისგები, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური სამსახურის თანამშრომლები.

□ 3 აპრილს ქ. მარნეულში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით ჩატარდა ამ სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა შეხვედრა ადგილობრივ პედაგოგებთან. საუბარი შეეხო სასკოლო განათლების რეფორმის მიმდინარეობას; თათბირზე ბიბლიოთეკების შესახებ ვრცელი ინფორმაცია გააკეთა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა ირაკლი ლარიბაშვილმა.

□ 14 აპრილს გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებული საკოორდინაციო საბჭოს სხდომა. განიხილეს რესპუბლიკური საბავშვო და ახალგაზრდობის სახელმწიფო ბიბლიოთეკებში კომპიუტერული ტექნიკის შეძენისა და გამოყენების საკითხები. საჯარო ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდების განახლების საკითხებზე ისაუბრა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს წიგნისა და ბიბლიოთეკის სამმართველოს უფროსმა ნინო მეიფარიანმა.

□ 28 აპრილს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში

გაიხსნა საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეული. დამსწრეთ მიესალმნენ და კვირეულის მნიშვნელობაზე ილაპარაკეს უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. რ. ლორთქიფანიძემ, საქართველო პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა ზ. აბაშიძემ, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა ირაკლი ლარიბაშვილმა, მწერალმა რ. მიშველაძემ და სხვებმა. კვირეულის დახურვა გაიმართა 13 მაისს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში.

კვირეულის შესახებ ვრცელ ინფორმაციას ჩვენი ჟურნალის მომდევნო ნომერში გაეცნობით.

□ 6 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ყოველწლიური საბიბლიოთეკო კონფერენცია თემაზე „თანამედროვე საბიბლიოთეკო ტექნოლოგიები“. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 6 მოხსენება; ძირითადად ლაპარაკი იყო ეროვნულ ბიბლიოთეკაში კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისა და მონაცემთა ბაზების სრულყოფის საკითხებზე.

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

ლალი ცინცაძის ხსოვნას



მოულოდნელად წავიდა ჩვენგან, სიცოცხლითა და ხალისით აღსავსე, ახალგაზრდა ქალი და გაუნელებელი ტკივილი დაუგოვა ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს, გაიყოლა მრავალი ადამიანის ცრემლი და სიყვარული.

2005 წლის 3 იანვარი – აქ დასრულდა გრაგიკულად სიცოცხლე ლალი ცინცაძის, ლალო ასათიანის სახელობის სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკის წამყვანი ბიბლიოთეკარისა, რომელიც ბიბლიოთეკის სანოტო-სამუსიკო განყოფილებაში, 26 წლის მუშაობის პერიოდში, ყოველთვის




გამორჩეოდა ადამიანებთან გულთბილი დამოკიდებულებით, პროფესიონალიზმითა და უდიდესი პასუხისმგებლობით.

ძალიან გვიჭირს წარსულ დროში ვილაპარაკოთ ყველას მიმართ გულისხმიერ, სხვისი გაჭირვებით შეწუხებულ, მზრუნველ, ყურადღებიან და მოყვარულ ადამიანზე. ხშირად ვიხსენებთ მისგან ნათქვამ არაერთ საგულისხმო ამრს. უზომოა მისი დაკარგვით გამოწვეული გულისკვივილი.

ლ. ასათიანის სახელობის რესპ. საბავშვო ბიბლიოთეკის კოლექტივი

ს ა ც ნ ო ბ ო დ ს ა კ ი თ ხ ა ვ ი



იუვიათი წიგნები

□ 1450 წელს გუგენბერგმა გამოსცა ბიბლია, რომელიც ე. წ. ინკუნაბულებს განეკუთვნება, ამ იუვიათი გამოცემის 50 ეგზემპლარია შემორჩენილი. ამჟამად ერთი ეგზემპლარი შეფასებულია ნახევარ მილიონ დოლარად.

□ გადაჭრით არ ვიციტ, რომელია მსოფლიოში ყველაზე დიდ, ყველაზე მძიმე, ყველზე მინიატურული წიგნი, თუმცა მოგ ამგვარ წიგნების შესახებ ცნობები არსებობს. მაგალითად, ერთი ძალიან სქელი წიგნი გამოიცა შეერთებულ შტატებში – „სამხრეთის ისტორია“, რომელიც 225 კილოგრამს იწონის. წიგნს დართული აქვს 12 ცხენისძალიანი მინი ძრავა გვერდების გადასაბრუნებლად.

□ ყველაზე უძველესი გრაფილი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, არის ე. წ. „პაპირუს პრისე“, რომელიც შექმნილია 2 600 წელს ჩვენ წელთაღრიცხვამდე, ნაპოვნია ეგვიპტეში უძველესი სამარხის გათხრისას. ინახება საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, პარიზში.

□ ყველაზე დიდი და დაწვრილებითი წიგნური ფორმის კაგალოგი გამოუშვეს ლონდონში 1556-1557 წლებში. იგი შედგება 754 გომისაგან. ყოველი მათგანი შეიცავს 527 გვერდს. კაგალოგში შესულია მილიონ ასოცდათოთხმეტი ათასი (1.134.000) დასახელება. ამ წიგნების საერთო წონაა 2, 5 ტონა.



ბავშვთა შესახებ ჩვენს შუჩნალში (2001-2004)

2001წ.

№1

ლორია ალექსანდრე. კითხვის მართვა, როგორც გემოქმედების პედაგოგიური საშუალება – გვ. 17-19.

მჭედლიშვილი ნატო. მოსაზრებები საბავშვო ლიტერატურასა და კრიტიკაზე – გვ. 19-21.

საყვარელიძე თეა. და მაინც წიგნი. – გვ. 37.

№2

სასკოლო ბიბლიოთეკა როგორც ინფორმაციული, სასწავლო და კულტურული ცენტრი – გვ. 3-4.

სასკოლო ბიბლიოთეკის მანიფესტი. – გვ. 5-7.

საქართველოს სასკოლო ბიბლიოთეკების ტიპური დებულება. – გვ. 7-9.

მჭედლიშვილი ნატო. წიგნი და მკითხველი. – გვ. 39-40.

ლორია ალექსანდრე. ვიკითხოთ ერთად. – გვ. 41.

№3

ყურაშვილი ფილიმონ. სასკოლო ბიბლიოთეკარის პროფესიული კვალიფიკაციის მოთხოვნები. – გვ. 38.

№4

მჭედლიშვილი ნატო. საბავშვო ბიბლიოთეკების ადგილი საგანმანათლებლო სისტემაში. – გვ. 44-46.

2002 წ.

№1

ბავშვი და წიგნი. – გვ. 4-6.

მჭედლიშვილი ნატო. სასკოლო ბიბლიოთეკა როგორც მედია ცენტრი. – გვ. 14-15.

მუსერიძე ნელი. ბიბლიოთეკა როგორც გონებრივი და ესთეტიკური აღზრდის ცენტრი. – გვ. 16-19.

ბიბლიოთეკა და ნორჩი შემოქმედები. – გვ. 61-65,

№3

ფირცხალავა გულნარა. წიგნი საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვებისათვის. – გვ. 54-56.

წერეთელი ცისანა. ბავშვთა კითხვა. – გვ. 58-67.

№4

ლორია ალექსანდრე. დიმიტრი უზნაძე ბავშვთა კითხვის შესახებ. – გვ. 27-32.

2003წ.

№1

ლორია ალექსანდრე. ბიბლიოთეკა და პედაგოგი. – გვ. 35-39.

ყურულაშვილი ვერა. უმცროსკლასელთა მშობლების ფსიქო-პედაგოგიური შეხედულებების ჩამოყალიბების შესახებ. – გვ. 39-42.

ქამუშაძე ეთერ. ღია გაკვეთილი ბიბლიოთეკაში. – გვ. 61.

№3

ნერსესოვა სამან. მოსწავლე მკითხველთა შესწავლა სასკოლო ბიბლიოთეკაში. – გვ. 32-34.

2004წ.

№1

სასკოლო ბიბლიოთეკების დათვალიერება-კონკურსი. – გვ. 21-25.

№2

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე – წიგნის ზეიშია. – გვ. 11-12.

ფარეხელაშვილი ეთერ. დისლექსია – საყურადღებო სიახლე. – გვ. 16-18.

№4

სგურუა გულნარა. დიდები და პატარები. – გვ. 48-55.

ყურადღების ცენტრშია ბავშვთა წიგნიერების საკითხი. – გვ. 55-58.

ლორია ალექსანდრე. სასკოლო ბიბლიოთეკის როლი საგანმანათლებლო პროცესში. – გვ. 58-63.

შემდგენელი მ. კალანდარიშვილი

* ნუსხაში არაა შეგანილი ინფორმაციული კორექციონები სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ



ქურნალის რედაქცია

ალექსანდრე ლორია-მთავარი რედაქტორი
გურამ თაყნიაშვილი-მთავარი რედაქტორის
მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი
მზია რაზმაძე-კომერციული დირექტორი
გულნარა სგურუა-სამეცნიერო-მეთოდური და
კორესპონდენტებთან მუშაობის რედაქტორ-
კოორდინატორი

ინფორმაცია „ალი“

დამფუძნებლები: საქართველოს პარლამენტის ილია
ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა;
საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

რედაქციის მისამართი:

თბილისი, 380007 გულიაშვილის ქ. 7
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა
ტელ. 93-26-82



სოლომონ დოდაშვილი

— 200

Թագմշտա ըսնճոն ըլւյ – 1 ոճնոնս ըս կոճճոն ըլւյ!

